140
1989/12

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132 – 6007



# პიონერი

12
1989



ეკლესიის ამოქმედება ახალ სიცოცხლეს შესძენს ყაზბეგელთა მუზეუმის შემოგარენს.

# ლელთ ღუნიას გორისანი

ნინო ხარაზიშვილი

ფოტო ჯ. კასრაძისა

ერთი ხელისდადება დაბაა ყაზბეგი — ქვიანი, სუფთა, აღმართდაღმართიანი, სახალისო, დიდრონი, ღარიანი მთებით შემოზღუდული. აქ კაცი ერთი ამოსვლითაც კი თითქოს შენი ქვეყნის უფრო ღვიძლი შვილი ხდები, ბუნებასთანაც და ძეგლთანაც უფრო გულგახსნილი მიდიხარ; მით უმეტეს, თუ ნისლმაც დაგინდო — მყინვარწვერის სპეტაკი შუბლიდან უფრო მაღლა თუ აინაცვლა და ჩვეულებრივზე ცოტა უფრო საყვარლად და მოსანატრებლად თუ დაგანახა ისიც, სამების დიდებული ტაძარიცა და მის ფერხთით გაშლილი გერგეტის გაღმა-გამოღმა სანახებიც.

შემაღლებულზე დგას ყაზბეგის საშუალო სკოლის შენობა. სკოლას საბავშვო სახლი ემეზობლება.

სექტემბერ-ოქტომბერში კიდევ ერთი მეზობელი შეიმატეს — საბავშვო სახლის ვრცელი შენობის ერთ ნაწილში რაიონის პიონერთა სახლი დამკვიდრდა. ასე რომ, მშვენიერი სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსი გამოუვიდათ. პიონერთა სახლის საკმაოდ შეკრულ პედაგოგიურ კოლექტივს კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა, ეს შესაძლებლობები საქმის სასიკეთოდ გამოიყენოს. რახან სიტყვა პიონერთა სახლის პედაგოგიური კოლექტივის შემოქმედებით შესაძლებლობებზე ჩამოვარდა, არ შეიძლება, მათი დირექტორი ქეთინო ალიბეგაშვილი საგანგებოდ არ ვახსენოთ: ქეთინო აქაურია, ძირით ყაზბეგელი. უმაღლესი სკოლის დამთავრებისთანავე ამოაკითხა მამაპაპეულს. სამი წელი იმუშავა ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილებაში. არ მოუსვენეს თბილისში დამკვიდრებულმა მშობლებმა, დაბრუნდი და დაბრუნდიო. დაბრუნდა, მაგრამ ერთი წლითაც ველარ იგუა დედაქალაქი. ისევ მთისკენ გამოიწია, — ახლა ყაზბეგის პიონერთა სახლს ხელმძღვანელობს.

მუშაობის გადახალისების დიდი მოთხოვნილება და ძალზე საინტერესო იდეები აქვს პიონერთა სახლის ახალბედა დირექტორს. სულ მცირე დეტალშიც ამჟღავნებს, რომ ტრაფარეტულ საქმიანობას გაურბის, რომ უნდა ყველაფერს ახალი შინაარსი და შემოქმედებითი დატვირთვა შესძინოს. ქეთინო მასწავლებელი ოცნებობს ხევის ხალხთან, მის უნიკალურ შემოქმედებასთან — ფოლკლორთან, ეთნოსთან, მხატვრული რეწვის უძველეს სახეებთან — რაც შეიძლება, სისხლხორცეულად დაანათესაოს თავისი აღსაზრდელები, თავიანთი კუთხის ისტორიულ, ბუნებრივ და ფსიქოლოგიურ გარემოს უღალატოდ დააკავშიროს, სამშობლოს მაღმერთებელ, ძლიერ ადამიანებად დაზარდოს. ნორჩ მხარეთმცოდნეთა და ეთნოგრაფთა წრეები გვინდა ავამოქმედოთო... თავის ახალგაზრდა პედაგოგებს შორის უკვე საუკეთესო მქსოველიც მოუძიებია, ხალხურ ოსტატებს უნდა გააჯიბროს — ნორჩ მეფარდაგეთა მომზადების საქმე ჩააბაროს... გეგმა ბევრია. ასამოქმედებელ წრეებს რა გამოლევს, მაგრამ ყისმათიც მოსდევთ — შემოქმედებით-სამხარეთმცოდნეო წრეებში გაერთიანების მსურველი ბავშვი იმდენი ჰყავთ, ნეტამც კი აუვიდოდნენ... ეს კი იმიტომაა, რომ ყაზბეგის საშუალო სკოლაში საკუთარი კუთხისა და „გორის“ ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ძალზე ბევრი ბავშვი სწავლობს. ეს მათი მასწავლებლების დამსახურებაცაა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის გასახედზე, მყინვარწვერის თოვლიანი კალთის ფონზე ლამაზად გამოჩენილი გერგეტის სამებისაც, იმ იშვიათი ბუნებითი სილამაზისაც, რომლითაც საქართველოს ეს კუთხე მიმსვლელ-მომსვლელს სამუდამოდ ატყვევებს.

ქართველები ვამაყობთ ჩვენი ჯიშისა და ისტორიის სიძველით და გვიხარია, ამ ძირძველი სიამაყისა და სიყვარულის თუნდაც ერთი მარცვალიც ჩვენსავე შვილებში თუ შეგვხვდა უკვე აღმოცენებული და მზესდახარბებული. ალბათ ამიტომაც გვჭირდება ხოლმე წინაპართა ხელდაჩნეული ძეგლებისა და ჩვენი შვილების გვერდიგვერდ დანახვა. ქართველმა ყმაწვილმა, ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში, გაუთვითცნობიერებლად იცის, რომ მისი სამშობლო მდიდარი ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლების მხარეა, მხარე, სადაც ბუნებისა და კაცის ნიჭიერება გაჯიბრებია ერთმანეთს. ხუროთმოძღვრულ შედევრებს ბავშვობიდან თვალს იოლად შევაჩვევთ ხოლმე. ეს თვალის შეჩვევა გვიწვრთნის გემოვნებას, გვიამაყებს სულს, გვიპურებს სიყვარულს ჩვენი ქვეყნისადმი, გვიჩენს მისი უკეთ გაცნობისა და შეცნობის ძალუმ მოთხოვნილებას. გახსოვთ დიდი ილია? მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობაო... მით უფრო, არ არსებობს საქმე, სამშობლოს სიყვარული, მისი წარსულის კარგად ცოდნა რომ არ გამოიხატოს...

აკი ვთქვით ცოტა ზემოთაც: დალოცვილი მიწა-წყლის პატრონები არიან ეს ცეროდენა ხულელიძეები და ბუჩუკურები, ფირანიშვილები, ფიცხელაურები, ალიბეგაშვილები, გელაშვილები, გელაძეები, ხაიკაშვილები, ბურდულები... ეს ბუნება და ამაყი გარემოც რომ არა, ასეთებს— გასახარებს — აქაური უდიდესი მწერლის „სისხლში ნაწობი კალმის“ მადლიც დაზრდიდათ, მისი ქვადქცეული დიდებული ორეულები, სკოლა-სახლის გზაზე დამდგრები რომ აუვლიან-ჩამოუვლიან ხოლმე ყოველ დილა-საღამოს.



ამგვარ მორბედებს ვინ არ ინატრებს, დაიწყო თუ არა რესტავრირება, თავიანთი საქმე მონახეს ბიჭებმაც.



დიახ, მათ ამ გზაზე, ყაზბეგების უძველეს კარმიდამოში, უცხოები ნამდვილად არ ეთქმით. თითქმის ყოველდღე მოინახულებენ ხოლმე დარიალის კარიბჭის მცველი უძველესი გორის სახელოვან შვილთა ამ უნებურ საძვალეს. უვლიან, ასუფთავებენ ალექსანდრე ყაზბეგისა და აქ დამარხული მისი ორიოდ სახლიკაცის საფლავებს. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც ხშირად შეუხედავთ, მის რეკონსტრუქცია-გადაკეთებაშიც მორბედების არაერთ გასაკეთებელს დაივალებენ ხოლმე. უფროს მეგობრებს აქვთ მათი იმედი. ეს იმედი აამაყებთ, ისიც ეამაყებათ, რომ მუზეუმისა და ჩოფიკაშვილების ამ ოდინდელი საცხოვრებლის შესახებ ბევრი რამ იციან.

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 1934 წელს გახსნილა დიდი ტიციან ტაბიძის ხელდასხმითა და მეცადინეობით. მუზეუმის პირველი დირექტორობაც მას გაუწევია, — იმ საბედისწერო 1937 წლამდე...

ამ ეზოში, მუზეუმში და მის გვერდით მდებარე ჩოფიკაშვილების კარის პატარა დიდებულ ეკლესიაშიც ჯერაც ალექსანდრე ყაზბეგის სული

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
12 დეკემბერი 1989



19.390

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიალებს. აქ ყველაფერს მისი კალმისა და ბედის ბეჭედი აზის...

ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე მოქმედი და მრევლმრავალი ყოფილა პატარა ეკლესია. მის ერთ-ერთ კედელში ყოფილა ჩატანებული ძვირფასწარწერიანი ეს ნიშიც. წარწერა გვამცნობს, რომ „სადიდებლად წმიდისა ცხოველმყოფელისა სამების ტაძარ ესე სახელსა ზედა წმიდისა მთავარანგელოზისა“ აგებულია 1809-15 წლებში „პოდპოლკოვნიკის გაბრიელ დიმიტრის ძის ყაზი-ბეგოვისას“.

ეს გაბრიელი — პაპა დიდი მწერლისა, გახლდათ შვილი ერეკლე მეფისდროინდელი ხევის ერთი უმამაცესი გამგებლის დიმიტრი ჩოფიკაშვილისა. ეს ის დიმიტრი ჩოფიკაშვილია, ლამის გვარად რომ უქცია თავის შთამომავალს მისი ვაჟკაცობით მოხიბლულ თურქ და ირანელ მექარავნეთაგან შერქმეული მეტსახელი „ყაზი-ბეგი“ (ნიშნავს მამაც თავადს).



როგორ იტყვიან ჩვენში — „როცა გშია, ზაქარიაო?..“

ბოლო ხანებში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეკონსტრუქცია-აღდგენის გამო, სამუზეუმო ექსპონატთა „ძვალშესალაგად“ გადაქცეულა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობაზე აგებული ეს ფაქიზი ტაძარი. წელს კი, როცა საქართველოს უმძიმესი დღეები დაუდგა, როცა მთელი ქართველი ხალხი დადგა შინაგანი საყრდენის მოპოვების, სულიერი გაძლიერების საჭიროების წინაშე, სრულიად ხევის მოსახლეობამ თხოვნა გაუგზავნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს — ექვს ათეულ წელზე მეტხანს დაუქმებული ეკლესიის კურთხევა და ამოქმედება, მრევლისთვის მოძღვრის დადგენა სთხოვეს.

მთელი ამ მხრის ენთუზიასტებმა მიიღეს მონაწილეობა კურთხევისათვის ტაძრის მომზადებაში. ყველაზე ძნელი იყო აქ დროებით დაუნჯებული სამუზეუმო ფონდების გატანა. ამ შრომატევად სამუშაოს ძირითადად თბილისიდან ამოსული მორწმუნე ახალგაზრდების ჯგუფი შეეჭიდა, თუმცა მათ დამხმარეებიც ჰყავდათ და არცთუ ხელწამოსაკვრელი დამხმარეები — ადგილობრივი მოსახლეობა, ყაზბეგთა ყოფილი ეზოყურისა და ეკლესიის შემოგარენის გამოცდილი მომვლელ-პატრონები.

წლეულს, სექტემბრის ბოლო კვირას, ეკურთხა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. თავად კათალიკოს-პატრიარქმა დალოცა ისიც, ახლად დადგინებული მოძღვარიცა და მისი მრევლიც. ეს დღე ეკლესიის მგალობელთა გუნდის ნათლობის დღეც იყო. გუნდი აქაური ახალგაზრდებისა და მოსწავლეების სურვილითა და სიონის საკათედრო ტაძრის დახმარებით შეიქმნა სწორედ ეკლესიის კურთხევის წინა დღეებში. უმოკლეს დროში მოამზადა ნორჩი მგალობლები სიონის საკათედრო ტაძრის ლოტბარმა ლია სალაყაიამ. გოგო-ბიჭებმა თავი ისახელეს, შესანიშნავად დასძლიეს ურთულესი ძველქართული საგალობლები: „ცისკრისა“ და „მწუხრისა“, „აღდგომის ტროპარი“ და „არჩილური კვერექსი“. ასე რომ, უკვე გამოცდილი მგალობლები არიან ფიქრია და ლია ბურდულები და ლეილა ხაიკაშვილი, ნატო მაისურაძე და ნუკრი ჯაფარიძე, ფიქრია ალიბეგაშვილი, შოთა და ვანო ბურდულები, თამაზ, ალექსი, გია და მანანა ფილხელაურები, ია ქავთარაშვილი და კიდევ ორი ათეული აქაური მოსწავლე. ჰგავს ეს რაღაცით საკუთარი ფესვების შეცნობასა და მასთან დაბრუნებას.

ყაზბეგის რაიონში ასეთი ყოჩაღი ყმაწვილები სხვაგანაც ცხოვრობენ. მაგალითად, სიონში. ამ სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეები რა ხანია თავიანთი სოფლის დიდებულ ეკლესიას შეფობენ. ეს სამნავიანი ეკლესია IX საუკუნით თარიღდება და, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ქართული ხუროთმოძღვრული სკოლის ერთ-ერთ საგულისხმო ქმნილებას წარმოადგენს. საპატრიარქოს თაოსნობით რესტავრაცია რა ხანია ჩაუტარდა ღვთისმშობლის დაბადების სახელობის ამ უძველეს ეკლესიას. იგი უკვე სამი წელია, კიდეც მოქმედებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პატარა შეფებმა დაივიწყეს მისი სამსახური. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას წინ რაღა უდგასო და ბავშვებიც ამ ეზო-გარემოს თითქმის ყოველდღიური მზრუნველები არიან.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ყაზბეგელთა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიას. კურთხევის შემდეგ უცებ „გამდიდრდა“ ეს კედლებგაძარცული ტაძარი: საპატრიარქომ მას მშვენიერი ფარდაგები შესწირა, ხოლო რაც შეეხება მეზობელს, ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, იგი

სწოოედაც რომ კარის მეზობლის საკადრისად მოიქცა. მუზეუმის დირექციამ კვლავ ეკლესიას გადასცა ოდესღაც მისი სამრეკლოდან ჩამოხსნილი მძიმე ზარი, ასევე, იშვიათი ოსტატობით ნაკეთები სპილენძის დიდი ემბაზი, სანათლელი 100-150 წლის სიძველისა, აჩუქა ფინური სახლიც — ეკლესიის მსახურთა სამყოფელად. და კიდევ: კვლავ ეკლესიაში გადმოინაცვლა მუზეუმის ერთმა შესანიშნავმა ექსპონატმა. ეს გახლავთ თეთრ ტილოზე ოქრომკედით იშვიათი ხელოვნებით ნაქარგი წმიდა გიორგის ხატი წარწერით. აი, რას გვეუბნება ეს წარწერა: „შემოგწირა სპარს ანგელოზს სადღეგრძელოდ ძისა ჩემისა ალექსანდრესი კნეინა ელისაბედ ყაზიბეგისამ წმიდა გიორგის ხატი ესე ნაშრომი ასულისა ჩემისა მიერ ელენასი". ასე დაუბრუნდა დიდი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დედისა და დის შეწირულება თავის პირვანდელსა და მუდმივ სამყოფელს...

იშვიათი დღესასწაულების გამართვა იციან ხევში. საქართველოს მთა ქრისტიანული და წარმართული კულტურების უდიდესი გზაშესაყარია და ეს აქ გამართულ რელიგიურ დღესასწაულებსა თუ ხალხში შემორჩენილ ჩვეულება-გადმოცემებში დღემდეც ძალუმად იგრძნობა. სადაც გინდა ახვიდე, გნებავს, გერგეტში — სამებობაზე, გნებავს, სტეფანწმინდაში — ივანობაზე, გნებავს, ხურთისში — პეტრე-პავლობაზე, ან გარბანში — წმინდა გიორგობაზე, ყველგან ხევის შეურყვნელი ტრადიციები დაგხვდება: ტრადიცია ერთი გვარის მიერ ყველა ჯურის სტუმრის პურ-ღვინო უხვად მიღებისა, ტრადიცია სტუმარ-მასპინძლობისა, რჯულის ერთგულებისა. ამ ძველისა და მამაპაპეულის დაუკარგაობას, ბუნებისა და კაცის ხასიათისა თუ შემძლეობის ერთიანობას ეყრდნობა დღესაც ხევის ძალა და ღონე, და მასთან — ძალა და ღონე სრულიად საქართველოსი.

ი ო ს ე ბ   ა ფ ც ი ა უ რ ი

## ნეტავ არ გადმოსულიყო

ნეტამც არ გადმოსულიყო
შველი იალნოს მთაზეო,
დაეწეოდა სიკვდილი,
დაბნელდებოდა სამზეო,
დაიტირებდა ულრანი
შავი ნიაღვრის ხმაზეო,
დაობლდებოდა სიცოცხლე
თვალმარგალიტით სავსეო,
ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი
ჩაეშლებოდა მხარზეო,

გაღმა ბუ დაიკვნესებდა,
თითქო მონაღვლე დაზეო,
ფრთას დაიხევდა გამოღმა
ქორი, შემჯდარი ქარზეო,
გადაივლიდა წუხილი
ბაჩა დარძულის გვარზეო,
გაითლებოდა ჩონგური,
დაჭრილი ყელის ფხაზეო,
გაუცინარი ნიავი
თავს მიიგლიდა ქვაზეო.

## დასტურ მტერი დაგველიოს

მთას ღონივრად უცემს გული,
გული დაუდაგველიო.
როგორც ქრება მარტის თოვლი,
მტერი ისე დაგველიოს.

შურთხის ყელით რეკავს დილა,
ჩამომჯდარი ცეცხლთან მწყემსის,
ციხე იხვევს ნისლის თექას,
მთვარის ძაფით ამოკემსილს.

თითქოს ნამი დიყიანში
ირმის პირით დაგველიოს,

ტყე გუგუნებს ისე ტკბილი,
დასტურ მტერი დაგველიოს.

ამომწვერა ბელტის ორთქლმა,
დიდგორის ცამ გამადიდა,
ათასწილად ბრალი არი,
რომ დააჭკნეს საფლავს ტიტა.

არწივს მხარზე აწერს ლექსებს
მიწა სათნო და ქველიო,
როგორც იტყვის იავნანა,
მტერი ისე დაგველიოს.

## ლამაზ შვილობით

ღრუბელი წავა, წამოვა,
ცრემლებს ჩამოპყრის ბროლისას,
სიმღერას ჩემსას წაიღებს,
მიმინოდ გამოქროლილსა.

თან გავაყოლებ მთის გუგუნს
ტყეების აბუბუნებას,
ლამაზ შვილობით სამშობლოს
გავუხალისებ გუნებას.

ბევრის არ მიყვარს ქადილი,
ბევრსაც არაფერს გპირდებით,

მხრებს გაშლის საჩრდილობელად
ჩემგან დამყნილი კვირტები.

არ ეამება სამშობლოს
შვილი ფშუტი და მკვეხარა,
პირ-შუბლი კელაპტრიანი
ჩემს ფიქრში ჩამოელარა.

რა დამაცდენდა ხმამაღლა
ლოცვას გორიდან გორამდე,
ჩათლილი მჭილში საკმევლად
რომ მიწა არა მბოლავდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფუტკარი უდაბნო მთებში

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მოთხრობა

მხატვარი კარლო ფაჩულია

— მიდი, ჩარჩოებს დაუბოლე! — თქვა სანდრომ.

გუბაზმაც საბოლებელი დააქშუტუნა, სკის ზედაპირი ბოლქვა-ბოლქვა იისფერ კვამლში გაეხვია. მაღლა ამოსული ფუტკრები მიიმალნენ.

— ეყოფათ! — ბრძანა სანდრომ და ახლადჩადგმული, ფუტკრით გადაშავებული ჩარჩო სკიდან ამოიღო, გუბაზს უჩვენა, — ერთი ჩარჩო რომ ააშენოს, ფუტკარმა ოთხი კილოგრამი სათაფლე ნექტარი უნდა მოიტანოს. მერე საიდან სად არ მიფრინავენ ეს დალოცვილები, ოთხ-ხუთ კილომეტრზე სცილდებიან სკას. აბა, უჯრედებში ჩაიხედე, შიგ გამოკლების ნიშნებივით პაწაწინა ყვითელი კვერცხები მოჩანს, არა?

— მოჩანს, — დაეთანხმა ბიჭი.

— მანდედან მატლები გამოდიან. მეფუტკრეები ფუტკრის ბლარტს ეძახიან. დიდი ღორმუცელები არიან ბლარტები, მუშა ფუტკრის მოზიდულ საკვებს გაუმაძღრად ჭამენ, ვიდრე ჭუპრებად არ გადაიქცევიან, ზრდადასრულებულ ბლარტებიან უჯრედებს ფუტკრები ცვილით გადალესავენ და ისინიც იძინებენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფუტკრებად მოევლინონ ამ ქვეყანას.

— თაფლი? თაფლს ჯერ არ აკეთებენ? — იკითხა გუბაზმა.

— როგორ არა, თაფლსაც ამზადებენ, — სანდრომ ის ჩარჩო, გუბაზს რომ უჩვენებდა, სკაში თავის ადგილას ფრთხილად ჩადო, ისე, რომ ფუტკრები არ დაეზიანებინა, და ახლა სხვა ჩარჩო ამოიღო. ფიჭას ყავისფერი დაჰკრავდა, უჯრედები ფუტკრებს საგულდაგულოდ დაელუქათ. — აი, რაც ცვილით არის გადალესილი, შიგ სულ თაფლია, მაგრამ ამ თაფლს წლეულს ჩვენ ხელს არ ვახლებთ. ზამთრის მარაგად დავუტოვებთ ფუტკარს, იმიტომ, რომ ოჯახი ახალი განაყარია, უნდა გაძლიერდეს, თუ ეხლა წავართმევთ თაფლს, ფუტკარი დასუსტდება, მაძღრისად ვერ გამოიზამთრებს და შეიძლება დაიღუპოს კიდეც. საჩვენო თაფლს მემრის ამოვიღებთ.

სანდრომ ჩარჩოები მისწი-მოსწია. სკაში დატოვებულ ცარიელ ადგილში გრძელი დანა ჩაყო, თაფლით სავსე ფიჭა ამოჭრა და სკის სახურავზე დადო. თურმე ფუტკარი სკაში სიცარიელეს ვერ იტანს, მხოლოდ იმდენ ადგილს ეგუება, რაც მისი შეუფერხებელი მოძრაობისთვის არის საჭირო, დანარჩენს ფიჭით ავსებს. სანდრომ ცარიელ ჩარჩოსა და ჩარჩოს შორის ფიჭაასაშენებელი ჩარჩო ჩადგა, ზევიდან ტილო დააფარა და სკას სახურავი მოარგო.

მერე მეორე სკა გახსნა. ისევ აირია გარშემო ფუტკარი. გუბაზი საკვამლეს აქშუტუნებდა, ფუტკრები ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ სკიდან ამოძრომას, პაპას ხელებზე აცოცდებოდნენ და ბიჭს უკვირდა, უპირბადო, შიშველხელებიან პაპას რატომ არ ჰკბენდნენ.

— მიცნობენ და იმიტომ, — გაიცინა სანდრომ. — მთავარია, არ გეშინოდეს ამათი. თუ ხელის ქნევას მოყევი, მაშინვე გიკბენენ. თანაც ჭირივით ეჯავრებათ უსუფთაობა. მუდამ ხელებდაბანილი, ტანდაბანილი უნდა მუშაობდე. ფუტკარს არ უყვარს ოფლის, ნივრის, თევზის სუნი, ახლოს არ მიგიკარებენ!

სანდრო ათვალიერებდა ჩარჩოებს და კმაყოფილი თავს იქნევდა.

— მოდი, ფუტკრის დედა გიჩვენო, — უთხრა გუბაზს.

— აბა, აბა, რომელია? — კისერი წაიგრძელა ბიჭმა.

სანდრომ ჩარჩოს ზედა კუთხეში მარცხენა ხელის სამი თითი ჩაავლო, გუბაზთან ახლოს მიიტანა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ფიჭაზე მოფუსფუსე ფუტკრებისკენ გაიშვირა.

— ეგე, ყველაზე დიდი, უკანა ნაწილი მოგრძო რომ აქვს და მოლურჯო ფერი დაჰკრავს, დედა ფუტკარია. ხედავ, რა სწრაფად გადადის უჯრედიდან უჯრედზე!

— ვხედავ, პაპა, ვხედავ.

— კარგად დაიხსომე, ისწავლე დედა ფუტკრის გარჩევა მამალი, მუქთამჭამელი ფუტკრისაგან. ეგენი სიდიდით ცოტათი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ დედა ფუტკრის პოვნა ძნელია. როცა სკას ახდი, მაშინვე უნდა შეძლო ამოიცნო, დარწმუნდე, ფუტკრებს ჰყავთ თუ არა დედა, რადგან ოჯახის გამრავლება, სიძლიერე მაგაზეა დამოკიდებული. უდედოდ დარჩენილ სკას ყური რომ მიუგდო, გლოვის ზარივით მოისმის ფუტკრის ზუზუნი. როცა დედა ეგულებათ, სკაში მხიარული, საქმიანი ბზუილია, ხალისიანად ეზიდებიან თაფლს.

— დედა რამდენ ხანს ჰყავთ ხოლმე?

— ოთხ-ხუთ წელიწადს ცოცხლობს!

— თუ მოუკვდათ?

— ხო გითხარი, გლოვის ზარი აქვთ-მეთქი. მეფუტკრემ ახალ დედაზე უნდა იზრუნოს. ან ფუტკრები თვითონ აწესრიგებენ მაგ ამბავს. ჩვეულებრივი მუშა ფუტკრის გამოსაყვან უჯრედს უფრო დიდს აკეთებენ, ბლარტს უხვად კვებავენ და დედა გამოყავთ. ისიც მაშინვე იწყებს ზრუნვას ოჯახის გამრავლებასა და სიძ-

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 10, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერეზე... დღე-ღამეში ათას ხუთას, ორი ათას კვერცხს დებს.

— მერედა რანაირად, რანაირად ეტევიან ერთ პატარა სკაში მაგდენი ფუტკრები? — გაიოცა გუბაზმა.

— ბევრი იბადება და ბევრიც კვდება. მუშა ფუტკარმა გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში დიდი-დიდი ერთი, ერთნახევარი თვე იცოცხლოს. მარტო ზამთრის პერიოდში დარჩენილი ფუტკრები ცოცხლობენ დიდხანს, იმ დროისთვის, როცა ღალიანობა წყდება და სკაში გარედან ცოტა საკვები შემოდის, მუშა ფუტკრები მამალ ფუტკრებს გარეთ ერეკებიან, გეყოფათ, ძმაო, სხვისი ნაშრომ-ნაოფლარის ჭამა, თორემ ზამთარი კარს მოგვადგა და საკვები აღარ გვეყოფაო. საერთოდ, ფუტკრებს ერთად შრომის, გამრავლებისა და არსებობის საოცარი კანონები აქვთ. თუ უფრო დაწვრილებით გინდა იცოდე მაგათი საიდუმლოებანი, ძველი მეფუტკრის დაწერილი წიგნი მაქვს სახლში, წაიკითხე, საინტერესოა. იქნებ ერთხელ შენც გაგიჩნდეს ფუტკრის ყოლის სურვილი?

— ფუტკარი აუცილებლად მეყოლება! — განაცხადა გუბაზმა.

სანდროს გაეცინა.

— სადა, სად გეყოლება, ბიჭო, თბილისში?

— არა, სოფელში, იმ ეზოში მეყოლება, სადაც შენ და ბებია ცხოვრობთ.

— როდის, კაცო?!

— სკოლას რომ დავამთავრებ!

— რამ გადაგაწყვეტინა ეგა?

— სოფელში უნდა ვიცხოვრო. შენთან ერთად ვივლი ტყეში, შეშის ქურდები და ბრაკონიერები ვერაფერს გაგვიბედავენ.

სანდროს ბიჭის ნათქვამი ესიამოვნა, ტკბილად ჩაიღიმა.

— უმაღლესი?

— რა მეჩქარება, ორ-სამ წელიწადს ვერ მოვითმენ? სად გამექცევა.

სანდრომ სკებში ჩარჩოები ჩააწყო, სახურავები მოარგო და სკიდან ამოჭრილი ხელისგულის ოდენა თაფლიანი ფიჭა გუბაზს მისცა.

— აბა ნახე, როგორია?

ბიჭმა ფიჭას კბილები ჩაასო. მინასავით გამჭვირვალე თაფლის წუწები ნიკაპზე წურწურით ჩამოეკიდა, თითები გაუტკბილიანდა. ყვავილების სურნელით შეზავებულმა სითხემ პირი გაუვსო. მეტი სიამოვნებისაგან თვალები მოჭუტა.

— თურმე ხელოვნურ თაფლსაც აკეთებენ. ამაზე ტელევიზორშიც იყო საუბარი. ვიღაც კაცი და ქალი უჩვენეს. წინ ქვეყნის ქილები და დაბეჭდილი თაფლის ეტიკეტები ეწყოთ.

— კაცმა ნამუსი თუ დაკარგა, ყველა სისაძაგლეს იკადრებს. არიან, შვილო, მაგისთანა ჯურის ადამიანები: ხარბები, ბევრი ფულის მოტრფიალენი. პატიოსანი ხალხის ჯიბეში ხელებს რომ აფათურებენ. ეგენი ისე უნდა გარეკო და მოაცილო საზოგადოებას, როგორც სკიდან უსარგებლო, მუქთახორა ფუტკრებს გამრჯე ფუტკრები ერეკებიან. მაგრამ ჯერ არსებობენ... ძნელია მაგათთან ქიდილი...

●

წყნარი, უმთვარო ღამეა.

კბილამთა ცის ჩამუქებულ, ჩამყუდროებულ გუმბათზე აქლემის კუზივით გამოსახულა.

ტყე გარინდებულა. თითქოს თვლემა მორევია. მარტო მაშინ შეიშმუშნება, როცა საიდანღაც წამოპარებული ნიავი დაუბერავს. ხეები ტოტებს შეარხევენ, აშრიალდებიან, ერთმანეთს მიეხლებიან. იმათ შრიალზე შიშით თვალს აჭყეტენ შიგ შეყუჟული, ბუდეების სიახლოვეს მჯდარი ჩიტები. რომ ნახავენ, გულგასახეთქი არაფერიაო, მშვიდდებიან. ცოტა ხანს ყურს მიუგდებენ ტოტების სევდიან გაძახილ-გამოძახილს და განთიადის მოლოდინში ისევ იძინებენ.

განთიადი კი ჯერ სად არის.

მაღალ თელებქვეშ, იქ, სადაც ტყისმცველის საყარაულოა, სარკმლიდან სინათლის ყვითელი შუქი გამოდის. სარკმელი ღიაა. ქოხში ღამის ნაირ-ნაირი ფერისა და ზომის პეპლები იოლად აღწევენ. კედელთან მიდგმულ მაგიდაზე ნავთის ლამპას ეთამაშებიან, ცხელ, ოდნავ შემურულ შუშას ეხლებიან და ძირს ცვივიან.

ლამპით განათებულ მაგიდას პაპა-შვილიშვილი შემოსხდომია. სანდროს თავი ჩაუღუნავს, სიგარეტის კვამლში გახვეულა და შვილიშვილს უსმენს. გუბაზი ვაჟა-ფშაველას მოთხრობას კითხულობს.

ვაჟას წიგნი ტყისმცველის განუყრელი მეგობარია. ვინ იცის, რამდენჯერ აქვს წაკითხული, საგულისხმო ადგილები ფანქრით შემოუხაზავს და ქაღალდის ნახევებით ჩაუნიშნავს.

— თუ გინდა, ბუნება სულიან-ხორციანად შეიყვარო, გესმოდეს ავი და კარგი ამ მთისა და ბარის, ვაჟა უნდა იკითხო, იკითხო სიყმაწვილეშიც და სიბერეშიც, — უთხრა სანდრომ შვილიშვილს, მაგიდას რომ შემოუსხდნენ და გუბაზმა წიგნი გადაშალა.

„მთანი მაღალნი“.

გუბაზი ამ საღამოთი პაპას მეორედ უკითხავს ვაჟას მოთხრობას.

პაპამ სთხოვა და იმიტომ.

სანდრო გატვრენილა, ჩაფიქრებული ისმენს.

„იდგნენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი...

რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყროთ და გიმუხთლათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნულა თქვენს გულგონებაში?! არა, არა, ხანდახან თქვენც გიხარიათ და ქვეყანას კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი, თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლალი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ასე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს!..“

მოთხრობა პატარაა. ორი გვერდი არც კია. გუბაზმა მალე ჩაიკითხა ბოლომდე. წიგნი არ დაუხურავს, თვალი პაპასკენ გააპარა. იმას ჭაღარა თავი დაეხარა, იატაკს მიშტერებოდა.

„დგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ“, — გაიმეორა სანდრომ. ადგა, საჩეხში გავიდა. ჩამქრალი სიგარეტი გადააგდო. შემობრუნდა და ყრუდ, ჩახლეჩილი ხმით ალაპარაკდა:

— ეს მთაც ელის, შვილო, რაღაცას! — სანდრომ ხელი კბილამთის მიმართულებით გაიშვირა. — ის რაღაც-ნგრევაა, მთის სიკვდილია, მერე ვისგან, ბიჭო, ადამიანისაგან, რომელიც ყველაზე მეტად უნდა უფრთხილდებოდეს მთასაც და ბარსაც, ხესაც და წყალსაც. ესე თითო-თითოდ თუ განადგურდა, დაინგრა, დამახინ-

ჯდა გარემო, რა დარჩებათ მომავალ თაობებს, რა დაგ-
რჩებათ თქვენ, ჰა?

თელებში ჭოტი აკივლდა.

— მივწეროთ რომელიმე გაზეთის რედაქციას, პაპა, იქნებ რამე ვუშველოთ კბილამთას?! მე თვითონ დავწერ, აი ნახავ, თუ ყურადღება არ მოგვაქციონ! — თქვა გუბაზმა.

— ნეტავი არ იქნება? მე ეგ სულ არ გამხსენებია, ვინც შემხვდება, იმას შევჩივი, კბილამთა ილუპება-მეთქი. მარტო მისმენენ, ზოგს ალბათ გიჟი ვგონივარ, რამ გაასულელა ეს კაციო. არა, შენ კარგი რაღაც თქვი, ბიჭო, იქნებ ხმა მივაწვდინოთ და კბილამთა გადავარჩინოთ?! — სანდროს ლაპარაკში იმედი გამოკრთა. ფიც-
შორის გადის? ვინც გაიგებს, რას იტყვის?!

— ვინ უნდა გაიგოს, აქ ჩვენს მეტი ვინ არის? სანდრომ გაიღიმა.

— აგე, თელები, კაცო! ძილი გაუფრთხებათ!

— თელა თელას ძე ტყეშელაშვილი? — გაიცინა გუბაზმა.

— ხო,ხო, თელა თელას ძე! — აჰყვა ბიჭს სანდროც.

სანდრომ შვილიშვილს ხათრი არ გაუტეხა და ჩონგურის ლარებს ხელი ჩამოჰკრა:

ის კი არ არის ბიჭობა,
რო გამაგრებდნენ, ჰმაგრობდე,
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
თავისთავადა ჰვარგობდე.



რის კედელზე დაკიდულ ჩონგურს მისწვდა, ლარები მოუსინჯა და დაამღერა:

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის, ვისია,
ბებერი ქალი ატირდა:
ეგ ჯაჭვი ჩემი ქმრისია,
ბევრგან ნავალი ომშიდა,
ბევრგან ნაცემი ხმლისია,
ისეთმა ყრმამამ ჩაიცვას,
ვინცა ხმარების ღირსია.

სანდრომ ჩონგური კედლისკენ დასაკიდად გაიწოდა. გუბაზმა შეაჩერა და სთხოვა:

— მოიცა, პაპა, ის იმღერე, რა?

— რომელი?

— შარშან თელებქვეშ რომ დასძახოდი ჩონგურზე!

— ვაჟასი?

— ჰო, ვაჟასი!

— ხვალე იყოს, ეხლა გვიანია, ღამე ხმა, იცი, რა

არც ის მგონია ბიჭობა,
ვისაც ერევი, არჩობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
რომ სხვის დამრჩვალსა სწამლობდე.
მითხარ, ვის უთქვამ ბიჭობად,
დამჩაგვრელებსა სწყალობდე?
აბა, ბიჭობა ის არი,
დაჩაგრულთათვის სწვალობდე.
არც-რო ბიჭობა ეგ არი,
მაძღარი ჰმღერდე, ჰგალობდე,
თავი მოგქონდეს სხვებზედა
და ამის გამო მშარობდე.
მგოსნობას არვის აცლიდე,
მუდამ ჰკვეხდე და სცხარობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
მშიერ-მწყურვალიც ჰგალობდე.

სანდრომ ჩონგური ლურსმანზე დაჰკიდა. ჯიბიდან ძეწკვიანი საათი ამოიღო. სამოცი წლის რომ შესრულ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, კარგი მუშაობისათვის სატყეო მეურნეობამ დააჯილდოვა და მას შემდეგ თან დაჰქონდა, აღარ იშორებდა. საათი ლამპასთან ახლოს მიიტანა, დახედა.

— პირველი დაწყებულა. ვაჟამ გაგვიტაცა, იმ მადლიანმა. დავიძინოთ, შვილო, დილაზე ადრე ავდგეთ და კბილამთა დავლაშქროთ!

ტყისმცველმა თავისი საწოლიდან ჯერ დაკეცილი შავი ნაბადი აიღო და გარეთ გაიტანა, მერე საწოლს გადასაფარებელი გადააძრო, საბნის ყური გადასწია, ბალიში შეასწორა და გუბაზს უთხრა, აქ დაიძინეო.

— შენა პაპა?

— გარეთ ტახტზე დავწვები. „მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ღამისა". ზაფხულში ღამეს ხშირად გარეთ ვატარებ და, არა მკითხავ, რატომ?

— რატომ?

— ტყეს ყურს ვუგდებ. ხეზე დაცემული ცულის ხმა ღამის სიმყუდროვეში შორს ისმის.

— განა ამისთანა უმთვარო, წკვარამ ღამეშიც დაიპარებიან ტყის ქურდები?

— ღამითაც დაძვრებიან ძლოკვებივით. მეტწილად შეშისმჭრელები. შევლენ ტყეში, აანთებენ ფარნებს და იმის შუქზე მიდი, დაჰკა... თუ ყარაულმა ვერ გაუგოთ, ტყეს მუსრს გაავლებენ. დასჭრიან, დააწყობენ შეშას და, ვინმემ რომ არ ნახოს, ტოტებით შენიღბავენ. გავა დრო, შეშა გაშრება, გახმება და გაზიდავენ, ზამთარში მამასისხლად გაჰყიდიან.

გუბაზმა ტანთ გაიხადა, საწოლში ჩაძვრა. ქოხში ტყის სიგრილე ჩამდგარიყო და საბანი ნიკაპამდე დაიხურა.

სანდრომ ლამპას პატრუქი დაუწია. შუშის ყელს ხელი მოაფარა, შეუბერა და ჩააქრო.

ირგვლივ ჩამობნელდა, დამწვარი ნავთის სუნმა იმატა. ტყის მცველი საჩეხში გავიდა, ტახტი ააჭრიალა. კედლის იქით, ფიცრულში ცხენმა დაიფრუტუნა.

გუბაზს ძილი არ ეკარებოდა. შორიდან ჭოტის სევდისმომგვრელი ძახილი ისმოდა.

ქოხის ახლოს აქამდე მიჩუმებულმა ბულბულმა დაიწყო სტვენა, მას მაშვი გაეხმიანა. ღამის სიმყუდროვე ერთხანს მატარებლის ბორბლების ხრიგინმა დაარღვია და თანდათან მიწყდა. მერე აღარც ჭოტის ძახილი გაუგონია გუბაზს, აღარც ბულბულის სტვენა. დაღლილ-დაქანცულს ტკბილად ჩაეძინა.

დილით თვალი რომ გაახილა, ქოხში დღის შუქი ილვრებოდა. მზის ათინათი სარკმლის მინებს აბრჭყვიალებდა. ჩიტების ჟივილ-ხივილი ახმიანებდა გარემოს.

ბიჭი საწოლიდან გადმოხტა. ტანზე სწრაფად ჩაიცვა და საჩეხში გავიდა. პაპა ეზოში დახვდა. თრთვილა მინდორში საბალახოდ გაეყვანა, თვითონ ნივრის კვალში ჩამდგარიყო და თოხნიდა. გუბაზს თვალი შეასწრო, დილა მშვიდობისაო, მიესალმა და თოხნა განაგრძო.

— რატომ არ გამაღვიძე? — გასძახა ბიჭმა. ეგონა, კბილამთაზე გამგზავრება დააგვიანა.

— რა გეჩქარება, ადრეა, მთა არსად გაგვექცევა, — დაამშვიდა სანდრომ შვილიშვილი.

— პირს დავიბან და თოხნაში მოგეშველები! — თქვა გუბაზმა. ხელები პირსაბანისკენ გაიწოდა, წყალი ცოტა იდგა. დოქი ცარიელი აღმოჩნდა. ბიჭი დოქით წყაროზე გაიქცა. წყარო შორს არ იყო. საყარაულოსთან ახლოს ხევი ჩამოდიოდა და იმას იქით ერთი პატარა კლდიდან გადმოწანწკარებდა.

გუბაზი ჭიშკარში გაძვრა, ხევში ჩაირბინა, რიყეზე ალიკლიკებულ ნაკადულს გადაახტა, ხევის მეორე ფერდობი აირბინა და შედგა. წყაროსკენ მიმავალი ბილიკიდან ჯიხვაჩიტი ჭიხჭიხით აფრინდა, რამდენიმე ნაბიჯზე ჯაგრცხილას ბუჩქზე შემოჯდა, მაგრამ იქ ერთ წუთსაც არ გაჩერებულა, ისევ ბილიკზე გადმოფრინდა, მერე კვლავ გაბმული ჭიხჭიხით მაღლა ავარდა და მოშორებით მდგომი გარეული პანტის გამხმარ ტოტზე დასკუპდა.

იმ ჩიტის შეშფოთებულ ხმაურზე მეორეც გაჩნდა. ახლა ერთად ახმაურდნენ, ატეხეს გნიასი, გადაფრენ-გადმოფრენა.

გუბაზი მიხვდა, ჩიტებს სადღაც ახლოს ბუდე ჰქონდათ და ალბათ იმიტომ იყვნენ მოუსვენრად. ამიტომ სწრაფად უნდა გასცლოდა იქაურობას. ბილიკზე ნაბიჯი გადადგა თუ არა, ჩიტები უარესად ახმაურდნენ. მოსწყდნენ პანტის ტოტს და ლამის ცხვირწინ გამოუფრთხიალდნენ ბიჭს.

— რა დაგემართათ, გზაზე აღარ გამატარებთ? — ხმამაღლა, ცოტა ნაწყენი კილოთი შეუძახა ჩიტებს გუბაზმა. იმათ კიდევ პანტის ხეს მიაშურეს. ერთი ხმელ ტოტზე დაჯდა, მეორემ გადაიფიქრა, შემობრუნდა და გუბაზიდან ორ ნაბიჯზე ბილიკზე დაფრინდა. თურმე ჩიტების შეშფოთების მიზეზიც იქ იყო, — ბალახებიდან ახლად დაბუმბლული ბარტყი გამოძვრა. სკუპ-სკუპით მიუახლოვდა დიდ ჩიტს, ნისკარტი დააღო და ფრთები აასავსავა, ბარტყი ბუდიდან გადმოვარდნილი ჩანდა. გუბაზმა დოქი ბილიკზე დადგა. ბარტყი ადვილად დაიჭირა. ის ყურადღებას აღარ აქცევდა ჩიტებს, თავზე შეშფოთებული ჭიხჭიხით რომ დასტრიალებდნენ. ბუდეს ეძებდა. ბუდე არც პანტაზე აღმოჩნდა, არც თხილისა და შვინდის ხეებზე. ხელი დაიკაწრა მაყვლისა და კვრინჩხის ბუჩქებში ძვრომით, არადა, ბუდე შორს არ უნდა ჰქონოდათ ჩიტებს, რადგან მათს პირმშოს ხეირიანად არც ფრთები გაზრდოდა, არც ბოლო, რომ შორიდან გადმოფრენილიყო.

გუბაზმა იმ ჯაგრცხილას ბუჩქს დაადგა თვალი, წეღან ჯიხვაჩიტი რომ იჯდა. მივიდა, გაბარდული ტოტები ხელით გადასწია და იპოვა. ბუდეში სამი ბარტყი განაბულიყო. ბიჭმა ბარტყი ბუდეში ჩასვა და ჰკუაც „დაარიგა": თუ კიდევ იმეტიჩრებ და მანდედან გადმოფრინდები, რაც დაგემართება, შენს თავს დააბრალეო.

გუბაზმა დოქი აიღო და ბილიკს გაჰყვა. მალე მაღალი ხეებით დაბურულ კლდეს მიადგა.

კლდიდან იმ მილით, შარშან პაპამ და თვითონ რომ ჩაჭედეს ნაპრალში, მხიარული წანწკარით გადმოდიოდა ყინულივით წყალი.

გუბაზმა ხელ-პირი დაიბანა, დოქი გაავსო და უკან გამობრუნდა.

სანდროს ნივრის თოხნა დაემთავრებინა. საჩეხში ნავთქურა გამოეტანა და აენთო. გუბაზს დოქი გამოართვა, ალუმინის შემურულ ჩაიდანში წყალი ჩაასხა, ნავთქურაზე დადგა.

— ვისაუზმოთ და მთაზე ისე წავიდეთ! — უთხრა შვილიშვილს, საყარაულოდან ჩანთით გუშინდელი მორჩენილი საჭმელი გამოიტანა, მაგიდაზე გაზეთი გაშალა და ზედ ამოაწყო.

გუბაზი ჯიხვაჩიტების ამბავს მოუყვა. სიტყვა მანქანის ხმამ შეაწყვეტინა. მინდორში საყარაულოსკენ მწვანე „ჟიგული" მოჰქროდა. მანქანის ღია სარკმელში ვიღაცას ხელი გამოეყო და იქნევდა.

„ჟიგული" ჭიშკართან გაჩერდა. გუბაზი ჭიშკრის გასაღებად გაიქცა. გააღო და გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა. მანქანიდან ლურჯ შარვალსა და წითელ საზაფხულო კურტკაში გამოწყობილი მერი და ახალგაზრდა ქერაულვაშიანი კაცი გადმოვიდნენ.

— სალამი, გუბაზ! როგორა ხარ? — გაუცინა მერიმ ბიჭს.

— გამარჯობა! — მიესალმა ქერაულვაშიანიც გუბაზს და ხელი გაუწოდა.

— ეს ჩემი მამაა! — გააცნო გოგონამ. ბიჭი დაიბნა. ენა დაება. კიდევ კარგი, სანდრო პაპა დროზე გამოეგება სტუმრებს... ნეტავი რისთვის მოვიდა მერი?

სანდრო და მერის მამა, ოთარი ერთმანეთს თავაზიანად მიესალმნენ. თურმე დიდიხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

— მე და მამაშენი ერთ უბანში დავიზარდენით, — ეუბნებოდა სანდრო ოთარს, — სანამ ომში წავიდოდით, კოლმეურნეობაში ვმუშაობდით, კომკავშირშიც ერთად მიგვიღეს. — სანდრომ ჩუმად ჩაიცინა და განაგრძო: — კომკავშირში მიღებისას მამაშენს ჰკითხეს: რა განათლება გაქვსო და, სამჯერ ცხვარში ვარ ნამყოფიო, — მიუგო ნიკამ.

მერის მამას სიცილი აუტყდა.

— ესე უპასუხა?

— მაშ, კაცო!

— ეგ ამბავი პაპას ჩემთვის არ მოუყოლია! — კისკისებდა მერი. გუბაზიც გულიანად იცინოდა.

— სანდრო ძია, მამაჩემი ანეგდოტი კაცია, რა. სამხედრო აღრიცხვაზე თბილისში ვიყავი და არმიაში სასამსახუროდ იქიდან წავედი. არავის გავუცილებივარ. თვითონ არ მოეინდომე. ან რა გაცილება მინდოდა, ბავშვი ხომ არ ვიყავი. გავიდა ორი წელი, დავამთავრე სამხედრო სამსახური და სოფელში ჩამოვედი. ვითომ არ იცოდა, სად ვიყავი, მამაჩემი მეუბნება:

— ბიჭო, ოთარ, სად ბრძანდებოდი აქამდე, რომ არა ჩანდი?!

— ჯარში, კაცო, სად ვიქნებოდი-მეთქი!

— მერე, შე მამაძაღლო, ერთი პირით არ უნდა გეთქვა, რომ ჯარში მიდიოდიო?

— ქიზიყური ხასიათია, დინჯები ვართ, დინჯები! — ღიმილით თქვა სანდრომ. — ზოგმა რომ იცის, ლამის თან გაჰყვება თავის შვილს ჯარში, მეტისმეტია.

— მეც მათქმევინეთ, რა! — შეეხვეწა მერი მამას.

— თქვი, შვილო!

— ამ ზამთარს ნიკა პაპა ფანჯარასთან იდგა, გარეთ ცაში აფრენილ მტრედებს უყურებდა და ამბობდა:

— მტრედებო, მტრედებო, ნეტავი მეც თქვენსავით ფრთები მქონდესო.

— რად გინდა, პაპა, ფრთები-მეთქი? — ვეუბნები.

— სოფელში გავფრინდებოდი, იქაურობა მომენატრაო!

— ეჱხ, შვილო, — ამოიოხრა ტყისმცველმა, — სოფელი თითქოს ყველას გვიყვარს, და მაინც გავურბივართ, ვქალაქელდებით. ამას წინათ ტელევიზორში ერთმა მწერალმა თქვა: მალე გლეხკაცი წითელ წიგნში შესატანი გახდებაო. განა ტყუილია. აბა, ჩვენს სოფელში გაიხედ-გამოიხედეთ, გინდაც სხვა სოფლებში, ძალიან ცოტა დარჩა მხვნელ-მთესველი, პირუტყვის ყურისმგდებელი. ხანდახან ვფიქრობ, ეს ძველი ხალხიც რომ წავალთ ამ ქვეყნიდან, ქალაქელებს ვინღა აჭმევთ პურს, ვინ მიხედავს ამოდენა მიწა-წყალს-მეთქი!

— ვინ მიხედავს ამ მიწა-წყალს და — ჩვენ. მე, გუბაზი, ჩვენი ტოლები! — წამოიძახა მერიმ.

— შენ ისე გიყვარს სოფელი, რომ... — თქვა შვილის სიტყვებით ნასიამოვნებმა ოთარმა და სახე გაებადრა. მერიმ გამოიყვანა უხერხული მდოგომარეობიდან, თორემ ვერაფერ იმედიანს, სანუგეშოს ვერ ეტყოდა სანდროს, თვითონაც სხვებივით იყო წასული სოფლიდან და ქალაქში დამკვიდრებული.

ტყისმცველს გოგონას ნათქვამი მოეწონა. ინატრა, ნეტავი გულწრფელად ამბობდესო და ხმამაღლა შეაქო, შენს პირს შაქარიო.

— ამ ზამთარს თამრიკო მასწავლებელმა თავისუფალი თემა დაგვაწერინა. იქ ჩავწერე, რომ ჩემი ოცნებაა სოფელი, სოფელში გავთხოვდები-მეთქი! — თქვა მერიმ.



— მართალს ამბობს. ის თემა მე და ამის დედამ წავიკითხეთ! — დაადასტურა შვილის ნათქვამი ოთარმა.

— და, იცით, რამდენი შვილი მეყოლება?

— ეგ კი არ ვიცით! — გაიცინა მამამ.

— რამდენი, გოგო, რამდენი? — იკითხა სანდრომ და სმენად იქცა.

მერიმ მარჯვენა ხელის თითები გაფარჩხა:

— აი, ამდენი!

— ხუთი?! — ახარხარდა შვილის მოულოდნელი გადაწყვეტილებით გამხიარულებული ოთარი.

— ყოჩაღ, გოგო! — შეაქო მერი სანდრომ. — გამრავლდი, შვილო, გამრავლდი. თუ შენსავით ფიქრობენ და ოცნებობენ სხვა ბავშვებიც, მაშინ ჩვენ, ბებრებს, ქართველი ერის გამრავლების დარდი, დღეს რომ ამდენს შევჩივით ერთმანეთს, სამარეში არ გაგვყვება.

სანდროს უცებ რაღაცა გაახსენდა.

— ხალხო, ლაპარაკში შეგვიყოლიეთ და შინ ველარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეგიპატიჟეთ. წამობრძანდით, ჩაი დავლიოთ ერთად.

ოთარმა თავაზიანად იუარა:

— გმადლობთ, სანდრო ძია, მეჩქარება, გუშინ რაღაც-რაღაცები წამოვუღე მერიკოს თბილისიდან, უკანვე ვაპირებ წასვლას, იცით. რატომ გესტუმრეთ აქა?

— თუ არ მითხარი, საიდან მეცოდინება?!

— მერიკო შემეხვეწა, სანდრო პაპასთან წამიყვა, გუბაზი იქ არის და დღეს მეც იქ ვიქნებიო. სოფელში ჯერჯერობით ახლომახლო არავინა ჰყავს დამლაპარაკებელი და...

— იყოს, შვილო, უცხონი კი არა ვართ. რო დაიზარდენით და წახვედ-წამოხვედით, თორემ... ჩემი შვილები და შენ სიყმაწვილეში სულ ერთად არ იყავით? მამაშენი კიდევ ჩემი ძველი მეგობარიც არის და მეზობელიც, — უთხრა სანდრომ.

— ჰოდა, სანდრო ძია, — განაგრძო ოთარმა, — იმიტომაც ვტოვებ მერის თქვენთან. საღამომდე დარჩება. საღამო ხანს თბილისიდან პირდაპირ აქ მოვალ და სოფელში წავიყვან.

სანდრომ ოთარი დააიმედა; გინდაც დაიგვიანო და რამეზე შეფერხდე, შენ არხეინად იყავი, გოგოს არაფერი გაუჭირდება, საღამოთი ჩვენც სოფელში ვაპირებთ წასვლას და თან წავიყვანთო.

გუბაზი გულში ზეიმობდა: აი, თურმე რატომ ესტუმრათ მერი, რა კარგია, მთელი დღე ერთად ვიქნებით და კბილამთაზეც ავალთო, უხაროდა ბიჭს.

ოთარმა მანქანიდან ცელოფანის სავსე პარკი გადმოიღო და მერის მისცა. თვითონ საჭეს მიუჯდა, სამივეს გამოემშვიდობა და წავიდა.

სანდრო და გუბაზი სტუმარს საჩეხისკენ გაუძღვნენ. იქ უკვე ნავთქურაზე შემოდგმული ალუმინის ჩაიდანი ქოთქოთებდა, ხუფს რაკარუკი გაუდიოდა.

მერიმ ერთ-ორ წუთში საყარაულო დაათვალიერა.

— ყმაწვილებო, ჩაი დავლიოთ, — სანდროს ჩაი თიხის ჯამებში დაესხა. ჭიქები არა მაქვსო. მოიბოდიშა.

— უი, რას ამბობთ, სანდრო პაპა, ასე უფრო ლამაზია, რომანტიკული, მე პირველად ვსვამ ჩაის თიხის ჯამით! — აღტაცებით წამოიძახა მერიმ და ცელოფანის პარკი გახსნა. სუფრას შემწვარი წიწილა, მოხარშული კვერცხები, თბილისური თეთრი პური და მილივით დამრგვალებული ნიგვზიანი ნამცხვარი მიუმატა.

სანდრომ თბილისური პური აიღო.

— ეხლა თურმე იმდენნაირი პური ცხვება, იმათ სახელებსაც ვერ დაიმახსოვრებ. თქვენხელა რომ ვიყავი, მარტო შოთი პურის და მჭადის სახელი ვიცოდი. მაშინ დრო იყო ისეთი, ზოგჯერ პურიც გვაკლდა და მჭადიც. მინდორში ულუკმაპუროდ დარჩენილებს ოდოში გვიჭამია.

— ოდოში რაღაა? — დაინტერესდნენ ყმაწვილები.

— სანახევროდ შემოსულ, სიყვითლე შეპარულ პურის ყანას ჯერ მარცვალი რომ არ გამაგრებია, ოდოშს ეძახიან. დავანთებდით ცეცხლს, ზედ ხელეურად შეკრულ თავთავებს მოვატრიალებდით, მოტუსულებს მოვფშვნეტავდით, მარცვალს დავაყრევინებდით და მერე პირში ვიყრიდით, შიმშილს გვიკლავდა.

სანდრომ ჩაი დალია. ჯამი დადგა და ბოდიში მოიხადა, ცხენს სხვა ადგილას გადავაბამო, და წავიდა.

მერიმ ჯამებს წყალი გამოავლო. დარეცხა და სუფრა აალაგა.

— კარგი პაპა გყოლია, — უთხრა გუბაზს, — რამდენი რამე იცის ნიკა პაპასავით. მამამ მითხრა: მაგისთანა ყოჩალი, თავის საქმეზე შეყვარებული მეტყევე ძნელად მოიძებნებაო.

— სამაგიეროდ, ბევრი მომდურავიც გაიჩინა! — უპასუხა გუბაზმა.

— რას ამბობ, განა ვინმე ჰყავს მომდურავი სანდრო პაპას?

— რამდენიც გინდა — შეშის ქურდები, ბრაკონიერები... ზოგი ემუქრება კიდეც.

გუბაზმა მერის წინადღეს გამომძიებელთან შეხვედრის ამბავი უამბო, ხოხბის საჭერი ანკესებიც უჩვენა.

ეზოდან სანდრომ დაიძახა:

— წავიდეთ, ყმაწვილებო!

— სად მივდივართ? — მერი გუბაზს მიაჩერდა.

— კბილამთაზე!

— ვაი, რა კარგია! შორს არის?

— წამოდი, დაგანახო! — გუბაზი ეზოში გაუძღვა მერის, საყარაულოს უკან წამომართული მთა დაანახვა. უნდოდა, ისიც ეთქვა, რაც კბილამთას მოელოდა, მაგრამ ვერ მოასწრო: გოგონამ აღტაცებით შეავლო თვალი ტყიან მთას და, ჩქარა წავიდეთო, სანდრო პაპასკენ გაიქცა.

გუბაზმა ქოხი ბოქლომით დაკეტა. გასაღები პაპას მისცა. ეზოდან გავიდნენ და ბილიკს დაადგნენ.

ორასიოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, სანდრო პაპამ ხევი მარცხნივ დატოვა და მის მარჯვნივ, ოდნავ შემაღლებულ, თხილის კორომიან ნაპირზე შედგა ფეხი.

ყმაწვილებმაც აივაკეს.

საითაც გაიხედეს, სულ თხილი იდგა. გეგონებოდათ, საგანგებოდ გაუშენებიათო.

— თათრის ჯიშისაა თხილი: სადმე ფესვი თუ გაიდგა, უსაშველოდ მრავლდება, რომ მოიწადინო, წერაქვითაც ვერ ამოძირკვავ, — ჩაილაპარაკა თავისთვის სანდრომ.

მართლაც საოცრად გაეხარა თხილს. მსხვილ ხეებს გარშემო უამრავი წვრილი ამონაყარი გაეკეთებინა. მათ ქვეშ შარშანდელი ჩამოცვენილი ფოთოლი მიწას შეზელოდა. მათში სინესტისაგან გაშავებული ძველი ნაყოფიც ჩანდა. მეტი წილი ტყის თაგვისა და თრითინასაგან იყო გულგამოჭმული. ხოლო მიწამდე ჩამოზნექილ ტოტებში ტყუპ-ტყუპად, მწვანე ლენჯოში გამოხვეული ახალი ნაყოფი ბავშვის თეთრი კიჭებივით მოჩანდა.

თხილის კორომს გასცდნენ და დაიწყო კბილამთის ტყიანი, მუხის, იფნის, ნეკერჩხლის, წიფლის, თელის, შინდისა და ზღმარტლის, ნაირ-ნაირი ჯიშის ხეებითა და ბუჩქებით, ბალახებითა და ხვიარა მცენარეებით დაფარული ფერდობი.

სამივენი ჩუმად, უმძრახებივით მიდიოდნენ აღმართიან ბილიკზე. ალბათ იმიტომ, რომ არ უნდოდათ თავიანთი ლაპარაკით ტყის იმ სიმფონიის დარღვევა, რასაც ხეებში შეყუჟული ჩიტების გალობა, ნიავის ჩუმი ქროლვა, ფოთლების შრიალი, მწერების ბზუილი და ყვავილების სურნელი ჰქმნიდა.

მთის ფერდობი უფრო და უფრო აღმართიანი ხდებოდა. ზოგ ადგილას ჩამოშვავებული მიწის ქვეშიდან თეთრი, ნაცრისფერი ან ჟანგისფერი კირქვის ქანები მოჩანდა. დახეთქილ ქანში მშრალი, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი ხის ფესვები გამოჩრილიყვნენ.

მერის ყველანაირი მცენარის ნახვა ახარებდა. გზადაგზა ფრთხილად ეფერებოდა ყვავილებს, ძირს დახრილ ხის ტოტებზე მწვანედ მოხასხასე ფოთლებს, რომელთაც ნამი ჯერ არ შეშრობოდათ.

უცებ, ცხვირწინ, კუნელის ბუჩქიდან შაშვი წამოუფრინდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უი, — შეჰკივლა მერიმ და შედგა.

— ნუ გეშინია. შაშვია, — თქვა გუბაზმა, — აქ ბუდე ექნება!

შაშვი ხეებს შორის გაფრთხიალდა და შეშფოთებული ჭახჭახით დაეშვა ქვემოთ.

გუბაზი კუნელის ბუჩქთან მივიდა, შეათვალიერა, მოდი აქაო, ანიშნა მერის და ტოტებშუა გაახედა. ფერდობისკენ გადახრილ ტოტზე ბუდეც ჩანდა და შიგ განაბული შაშვის ბარტყებიც.

გუბაზმა გზადაგზა დილით ჯიხვაჩიტებთან შეხვედრის ამბავი უამბო მერის და შეჩერდნენ. სანდრო პაპა მაყალო ვაშლთან იდგა და ათვალიერებდა, უხარნიაო, — თქვა კმაყოფილმა.

გუბაზი პაპას გვერდში ამოუდგა.

— რას უხარნია?

— ამ მაყალოზე მარტის ბოლოს კეხურა ვაშლის კვირტი დავამყნე, — სანდრომ ტოტი ფრთხილად დასწია, — ნახე, რამოდენა ყლორტად ქცეულა!

— მეც მაჩვენეთ, რა! — კისერი წაიგრძელა მერიმ.

— ეს წლევანდელი დამყნობილია, აი ეს კი — შარშანდელი, — სანდრომ სხვა ტოტი მოიწოდა, რომელსაც მაყალო ვაშლთან შედარებით რამდენიმე ცალი მსხვილი მოგრძო ნაყოფი ესხა.

— ესეც კეხურაა? — იკითხა მერიმ.

— არა, სინაფია!

— სხვაგანაც გაქვთ, სანდრო პაპა, ხეები დამყნობილი? — დაინტერესდა გოგონა.

— ბევრგან. გაზაფხულობით მოვიმარაგებ ხოლმე სხვადასხვა ჯიშის ხეხილის კვირტებს, პატარ-პატარა საკვირტე კალმებს, ჯიბეში დანასა და სელის ძაფს ჩავიდებ და დავდივარ ტყეში. მყნობა სახალისო, თანაც სასარგებლო საქმეა. ვთქვათ, მიდიხართ ტყეში და პანტაზე მსხვილი, მუშტისხელა მწიფე გულაბი ნახეთ, არ გაგიხარდებათ?

— მე ერთი მწერალი ვიცი, სანდრო პაპა, დადის ისიც თქვენსავით ტყეში და ხეს ხეზე ამყნობს! — თქვა მერიმ.

— რევაზ ინანიშვილი, — წამოიძახა გუბაზმა, — ბავშვების საყვარელი მწერალი და მეგობარი. შარშან სკოლაში მოვიწვიეთ, შეხვედრა გვქონდა.

— ჩვენც შევხვდით რეზო ძიას. მოთხრობა „ბლუკები“ წაგვიკითხა. ბევრი ვიცინეთ. მაშინ გავიგე, რომ რეზო ძიას ბუნებაში მოგზაურობა უყვარს და ის მშვენიერი მოთხრობები, ჩვენ რომ მოგვწონს, ბუნებასთან მეგობრობის ნაყოფია.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს სიკეთის მთესველ ყველა კარგ ადამიანს! — დაილოცა ტყისმცველი, გზა განაგრძო და, დღეს რა დღეაო, იკითხა.

— პარასკევი! — უპასუხა გუბაზმა.

— ჩვალ შაბათი, ზეგ — კვირა, — გამოთვალა დღეები სანდრომ. — კვირას, ჩემო გუბაზ, მე და შენ სახლის კრამიტს გავასწორებთ, თორემ ბებიაშენი შინ აღარ შემიშვებს, ჭერიდან წყალი ჩამოდისო.

— წინათ ქიზიყში დღეებს, იცი, რა სახელებს ეძახდნენ? — ღიმილით უთხრა მერიმ გუბაზს.

— რასაც ეხლა ვეძახით! განა სხვა სახელები ერქვა? — გაიოცა გუბაზმა.

— ერქვა, — დარწმუნებით თქვა მერიმ. — ორშაბათი, მაგალითად, ორშალალა იყო, სამშაბათი — სამშალალა!

— ოთხშაბათი — ოთხშალალა, ხუთშაბათი — ხუთშალალა! — სხაპასხუპით გააგრძელა ბიჭმა.

— პარასკევი?!

— პარასკლალა!

— არა, არა, — აკისკისდა მერი, — პარასკევს პაალალა ერქვა!

— შაბათს — შაბათლალა? — გაიცინა გუბაზმა.

— არა, შაბათს — შაალალა!

— კვირას?

— მაგას სულ ვერ გამოიცნობ, ვერც მიამგვანებ!

— თუ მასეა, თქვი!

— კვირას ყვინტილა ერქვა!

— ვინ გასწავლა ყველაფერი ეს?

— ნიკა პაპამ. სხვა რამეებიც მითხრა. სანდრო პაპასავით ბევრი რამ იცის. ერთხელ ჩვენს ეზოში ამოსული ბალახი მიჩვენა. მრავალძარღვასავით ბრტყელი, მოგრძო ფოთლები აქვს, ოღონდ ბუსუსიანი. გრძელღეროიან ყვითელ ყვავილს იკეთებს. ამას ანდრია პაპა ჰქვიაო.

გუბაზმა ეშმაკურად ჩაიცინა:

— მივხვდი, რატომ ეძახიან იმ მცენარეს ანდრია პაპას!

— რატომ?

— იქნებოდა ვინმე ანდრია პაპა, რომელსაც იმ ყვითელყვავილიანი მცენარისაგან წამლის დამზადება ეცოდინებოდა. ჰოდა, ადგნენ და მის პატივსაცემად დაარქვეს!

— ყოჩაღ, მიხვედრილი ბიჭი ხარ, ნიკა პაპამაც მასე თქვა, — დაეთანხმა მერი.

ტყისმცველი მთის ფერდობზე ერთ შევარდნილ, ტახტივით მოსწორებულ ადგილზე გაუძღვა ყმაწვილებს. მეჩხერ, ბარდებგამოკაფულ ხეებს შორის მოულოდნელად თლილი ქვით ნაგები პატარა ტაძარი გამოჩნდა. გუმბათს აქა-იქ კრამიტი ასცვენოდა და ზედ მცენარეებს გაედგათ ფესვი. ვიწრო თაღოვან შესასვლელს ქვაში გამოკვეთილი ჯვარი ამშვენებდა.

დასასრული მომდევნო ნომერში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა წყარო გვქონია



ზურაბ სარჯველაძე,
პროფესორი

ამ წერილში ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს ქართული დამწერლობის ისტორიის შესახებ. მეორე ცნობა ჩვენი ანბანის შექმნის შესახებ სომხურ წყაროებს დაუცავთ. უპირველესად უნდა დავასახელოთ V საუკუნის მოღვაწის კორიუნის თხზულება „მესროპ მაშტოცის ცხოვრება".

მესროპი ცნობილი სომეხი მოღვაწე ყოფილა. იგი დაიბადა დაახლოებით 361 წელს. ერთხანს სამხედრო პირი იყო, შემდეგ კი ბერად შედგა. მან გადაწყვიტა, შეექმნა სომხური დამწერლობა.

კორიუნის თხზულებაში დაწვრილებით არის მოთხრობილი იმ ძნელი გზის შესახებ, რაც ამ მიზნის მისაღწევად განვლო. თავდაპირველად მან და სომეხთა კათალიკოსმა საჰაკმა ის ანბანი გამოიყენეს, რომელიც სირიაში შეუქმნია სირიელ მღვდელს დანიელს სომხურისათვის. ამის შესახებ მესროპმა და საჰაკმა შეიტყვეს სომეხთა მეფის ვრამშაპუჰისაგან. ორი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ სომეხ ბავშვებს ახლად შექმნილ სკოლებში დანიელის შექმნილ ანბანს. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ სირიული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი ანბანი სომხურისათვის გამოუსადეგარი იყო. ამის ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ სომხური და სირიული ენების ფონეტიკური სისტემა ერთმანეთისაგან მკვეთრად სხვაობს. სირიულს სრულიად არ მოეპოვება მთელი რიგი თანხმოვნებისა, რომლებიც სომხურს აქვს და, პირუკუ, სომხურს არ გააჩნია შესაბამისი ბგერები ზოგი სირიული ბგერისათვის. ბუნებრივია, რომ ანბანი, რომელიც სირიულის საფუძველზე იყო შედგენილი, სომხური ენის ბგერით სისტემას ზუსტად ვერ ასახავდა. ვიმეორებთ, ეს ცხადი გახდა ორი წლის უშედეგო ექსპერიმენტის შედეგად (ისე კი, ამ უბრალო ჭეშმარიტების გარკვევას ორი წელიც არ უნდა დასჭირვებოდა).

მესროპ მაშტოცი თავისი მოწაფეებითურთ გაემგზავრა შუამდინარეთში. აქ მან შექმნა სომხური დამწერლობა, გამოიყენა ამ მიზნით ბერძნული და სირიული დამწერლობები. სამეცნიერო ლიტერატურაში დავაა სომხური ანბანის შექმნის თარიღის შესახებ: ასახელებენ 395 წელს და 405 წელს.

სომხური ანბანის შექმნის შემდეგ მესროპმა და მისმა მოწაფეებმა დააარსეს სკოლები, ხელი მიჰყვეს სახარების (წიგნი, რომელშიაც მოთხრობილია იესუ ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ) თარგმნას, გადაწერასა და სწავლებას.

ასე გვიამბობს კორიუნი — მესროპ მაშტოცის ერთ-ერთი მოწაფე — სომხური ანბანის შემოღების ამბავს. მესროპ მაშტოცსა და მის შეგირდებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. მით უფრო საოცარია, რომ ვითომდა მესროპს უმტკივნეულოდ, სრულიად ადვილად შეუქმნია ქართული დამწერლობა. კორიუნის სიტყვებით, მას შემდეგ, რაც მესროპმა სომხური ანბანი შექმნა, მან იზრუნა მეზობელი „ბარბაროსი ქვეყნებისათვის": მესროპ მაშტოცმა „ღმერთისაგან მისთვის ბოძებული მადლით" შეადგინა ქართული ანბანი, გამოემგზავრა საქართველოში, წარუდგა მეფეს და კათალიკოსს. ქართველთა მეფე ბაკური და კათალიკოსი მოსე მორჩილად უსმენდნენ მას. მესროპმა მათ უჩვენა მის მიერ შექმნილი ქართული ანბანი. მისი ხელმძღვანელობით დაიწყეს ქართველი ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლება, აგრეთვე წმინდა წიგნების თარგმნა.

ამრიგად, კორიუნის თხზულების მიხედვით, მესროპ მაშტოცმა შექმნა ქართული ანბანი და, საერთოდ, აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი ლიტერატურის უპირველესი ძეგლების თარგმნაში.

კორიუნის თხზულებაში ნათქვამია, რომ მესროპ მაშტოცმა შექმნა ალბანური ანბანიც (ალბანელები ცხოვრობდნენ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ისინი მიეკუთვნებოდნენ კავკასიური მოდგმის ხალხებს).

კორიუნის ეს ვერსია ფართოდ არის გავრცელებული სომხურ ისტორიოგრაფიაში. მას მეტ-ნაკლები ცვლილებებით იმეორებენ სხვა ძველი ავტორები, მას ემყარებიან და უკრიტიკოდ იღებენ თანამედროვე სომეხი მეცნიერები. ეს ცნობა საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსულ და ევროპულ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში.

რამდენად სარწმუნოა ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული ანბანი შექმნა არა ქართველმა, არამედ სომეხმა მოღვაწემ? ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადასაჭრელად უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ გარემოებას: მესროპმა არ იცოდა ქართული ენა, ანბანის შექმნა უცხო ენისათვის კი სრულიად წარმოუდგენელია. დამწერლობის შექმნა მოითხოვს უდიდეს ენათმეცნიერულ ალღოს, იმ ენის ზედმიწევნით ცოდნას, რომლისთვისაც იქმნება ანბანი. საჭიროა ენის ფონეტიკური სისტემის ღრმა ანალიზი, უნდა გამოიყოს ბგერითი ერთეულები და მათი შესაბამისი ასო-ნიშნები (გრაფემები) შეიქმნას. ცხადია, ის პირი, ვინც არ იცის ესა თუ ის ენა, უძლურია (როგორც უნდა მოინდომოს) შექმნას ამ ენისათვის დამწერლობა.

აქ შეიძლება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თუ როგორ გაუძნელდა მესროპ მაშტოცს, შეექმნა ანბანი მშობლიური ენისათვის. ის არ იყო დაჯილდოებული ენათმეცნიერული ალღოთიც. ამის მოწმობაა მისი „სირიული სომხური ანბანის" სომხურ სკოლებში სწავლების ექსპერიმენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივად დაისმის კითხვა: იციან თუ არა ამ დაბრკოლების შესახებ სომეხმა და სხვა ეროვნებათა იმ სპეციალისტებმა, რომლებიც ჯიუტად ამტკიცებენ ქართული დამწერლობის სომხურიდან მომდინარეობას? ალბათ იციან. ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდნენ, რადგანაც ამ გარემოებათა შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში ნათლად მიუთითეს ი. ოქრომჭედლიშვილმა და მ. ჯანაშვილმა, უკანასკნელ ხანებში — თ. გამყრელიძემ და სხვებმა (აქვე შევნიშნავთ, რომ ი. ოქრომჭედლიშვილის ნაშრომი გამოქვეყნდა რუსულად, თ. გამყრელიძისა — რუსულ და ევროპულ ენებზე). ამრიგად, იციან და თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს ერთადერთი — კორიუნის თხზულება არის ჭეშმარიტების მღაღადებელი. კიდევ უფრო უცნაურია ერთი რამ: არაერთი სომეხი სპეციალისტი თვლის, რომ „მესროპ მაშტოცის ცხოვრება“, როგორც საისტორიო თხზულება, სრულიად გამოუსადეგარია, მაგრამ მაინც ვერ ელევიან ცდუნებას, გაიზიარონ კორიუნის თხზულების ვერსია კავკასიის ხალხთა ანბანის შექმნის შესახებ.

„მესროპ მაშტოცის ცხოვრების“ ხელნაწერები გვიანდელია. მათგან უძველესებს XIV-XV საუკუნეებით ათარიღებენ. როგორც ცნობილია, სომეხთა და ქართველთა ეკლესიებს შორის მოხდა განხეთქილება VII საუკუნის დასაწყისში. ამ მოვლენას შედეგად მოჰყვა ძველი წერილობითი წყაროების შესწორება-დამახინჯებანი. როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, სწორედ გვიანდელი შენატანია კორიუნის თხზულებაში ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული (და ალბანური) ანბანი მესროპმა შექმნა. ამას მოწმობს ის, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპელი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა კორიუნის ზემოხსენებულ თხზულებას (თავის ისტორიულ ნაწარმოებში ფარპელი ახსენებს კორიუნს ხაზგასმული პატივით), მესროპ მაშტოცს მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად ასახელებს. ამასვე მოწმობს ისიც, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ (მასში თავმოყრილია სომეხ და ქართველ სასულიერო პირთა პოლემიკის ამსახველი მასალები; წიგნი სომხურადაა ჩვენს დრომდე მოღწეული) არ არის ცნობა, რომ ქართული ანბანი მესროპის შექმნილია. ყოველივე ზემოთქმული აშკარას ხდის, რომ კორიუნის „მესროპ მაშტოცის ცხოვრება“ თავდაპირველად არ შეიცავდა ცნობას იმის შესახებ, რომ ქართული (აგრეთვე ალბანური) დამწერლობა შექმნა მესროპ მაშტოცმა. ეს ცნობა გვიანდელი ჩანართია.

შეიძლება არც ღირდეს სხვა საკითხებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ მოკლედ მაინც მივუთითებთ ზოგ მათგანზე: ა) მკვეთრი სხვაობაა ქართულ და სომხურ ასოთა შორის. თუ დავუშვებდით, რომ ორივე ანბანი ერთი და იმავე პირის შექმნილია, ამ სხვაობის ახსნა მეტად გაჭირდებოდა; ბ) დიდად სხვაობს ქართულ და სომხურ ასოთა რიგი და რიცხვითი მნიშვნელობები. ორიოდე მაგალითი: ქართულში მანს მე-18 ადგილი უკავია, მისი რიცხვითი მნიშვნელობაა 40; სომხურში მ-ს უკავია მე-20 ადგილი, გამოხატავს 200-ს. ქართულში წილი 4000-ს აღნიშნავს, სომხური წ-50-ს; ქართული ძილი 3000-ს გამოხატავს, სომხური ძ— 80-ს და მისთანანი. ბუნებრივია, ეს აუხსნელი იქნებოდა, თუ სომხური და ქართული დამწერლობები ერთი და იმავე პირის ხელიდან გამოვიდა. გ) სომხური და ქართული ენების ფონეტიკური სისტემები ერთმანეთთან მეტად ახლოს დგას, იმდენად ახლოს, რომ ქართული ანბანით თითქმის ზედმიწევნით შეიძლება ჩავწეროთ სომხური ტექსტი და პირუკუ — სომხურით ქართული. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, დავსვათ კითხვა: რატომ არ გაითვალისწინა ეს გარემოება მესროპ მაშტოცმა? მას ხომ სრულიად თავისუფლად შეეძლო სომხური ანბანი მიესადაგებინა ქართული ენისათვის და თავიდან აეცილებინა ახალი, სრულიად განსხვავებული ანბანის შექმნასთან დაკავშირებული გარჯა? რა თქმა უნდა, მესროპი ასეც მოიქცეოდა, იგი რომ ყოფილიყო ქართული ანბანის შემოქმედი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმას, რომ ცნობა ქართული დამწერლობის მესროპ მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ ლეგენდას წარმოადგენს. ეს ლეგენდა შეიქმნა გარკვეულ წრეებში სრულიად აშკარა მიზნით — გაეყალბებინათ ქართული დამწერლობის შექმნის ნამდვილი ისტორია.

დასასრულ, გვინდა ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას: რ. პატარიძემ ამ ოციოდე წლის წინათ გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც მან წარმოადგინა სომხური დამწერლობის გრაფიკული მეთოდით ანალიზის შედეგები. მან გამოყო სომხურ ასო-ნიშანთა სამი ჯგუფი: „სემური“, „ბერძნული“ და „ქართული“. თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია ის ასოები, რომელთაც შესაბამისი დამწერლობის პროტოტიპები (ამოსავალი ნიშნები) მოეპოვებათ. კერძოდ, „ქართულ“ ჯგუფში შედის შვიდი სომხური ნიშანი. მათ საფუძველს წარმოადგენს ქართული ასომთავრული Ⴝ ნიშნის მოხაზულობა. აქ ალბათ საჭიროა გავიხსენოთ ის, რომ მესროპმა იმოგზაურა შუამდინარეთში, გაეცნო ბერძნულ და სირიულ ანბანს (რომელიც ფინიკიურის მონათესავეა). სწორედ ამ ფაქტს კარგად შეესაბამება სომხურ ანბანში „სემური“ და „ბერძნული“ ჯგუფების გამოვლენა. ცხადია, მესროპი გაეცნობოდა და გამოიყენებდა ქართულ ანბანსაც (რომელიც მის დროს უკვე არსებობდა; ამას ადასტურებს სომხური ანბანის სისტემაში „ქართული“ ჯგუფის გამოვლენა). ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ კორიუნი, როგორც პატიოსანი ავტორი, ამ მოვლენის შესახებ ცნობას გარკვეულ ადგილს დაუთმობდა კიდეც თავის თხზულებაში, მაგრამ შემდგომში სწორედ ამ ფაქტის მოსაჩქმალავად ამოიღეს ეს მითითება კორიუნის თხზულებიდან და იგი სრულიად საპირისპირო ცნობით შეცვალეს.

კიდევ ერთხელ უნდა გავხაზოთ, რომ სომხურ წყაროებში მოღწეულ

# მაღალი ზნეობის გაკვეთილი

## (ოლღა გურამიშვილის ცხოვრებიდან)

საქართველოს ბევრი უბედური დღე გასთენებია. მაგრამ ის დღე — 1907 წლის 30 აგვისტო — განსაკუთრებული იყო. გლოვობდა თბილისი, გლოვობდა კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა... „მთელმა ერმა, მთელმა საქართველომ კიდით-კიდემდე ძაძა ჩაიცვა და დიდებულად იგლოვა ილია, რომელმაც სიკვდილამდე თავისი უბით ატარა საქართველოს ბედი და უბედობა“, — ასე იგონებდა ამ უმძიმეს დღეებს ცნობილი ქართველი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი.

გავიდა კიდევ ერთი წელი, ამასობაში ილიას მკვლელთაგან სამს, რომლებიც იმთავითვე დააპატიმრეს, სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

მაგრამ... მოვუსმინოთ იაკობ გოგებაშვილს: „გაზეთებში ღაღადისი გაისმა ბოლო ხანს შესახებ იმისა, რომ ილიას მკვლელები... სიკვდილით არ იქნენ დასჯილნი. რადგანაც ასეთი მათი დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულს მიმართულებას უღმრთოდ მოკლული პოეტისას. ეს სასიქადულო აზრი ჯერ გამოითქვა ქართულს გაზეთს „დროება“-ში, მერე მას ბანი მისცა ორმა რუსულმა გაზეთმა „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“ და „ნოვოსტი ზაკავკაზია“. ამის შემდეგ თვით საზოგადოებაში გამოირკვა ის აზრი, რომ არზა მიართვან გენ-გუბერნატორს სასჯელის შემცირებაზეც ქართულის საზოგადოების წარმომადგენლებმა... მაგრამ ყველას წინ გაუსწრო მოსიყვარულე გულმა უკვდავი ილიას მეუღლისამ. კნეინა ოლღა თადეოზის ასულმა წარსულს ორშაბათს დაამზადა შესაბამისი თხოვნა გენ-გუბერნატორის სახელობაზე... თავის არზაში ყოვლად ღირსეული ქვრივი ილიასი გენერალ-გუბერნატორს სთხოვს, სიკვდილით ნუ დასჯიან მისი მეუღლის მკვლელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვრისათვის პატიება მტრებისაო“....

ამ თხოვნას, რომელიც დაბეჭდილა როგორც ადგილობრივ რუსულ, ასევე რუსეთის პრესაშიც, უზომოდ აუღელვებია მთელი რუსული მოწინავე საზოგადოებრიობა. აი, რა დაუწერია ამის თაობაზე „რუსსკიე ვედომოსტი“-ში ერთ-ერთ რუს ლიტერატორს: „როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსაო“.

აგერ უკვე ოთხმოც წელზე მეტია, არ მოშუშებია ილიას მხეცური მკვლელობით დაწყლულებული გული საქართველოს, არ განელებია არც მისი დიდებული ქვრივის მაღალი საქციელით მოგვრილი აღფრთოვანება და ტკივილი.

---

ცნობას ქართული ანბანის შექმნის შესახებ არავითარი საისტორიო ღირებულება არ გააჩნია.

ქართული ანბანის შექმნის შესახებ სხვადასხვა თეორია არსებობს. გავეცნოთ ზოგ მათგანს. ეს მიმოხილვა დავიწყოთ ივანე ჯავახიშვილის თეორიით. დიდმა მეცნიერმა თავისი თვალსაზრისი გადმოგვცა წიგნში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (ეს უაღრესად საინტერესო ნაშრომი პირველად 1926 წ. გამოიცა). ივ. ჯავახიშვილი ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემას იკვლევდა გრაფიკული შედარების მეთოდით: იგი ქართულ ასო-ნიშნებს სხვა დამწერლობათა ასო-ნიშნებს უდარებდა მოხაზულობის მიხედვით.

ივ. ჯავახიშვილმა გრაფიკული მოხაზულობის მიხედვით ერთმანეთს შეუდარა ქართული, ბერძნული და სემიტური დამწერლობანი, და დაასკვნა, რომ ქართული ანბანი მომდინარეობს ფინიკიური დამწერლობიდან (ფინიკიელები, როგორც წინა წერილში ვთქვით, სემიტური მოდგმისანი იყვნენ; ისინი ითვლებიან უძველესი ანბანური დამწერლობის შემქმნელებად). ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ქართული ანბანი შეიქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში მაინც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას 2600 წლის ისტორია აქვს. სწორედ ამ თვალსაზრისს ემყარებოდა გალაკტიონი, როცა ამბობდა:



„ოცდაექვსი საუკუნის
წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს“.

სემიტურ სამყაროსთან აკავშირებდა ქართულ ანბანს მ. ჯანაშვილიც. ოღონდ იგი თვლიდა, რომ ჩვენი დამწერლობა შეიქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მ. ჯანაშვილს არ დაუსაბუთებია თავისი ვარაუდი.

ივ. ჯავახიშვილის თეორიის გაზიარებას მრავალი დაბრკოლება ეღობება. მათგან არსებითია შემდეგი: ქართველ და ფინიკიელ ხალხებს არ ჰქონიათ ურთიერთობა. ამდენად, ქართული ანბანის ფინიკიურიდან მომდინარეობის მტკიცება ჭირს. ზოგ სხვა მომენტს ქვემოთ შევეხებით დამატებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფურისულას სურნელი მთვარიან ღამეს

დოდო ვადაჭკორია

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

ის დაღმართი სამ ქუჩას მდინარესავით ჰყოფს და რუსთაველის პროსპექტს უერთდება. ორი ქუჩა ერთი სიგრძისაა, მესამე — ზემოთა, უფრო მოკლეა.

იმ მეორე ქუჩის ორივე მხარეს თელებია ჩამწკრივებული. ზაფხულში მუდამ ჩრდილია ამ ქუჩაზე. ერთი, ყველაზე ბრგე და დაკოჟრილი თელის წინ თუჯის პატარა შავი ჭიშკარია, ეზოს სიღრმეში ერთსართულიანი აივნიანი სახლი დგას. სახლს პირი აღმოსავლეთისკენ აქვს მიქცეული და ჭიშკარს გვერდულად დაჰყურებს. იმ გვერდზეც კუთხურად გადმოსულ აივანს კუტიკარი აქვს. კარს სარაზი შიგნიდანა აქვს მიჭედებული და ერთთავად რაკარუკი გაუდის. ვინც აივნის იმ დაბალ კარში შემოდის, ჯერ ხელის ფათურით სარაზს მოძებნის ხოლმე, მერე თითს აჰკრავს, შეაღებს და იქვე ჩარაზავს. სახლში რამდენიმე ახალფეხადგმული ბავშვია და ეშინიათ, კიბეზე არ დაგორდნენ.

ამ სახლში ცხოვრობენ ბიძინა და დედამისი.

— ბიძინაა! ბიძინა! — ჭიშკართან შევდგები ხოლმე და ვეძახი. ბიძინაც მალე გამოჩნდება, ჭიშკარს ჭრიალით გამოაღებს, მოკლე-მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით წამოვა ჩემკენ.

იმ დღესაც შევძახე:

— ბიძინა!

— რომ არ არის შენი ბიძინა შინ, პატარა ქალო? — გამომძახა ვიღაცამ. თავიდან ვერ მივხვდი, საიდან მელაპარაკებოდა. ჩემამდე ძლივს აღწევდა მოქნეული წკეპლის ტლაშუნი, ცვიოდა მატყლის ფანტელები. მივხვდი, ვიღაც მატყლს პენტავდა და ისე მელაპარაკებოდა.

„ჯერ ეს ერთი, სად წავიდა ბიძინა უჩემოდ და მეორეც, საიდან მოიტანა, რომ ბიძინა ჩემია?“ — გავიფიქრე.

— სიტყვას არ გვიტოვებ, ისე მიდიხარ? ბიძინას რა ვუთხრა, ა? — ისევ გამომელაპარაკა მპენტავი.

— არა უშავს, ბებო, გმადლობთ, — მივაძახე და წამოვედი.

— გაიზარდე, — მიპასუხა ქალმა და ისე ძლიერად დაიქნია წკეპლა, თითქოს ვიღაცამ იატაკზე ზღართანი მოადინაო.

გზაჯვარედინის მეორე მხარეს ბიძინა და მიტო იდგნენ. ჯერ ისე წავედი, ვითომც ვერ დავინახე. მინდოდა დაეძახნათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ბიჭები განზრახ არ მეძახდნენ, იცინოდნენ. მეც გამეცინა, ჩემკენ რომ წამოვიდნენ, და მოულაპარაკებლად დავეშვით რუსთაველისაკენ.

რუსთაველზე ხალხი ირეოდა.

— რა გრძელი ნაწნავები აქვს ამ გოგოს? — თქვა ვიღაცამ და ბიძინა სისხლივით გაწითლდა, დავინახე, როგორ გააყოლა თვალი მიმავალ ბიჭებს.

— თავი დაანებე, რამდენი გიჟი დადის! წამო, წყალი დავლიოთ.

შებინდებულზე ჩამოცხა ქალაქში. მერე ერთბაშად აშრიალდნენ ჭადრები და საამოდ აგრილდა. ცისფერი საღამო იდგა. ასე იცის ხოლმე თბილისში. ცისფერ საღამოს განსაკუთრებით მტკვრის ხეობიდან უჭირს წასვლა და ნისლში ჩამდგარ წყალს ალიცლიცებს. მდინარეში ქანაობენ დაყირავებული ხიდები, დიდრონი ხეები წყლის სარკეში კეკლუცობენ. ასეთ დროს რუსთაველზე სიმყუდროვეა, მხოლოდ ლაღიძის წყლების წინ აყივყივდებიან ხოლმე ბეღურები. მილეთის ხალხი დგება ხეების ძირას და მასლაათობს. მერე უცებ ჩამობნელდება და ერთბაშად უამრავი სინათლე აინთება.

„ლაღიძის წყლებში“, პირდაპირ კედელზე, მის ზედა ნაწილში განიერი პანოა. — მინდვრის ყვავილებში წითელი ყაყაჩოები ყელყელაობენ. მინის მაღალ-მაღალ ჭიქებში ნაირფერი წყალი ისხმება. თეთრხალათიანი ქალები ჩამოაჩხრიალებენ წყალს, გრძელტარიანი კოვზებით ურევენ ჭიქების ფსკერზე ჩალექილ სქელ ვაჟინს და ჭიქებს თეთრ მარმარილოზე აჩოჩებენ.

ის ორი ბიჭი, ჩემი ნაწნავები რომ მოეწონათ, იქვე იდგა. წყალს სვამდნენ. ბიძინა უკან ამომიდგა. იმ ბიჭს გაეღიმა და ჩემზე რაღაც ანიშნა ამხანაგს. ნელა ვსვამდით გაზიან ვარდისფერ წყალს. წყლიდან ამოსროლილი შხეფები პირდაპირ ცხვირში გვხვდებოდა. გაზმა თვალები აგვიწვა და სამივეს ცხვირის წვერები გაგვიწითლდა... ჭიქა არ მომიშორებია, ისე გამეცინა და ბიჭებს შევხედე. ბიძინა და მიტოც იცინოდნენ, თეთრი კბილები უელავდათ ფერად წყალში. ბიძინამ შუბლი შეიკრა და ვითომ დამიბღვირა, მეც დავუბღვირე და ისევ გავიცინეთ.

— რას იკრიჭებით, ჩვენ დაგვცინით?! — უეცრად ჩვენკენ წამოვიდა იმ ბიჭთაგან ერთ-ერთი.

— შენ ვინა ხარ?! — უეცრად მოვიშორე ჭიქა პირიდან და სველი ტუჩებით, მოწმენდაც რომ ვერ მოვასწარი, შევეკითხე. — პირველად გხედავთ და, საერთოდ, რატომ გგონიათ, რომ სასაცილოები ხართ და თქვენ დაგცინით? — გაოცებულმა შევხედე. ამ დროს შევნიშნე, როგორ ამოუდგა რამდენიმე ბიჭი ბიძინასა და მიტოს. ყველა ბიძინას შეჰყურებდა. სასწრაფოდ დავდგი ჭიქა, ასევე გამოვტაცე ორივეს ჭიქები და ისინიც დავდგი მარმარილოს სველ დახლზე. მერე ორივეს ხელი ჩავავლე, როგორც პატარებს, აქეთ-იქიდან, და კარისაკენ წავედი. ვგრძნობდი, როგორ მიძალიანდებოდნენ ბიჭები, მაგრამ ხელს არც ერთს არ ვუშვებდი. ხალხს სწრაფად შევერიეთ. ახლა უკვე თვინიერად მომყვებოდნენ, ჩხუბი გაუხუნდათ, თან სიცილით იხოცებოდნენ, ხელი შევუშვი ორივეს და დაძაბულობისაგან მხრებში საშინელი ტკივილი ვიგრძენი...

დიდხანს ვიხეტიალე ოთახში მარტოკამ. ღია ფანჯარაში, კომკავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეივნიდან, როგორც ყოველთვის, ქარს მუსიკის ნაწყვეტები მოჰქონდა. მშვიდი, თბილი ღამე იდგა. სულ ახლოს მოსულიყვნენ ვარსკვლავები. უზარმაზარი მთვარე დაუპატიჟებელ სტუმარივით შემობრძანებულიყო ჩემს ოთახში. საწერ მაგიდაზე სამელნის შავი მარმარილო კრიალებდა. ერთ მტკაველ მარმარილოზე ყავისფერ ძაღლს თვინიერად დაედო თავი. მარჯვნივ მწვანე საფარიანი ნათურა ენთო. მთვარე და მკრთალი მწვანე სინათლე საიდუმლო ელფერს აფენდა ოთახს. სიომ ფურისულას სურნელი შემოიტანა. თითქოს გული ჩამწყდა — ბიძინა მომენატრა. ჩემდაუნებურად გავუღიმე. არ ვიცი, რატომ, ნათურის ღილაკს თითი დავაჭირე და ჩავაქრე. ოთახში მაინც არ დაბნელდა — მთვარე სულელურად შემომყურებდა. შუქი თითქოს კიდეც მოემატა, დერეფანში ვიღაც შემოვიდა.

— ლუნა, ტვოი იარკი სვეტ... — წაიმღერა ჩემმა ძმამ.

„ მოვიდა და დამცინის“.

— შენი მეგობრები ისე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რუსთაველზე ისმოდა.

— ისინი არ იქნებოდნენ, ხმამაღლა ლაპარაკი არც ერთმა არ იცის, — ვიუარე.

— მომესალმნენ.

— თუ მოგესალმნენ... — ისე ვუპასუხე, მისკენ არ მივბრუნებულვარ. მერე უკან-უკან წავედი და ზურგით დავეჯახე. ალერსით თავი თავზე დამარტყა და ძალლივით შემილრინა. ასე იცოდა, როცა ძალიან კარგ გუნებაზე იყო. მინდოდა, მეკოცნა, მაგრამ ტახტზე გაგორდა და ფეხებით მომიგერია.

— რას მისჩერებიხარ ამ სულელ მთვარეს, — მითხრა და გვერდით მომისვა.

— დიდი თავხედი ვინმეა, ბოდიშიც არ მოუხდია, ისე შემოაბოტა, — გავიცინე. — მაგრამ მაინც ლამაზია.

— ყველაფერი ლამაზია, როცა თოთხმეტი წლისა ხარ, ჩემო კარგო! — მაღალფარდოვნად, დამცინავად მითხრა.

ისევ ვიგრძენი ფურისულას სურნელი.

— იგრძენი?

— რა? — ისევ ირონიულად შემომხედა. ცისფერი ძარღვი დააჩნდა შუბლზე.

— ფურისულას სურნელი, ფურისულასი...

კოტემ ხმამაღლა გაიცინა, ჩემი თავი მკლავებში მოიქცია და მოკაკული საჩვენებელი თითი რამდენჯერმე თავში ჩამიკაკუნა.

— ვაიმეე! ეს რა სულელი და მეოცნებე და მყავს, რა გეშველება შენ, ა? ცოტა თუ არ გამოფხიზლდი...

— რისგან უნდა გამოვფხიზლდე! — თავი გავითავისუფლე. — მაინც რას მიბრძანებ? — გავეპრანჭე.

— არაფრისაგან... — ცოტა ფიქრის შემდეგ მითხრა ჩუმად. ჯიბეებში ხელები ჩაიწყო. ტახტის კუთხეში ხომ იჯდა, ზურგითაც კედელს მიეყრდნო, ფეხი ფეხზე გადაიდო. — არასოდეს არ გამოფხიზლდე. რაც შეიძლება, მეტი იოცნებე... — დიდხანს იჯდა თვალდახუჭული, არ გამოველაპარაკებივარ, ვიცოდი, ფიქრობდა.

ცოტა ხნის შემდეგ დედის ფეხის ხმა მოისმა. ამ ხმამ აავსო სახლი. როცა დედა შინ არ არის, თითქოს ცარიელია ყველაფერი, გამაყრუებელი სიჩუმეა ირგვლივ. ასეთ დროს რაღაც სხვანაირი, გულის გამპობი სევდა მიპყრობს ხოლმე, ძალიან, ძალიან მარტო ვარ და არაფერი არ მინდა ამქვეყნად.

მერე... მოვა დედა და, თითქოს ხალხი გაჩნდაო... აივსება სული. ნეტავ დედას მოჰყავს ვინმე თან? ოთახში დათბება, ავეჯი და სურათები თითქოს ერთმანეთს ესაუბრებიან. ოქროსფერ ნავთქურაზე ჩაიდანიც კი უფრო საამოდ შიშინებს, როცა დედა შინაა. მართლაც, რა საოცრად შიშინებდა ჩაიდანი... დიდხანს, დიდხანს... თანდათან ემატებოდა სიძლიერე, სისინებდა, შიშინებდა, წუოდა კიდეც. მერე ჩაიდნის ტუჩიდან ორთქლი ამოვარდებოდა, გაისმოდა საამო ჩუხჩუხი. ეს განსაკუთრებით საამო იყო სტუმრიანობისას. ჭურჭლის ჭახაჭუხი, კრიალა, ჩაის ნაყენიანი, კოვზებჩაწყობილი ჭიქები.

...დედის მოსვლამ ფურისულას სურნელი უფრო გააძლიერა. კოტე ხელების სრესით მოვიდა მაგიდასთან, კარგა მოშიებული მოგვიჯდა გვერდით. ჩაიდინა ისევ საამოდ შიშინებდა, ამოდიოდა ორთქლი. ტრიალებდა ფურისულას სურნელი.



## ფურისულას სურნელი თოვლიან ღამეს

იმ ღამეს თოვდა, კარგად ბარდნიდა, მაგრამ მალე შეწყდა თოვა. მოკრიალებულ ცაზე უამრავი ვარსკვლავი ციმციმებდა. თოვლს მთები ვერ დაეფარა, აეჭრელებინა მხოლოდ. ყველაფერი თითქოს ყინვას ელოდა.

არ ვიცი, რა სჯობდა — იქ, კინოში ჯდომა თუ გამჭვირვალე, ცივი ჰაერის სუნთქვა და სეირნობა.

შევუდექით ჯერ კიდევ გაუკვალავ აღმართს. ოთხი ნაფეხური უკან კუდივით მოგვდევდა. მივდიოდით ნელა, თოვლი ფეხქვეშ ჭრაჭუნებდა. უკან-უკან ვიცქირებოდით. ჩვენი სიცილი კრიალა ჰაერში ზარივით ისმოდა.

უეცრად მოსახვევში დიდ ბრტყელ ქვასთან აღმოვჩნდით. ბიძინას ორი-

ვე ფეხი აუსხლტა ერთად, ზურგით ჩემკენ წამოვიდა. მე მხრებში შევუდექი და შევაკავე. ბიძინამ ძლივს მოიკიდა ფეხი თოვლით დაფარულ ქვაზე. სიმძიმე მომეხსნა, მაგრამ ხელი მაინც არ გავუშვი, ალბათ მეშინოდა, ისევ არ დაცურებულიყო.

გავიტრუნეთ. ჩვენი სახეები უნებურად , ერთმანეთს მიჰკვროდნენ. რაღაც ფრთხილი, სიოს მაგვარი ვიგრძენი ყვრიმალთან, თვალთან, მერე წამწამებიც შემეხო და ფურისულას თუ ატმის საამო სურნელი ვიგრძენი, სწორედ ისეთი, ჩემს ძმას რომ აქვს. ნელ-ნელა შევუშვი მკლავები, ბიძინა უკან არ იხევდა, ცოტა გაოცებული ისევ ჩავეჭიდე მის მკლავებს, ალბათ მინდოდა, უკან დამეწია. უეცრად შუბლზე ბიძინას ცივი შუბლის შეხება ვიგრძენი, ცხვირი ფრთხილად გამკრა ცხვირზე, ლოყით მომელამუნა, ისე, როგორც ჩემმა კატამ იცის ხოლმე... „მაკოცა", — გავიფიქრე. ბურანში წასული იდგა ბიძინა. თვალი დაეხუჭა, წამწამების ჩრდილი ედგა ფერმკრთალ ლოყაზე, ფრთხილად მელამუნებოდა სახეზე.

რაღაც ხმა მოისმა და თითქოს დაფრთხა ბედნიერება... ისევ წავედით.

წეღან ყველაფერი მერყეოდა ფეხქვეშ. ახლა მივაბიჯებდით თეთრი ფიფქით დაფარულ მიწაზე ძალიან დაბნეულები. და არ გვინდოდა, ეს ქუჩა, ეს გზა, ეს ქვიტკირზე შემდგარი თუჯის ლობეები დამთავრებულიყო. უკან მოვიხედე, ჩვენი ნაფეხურები ვიწრო მდინარესავით შორს იკარგებოდა.

ქვიტკირის ლობეზე მუჭით თოვლი მოვხვეტე, მოვაგუნდავე. შუბლზე წავისვი და ახლა ბიძინას მივუტანე სახესთან, მაგრამ ბიძინამ შუბლი ამარიდა, მაჯაში წამავლო ხელი.

— გადააგდე, ხელი გაგეყინება!— მერე თოვლით დასველებული თითები ცხვირსახოცით შემიმშრალა, ჯიბეში თავის ხელთან ერთად ჩემი ხელიც ჩაიყო. ვიგრძენი, ჩემს გათოშილ თითებს როგორ გადაედო ბიძინას სითბო, გაიარა მკლავი, მოედო მთელ ტანს. ახლა თითქოს ორნი კი არა, ერთნი მივაბიჯებდით თოვლიან გზაზე.

ფანჯარაში სინათლე ენთო. დედაჩემის ჩრდილი ფარდას ეცემოდა, ხან ქრებოდა და ხან ისევ ჩნდებოდა. დედა რაღაცას საქმიანობდა.

— წავედი, ბიძინა! — კიბეზე საფეხურით ავიმაღლე და მის ჩაფიქრებულ სახეს ზემოდან დავაცქერდი. — იქ ფრთხილად გაიარე, — ძალიან სერიოზულად ვუთხარი.

ბიძინამ თვალებით დამამშვიდა, უხალისოდ გამიღიმა.

„რა გაათენებს ამ ღამეს", — გავიფიქრე და ხტუნვით ავედი კიბეზე.

მთელი ღამე გაცრეცილი მთვარე და აკვანივით დარწეული ცა მესიზმრებოდა. ბიძინას ბრჭყვიალა თოვლზე ფეხი უცურდებოდა, დაუსრულებლად ვეშველებოდი... გულგახეთქილს წარამარა მეღვიძებოდა, გარეთ კი ისევ ღამე იდგა და ბიძინას ალბათ თავის სახლში მშვიდად ეძინა ოთახში, სადაც ფურისულას სურნელი ტრიალებდა.

## წერილი, რომელშიც ფურისულა იდო

ტოტებგაფარჩხული ლეღვის ჩრდილი ადგა სკებს. ყოველი სკის გვერდით ბუჩქი ღვიოდა წითლად. სიმწიფისაგან დახეთქილ ლეღვებს დასტრიალებდა ფუტკარი. ფუტკრის ნაჭამი ლეღვი უფრო ტკბილია, მაგრამ შიგ არ დაგიხვდეს ფუტკარიო, გვაფრთხილებდა სახლის პატრონი.

ერთიავად ვარდის სურნელება ტრიალებდა ირგვლივ. განსაკუთრებით შუადღისას, ვარდი რომ მოითენთება მზისაგან, თავს დახრის, სამაგიეროდ, საამო სურნელს მოჰფენს არემარეს. მე კი, რა დაგიმალოთ, ფურისულას სურნელი მერჩია. ვის რა უყვარს!

ვენახში, დიდი ნიგვზის ძირას ჩემი ძმა იჯდა და წერდა. ქვიტკირის ლობესთან რუ მიჩხრიალებდა, ლობის გადაღმა ხელისგულისოდენა ვაზის ფოთლებში მზე გამდგარიყო, ნათელი ედგა ხასხასა ბალახს. პატარა, ერთსარკმლიან სახლში თუ ქოხში ელო ბებო ცხოვრობდა. ელო ბებო ფშაველი იყო. ჩვენს თვალში მას რაღაც საიდუმლოება მოსავდა.

გამოვიდოდა ეზოში და შეიჭრებოდა თუ არა ათინათში, თითქოს გამჭვირვალე ხდებოდა და ახალგაზრდავდებოდა. ვინ იცის, რამდენი წლისა იყო. თავზე გამოხუნებული, შავი, ფოჩიანი თავსაფარი ეხვია, თავის გარშემო ფოჩები უთრთოდა. ზურგს უკან დაყრილ ჭაღარა დათხელებულ ნაწნავებზეც ჩაჰყვებოდა. ნაწნავების ბოლოები ფერადფერად თასმებზე აცმული მძივებით ჰქონდა შეკრული. ტანზე ბლომა ნაოჭიანი ყავისფერი ქვედატანი და განიერი, გვერდებშეჭრილი, მუხლებამდე ჩამოშვებული კაბა ეცვა. წელზე წითელი ნაჭრის ქამარი შემოერტყა და გულისპირი ნაირ-ნაირი ფერის კაკილებით ჰქონდა მოქარგული. ფეხზე, ჭრელ წინდებზე, [illegible] ამოსხმული ქალამნები ეცვა.

ხშირად, თუ აივანზე გასულს შემამჩნევდა, ვარდისფრად აკიაფებულ სპილენძის თუნგს გადმომაწოდებდა ხოლმე ქვიტკირის ლობეზე.

თუ ლობეზე მოწეულ, შავად აკრიალებულ მაყვალს შეამჩნევდა, მეორე ხელით მომაწოდებდა და მაშინვე სხვანაირად გამიღიმებდა კმაყოფილი, თითქოს მწიფე ალუჩისფერი თვალებიც უფართოვდებოდა. ღიმილი ძალიან უხდებოდა. ერთი კბილიც არ აკლდა.

— შენმა გაზრდამ, ამივსე, შენი ნახელავი გემრიელიცაა და მჩატეც.

მეც სიამოვნებით ჩავახჩრიალებდი ხოლმე გამლღვალი ბროლივით წყალს ტუჩგამოწეულ თუნგში. თუნგი დაიორთქლებოდა და დახველდებოდა.

— აი, გაიზარდე, შემოგევლოს ელო ბებო. დაუყვედრებელი საქმე იცი. შენც არ დაგერიდოს. ქათმის გაპუტვა არ გინდა? ჰო, ჰო, ფეხები შაუკარ და გადმომაწოდე. ხელად გაგიმზადებ.

ვინ იყო, ნეტავ, ელო ბებო? რატომ ცხოვრობდა კახეთში სულ მარტო? ალბათ ვიღაცის ქვრივი იყო, მთელი სიცოცხლე შეალია თავის ვაჟკაცზე ფიქრს. ან იქნებ არც იყო ქვრივი და შეყვარებულს ელოდა და ასე წაუვიდა წუთისოფელი, გვერდით ჩაუარა ცხოვრებამ, ვერც კი შეატყო, როგორ გამოერია ჭაღარა და მოუვიდა სიბერე.

დიდოელი ცხენოსნები ხშირად მოადგებოდნენ ხოლმე ჩვენს დიასახლისს. თაფლის ყიდვა იცოდნენ. ალვირებს ლობის სარებზე ჩამოაცმევდნენ. ცხენებს თივიან პარკებში ჩააყოფინებდენ ცხვირებს, დიდრონ ქვებზე ჩამოსხდებოდნენ. მათრახები ეკიდათ მაჯებზე. ელო ბებო უსათუოდ მიადგებოდა ლობეს. ხელებს თითო-თითო სარს მოჰკიდებდა, იმ ორ სარსშუა თავს გაჰყოფდა, თითის წვერებზე აიწეოდა. საუბრობდნენ და საუბრობდნენ. დიდოელები თითო ჩაის ჭიქა ქარვისფერ თაფლს სვამდნენ, ნელი-ნელ პირის გემოს ატანდნენ. მერე ელო ბებოს წყლით სავსე თუნგს მოიყუდებდნენ, რიგ-რიგობით, ყლურწ-ყლურწით სვამდნენ. წყალი ტუჩების ორივე მხარეს ჩამოსდიოდათ და პირდაპირ პერანგის საყელოში ჩასწურწურებდათ. ცივი წყლით იგრილებდნენ თაფლისგან გახურებულ გულებს. მერე სახელოთი იმშრალებდნენ. ხელებს გულისპირზე ჩამოიხოცავდნენ ხოლმე, მუხლებზე ტორებს დაირტყამდნენ და აიშლებოდნენ. ცხენებს მარდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოექცეოდნენ ზურგზე, ელო ბებოს ქუდს მოუხდიდნენ და ქვებზე ფლოქვების თქარათქურით აუყვებოდნენ დუოუჯს.

თითქოს კარგი ფილმი მანახვესო, ისეთი ნასიამოვნევი ვიდექი ხოლმე აივანზე და ვიღიმებოდი.

სწორედ ამ ელო ბებომ გადმომაწოდა ის წერილი.

წერილი! ჯერ არ ვიცოდი, ვისი იყო, მაგრამ გული მაინც ამიჩქროლდა. სანამ ჭამდე მივიდოდი, კონვერტზე მიწერილი მისამართი ამოვიკითხე. მერე ჭიდან ელო ბებოსთვის წყალი მქონდა ამოსაღები და კონვერტის ერთი წვერი პირში მოვიქციე. არ ვიცი, როგორ დამემართა, წერილი თითქოს თვითონ გამომიფრინდა ტუჩებიდან და ფარფატით პირდაპირ კრიალა წყალზე დაეშვა. წყალი ჯერ კიდევ რგოლებად იშლებოდა და იკეცებოდა, შიგ არაფერი ჩანდა. ხელები გამიშეშდა ჯაჭვზე და მოჯადოებულივით დავაცქერდი ზემოდან. წერილი კი მოწყვეტილი ფოთოლივით, ფარფატით ეშვებოდა. ჯერ ხავსმოდებულ ქვებს მიაფრინდ-მოაფრინდა, მერე შეჩერდა და კასრის მოლიცლიცე წყალში დაეშვა, სწორედ წარწერიანი მხარით. სასწრაფოდ ამოვწიე ჯაჭვი ჭიდან, — „იქნებ მოვასწრო, სანამ არ დასველებულა-მეთქი“, — გავიფიქრე, კასრი ჭის პირზე ჩამოვდგი და კონვერტი ორი თითით ამოვიღე, გულზე მივიკარი, ალბათ გასაშრობად. თხელმა კაბამ იმ წამს შეიწოვა ქალალდის პირზე შერჩენილი სისველე და სიგრილემ მთელ ტანში დამიარა. წერილი იქვე, წვიმისაგან ნაცრისფრად გამოხუნებულ სკამზე მივაფიცხე მზეს. კასრიდან წყალი გადავღვარე და ელო ბებოს ახალი წყალი მივუტანე.

— რა იყო, შვილო, რამ შეგაწუხა? რატომ დაგაგვიანდა? — ჩამეკითხა ელო ბებო.

— წერილი ჩამივარდა წყალში, — გავუღიმე.

— უი, მომიკვდეს თავი! ეგ ხომ ჩემი ბრალია! — მუხლები ამოითქვიფა ელო ბებომ.

ფრთხილად გავხსენი დანამული კონვერტი. ფრთხილად ამოვაძრე



19.390

ორად მოკეცილი წერილი. თავჩაქინდრული, გაბრტყელებული და ფერწასული ფურისულა კალთაში ჩამივარდა. გაოცებისგან სული შემეკრა.

რა ამბავია მანდო, — იწერებოდა ბიძინა, — აქ ჯერ ზღვაში წყალი არ დამშრალა, მაგრამ რამდენი კენჭიც გდია ნაპირზე, იმდენი დამსვენებელი ზისო. ნეტავი, შენც აქ იყო, ჩვენ ბევრნი ვართ და მეცოდებიო. ვარჯიშს რომ ვამთავრებთ, მერე ვსეირნობთ, ვმღერით (მე, რასაკვირველია, არაო). გონების დაკარგვამდე ვცურავთო, ეს შენი საყვარელი ყვავილი წყლის პირას ვიპოვნე და წიგნში მქონდა შენახული. ხომ გაგეხარდაო!

გამეხარდა, აბა რა, ბიძინა! მაგრამ სულაც არ მინდა, მანდ ვიყო. პირველ სექტემბერს, დიდი ხნის უნახავი, გამოცვლილი, გაზრდილი, გარუჯული მინდა უეცრად დაგინახო, ალბათ ძალიან გამეხარდება. აი, ის სიხარული ყველაზე ძვირფასი იქნება, არა? შენთვის? შენთვისაც, მირიკოსთვის, თინიკოსთვის, ჩიტოსთვის და ყველასთვის, ვისაც ასე გვიყვარს ერთმანეთი. ჭკვიანად იყავი, ხომ, ბიძინა? ზღვა ვერაგია და გრძნეული. ზღვას რომ ვხედავ, მეშინია. სულ უფლისწულისა და ზღვის ჯადოქრის ზღაპარი მაგონდება. დარწმუნებული ვარ, ზღვის ფსკერზე ბროლის სასახლე დგას. იქ სულ სხვა ცხოვრებაა, იქ უკვდავებაა და მუდმივი სიყვარულია. სიყვარული მხოლოდ შეუწყვეტელი უნდა იყოს. ხომ არ შეიძლება დამთავრდეს დედ-მამის სიყვარული, და-ძმისა, სამშობლოსი, მაშ, მეგობრის სიყვარული რატომ უნდა დამთავრდეს?! არ შეიძლება, არა, ხომ, ბიძინა?! ხომ არ გეღიმება და ისევ მეოცნებეს ხომ არ მეძახი? — ფურისულას ვებუტბუტებოდი და თან ვფიქრობდი კიდევ რაღაცაზე, რასაც ჩემს თავსაც ვერ ვუმხელდი. დაწერილ წერილში ვარდის ფურცლები სასწრაფოდ ჩავაწყვე, წერილს ვაკოცე და კონვერტი დავხურე.

ჩვენს ბიჭებს ფეხბურთში წვრთნა აგვისტოს ბოლოს დაუმთავრდებათ. მერე კიდევ ერთი კვირა დარჩება და ჩვენც წავალთ ქალაქში. ყურში სკოლის ხმაური ჩამესმა და ვილაცამ დამიძახა. მეზობელი მოსულიყო, ერთი მრგვალი კალათით ლელვი მოეტანა და შუა ეზოში იდგა.

ჩემი ძმა აივანზე გავიდა და გაეცინა.

— შენ რა, მართლა მოიტანე ნარდში წაგებული ლელვი? — ჰკითხა. იმ ბიჭს, მგონი, შალიკო ერქვა.

ფურისულა თითქოს გამოცოცხლებას აპირებდა.

# ცხენბურთი



**გაბრიელ ბარჯაძე**

> ცხენთა ჭრიალი, შუბთა ტრიალი ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ გრიალი, ცხენით ქვე ხტომა, კვალად შეხტომა, უზანგთა ცემა და ხმალთ კრიალი.
>
> გრიგოლ ორბელიანი

ცხენბურთი ძველისძველი სპორტული თამაშია, რომელიც საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

გაგაცნობთ ამ თამაშის წესებს:

**მოედანი.** ცხენბურთის სათამაშო მოედანი სწორ ზედაპირიანი სწორკუთხედია, სიგრძით 150-200, სიგანით — 50-75 მეტრი.

მოედანი მოიხაზება კირით ან ცარცით. ხაზები მკაფიო უნდა იყოს.

მოედნის ცენტრში იხაზება 5 მ დიამეტრის წრე. მოედნის მოკლე ხაზების შუა ადგილას იდგმება ე. წ. მაყები. მაყა შედგება ორი სვეტისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან 8 მეტრითაა დაშორებული. სვეტების სიმაღლე 3,5 მეტრია. მათი წვეროები შეერთებულია დაჭიმული თეთრი ფერის ლენტით, რომლის სიგანე 8-10 სანტიმეტრია.

მაყას წინ მოიხაზება საჯარიმო მოედანი. ცხენბურთის სათამაშო მოედნის კუთხეებში დაისობა 2 მეტრის სიმაღლის ფერადი ალმები.

**ბურთი.** ცხენბურთის სათამაშო ბურთი მზადდება მაგარი რეზინისაგან. მისი გარშემოწერილობა 45 სანტიმეტრია. ბურთი თეთრია.

**ჩოგანი.** ყოველ მხედარს სათამაშოდ უნდა ჰქონდეს ჩოგანი, რომელიც შეიძლება დამზადდეს ყოველგვარი მასალისაგან, გარდა ლითონისა.

ჩოგნის დასარტყმელი ნაწილის სიგრძეა 30, ხოლო სიგანე (ყველაზე ფართო ნაწილში) — 15 სანტიმეტრი.

ჩოგნის ბადე შეიძლება იყოს დახვეული ბაწრისა, ტყავის ხვეულისა და ა. შ., მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ლითონის მასალისა.

ჩოგნის ბადის დაჭიმულობა ნებისმიერია, ოღონდ ჩოგანზე დადებისას ბურთი ბადეში უნდა იძირებოდეს თავისი არა უმეტეს ერთი მესამედი ნაწილით.

**უფლება.** მხედარს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დღეში ერთ ან ორ თამაშში.

**გუნდის შემადგენლობა.** გუნდი შედგება 6 მხედრისაგან. ყოველ გუნდს ნება აქვს, ჰყავდეს არა უმეტეს 1 სათადარიგო მხედრისა.

სათადარიგო ცხენების რიცხვი განუსაზღვრელია. გუნდს თამაშის დაწყება შეუძლია მხოლოდ მთლიანი შემადგენლობით.

თამაშში შესვლა ან გამოსვლა მხოლოდ მსაჯის ნებართვით შეიძლება. განსაკუთრებულ შემთხვევაში მხედარს შეუძლია დატოვოს მოედანი მსაჯის ნებართვის გარეშე, რაზედაც გუნდისთავი დაუყოვნებლივ აცნობებს მსაჯს. მხედარი, რომელმაც მოედანი დატოვა მსაჯის ნებართვის გარეშე, აგრეთვე მოედნიდან გაყვანილი მხედრები ჰკარგავენ თამაშის გაგრძელების უფლებას და მათი სათადარიგო მხედრით შეცვლა არ შეიძლება.

მხედრის შეცვლა ხდება ბურთის აუტში ყოფნის დროს.

**თამაშს** წარმართავს მსაჯთა კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მთავარი მსაჯი, მსაჯი მოედანზე, გვერდითი მსაჯი (2), მსაჯი მაყასთან (2), მდივანი და მსაჯი მონაწილეებთან.

შეჯიბრების დროს იქვე უნდა იყოს სავეტერინარო დახმარების პერსონალი.

**თამაშის ხანგრძლივობა.** თამაში გრძელდება 30 წუთს (შესვენება პირველი ნახევრის შემდეგ 15 წუთია).

შესვენების შემდეგ გუნდები ცვლიან მაყებს (მხარეებს).

თუ თამაში ფრედ დამთავრდა, მაგრამ აუცილებელია ამ შეხვედრაში გამარჯვებული გუნდის გამოვლინება, მაშინ ინიშნება დამატებითი დრო — 10 წუთი. თუ გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა, მეორე დღეს გაიმართება განმეორებითი შეხვედრა.

თამაშის შემდეგ გამარჯვებულ გუნდს უფლება ეძლევა, შეასრულოს „საპატიო წრე".

თამაში იწყება მოედნის ცენტრში. მსაჯი ააგდებს ბურთს ზევით და იმ მომენტიდან, როცა ბურთი მინდორს შეეხება, თამაში დაწყებულად ითვლება.

ბურთი თამაშგარეა, თუ იგი მოედნიდან გავიდა გვერდითი ხაზის ან მაყას ხაზის ჰაერში ან მიწაზე გადაჭრით.

**ბურთის თამაშში შეყვანა.** ბურთის მიერ გვერდითი ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში მსაჯი წყვეტს საკითხს, თუ რომელ გუნდს ენიჭება უფლება, შეიყვანოს ბურთი თამაშში. მსაჯის ნიშანზე ცხენბურთელს ერთი დარტყმით შეჰყავს ბურთი თამაშში. სხვა მხედრები ამ დროს ბურთისაგან დაშორებულნი არიან არანაკლებ 10 მეტრისა და თამაშის განახლების უფლება აქვთ მსაჯის ნიშნისთანავე.

იმ შემთხვევაში, თუ ბურთი პირით ხაზს უკან გაიტანა მოიერიშე გუნდის რომელიმე წევრმა, დამცველ გუნდს ეძლევა თავისუფალი დარტყმის უფლება. ამ დროს ბურთი იდება საჯარიმო ხაზის რომელიმე წერტილზე და მაყას დამცველის ჩოგნის დარტყმით შედის თამაშში.

თუ ბურთმა მაყას (პირითი) ხაზი მაყას მცველი გუნდის მოთამაშისაგან გადაკვეთა, ინიშნება „კუთხური ბურთი".

ამ შემთხვევაში მაყასთან მყოფი მსაჯი აჩერებს ბურთს მოედნის კუთხეში და მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთ წევრს მსაჯის ნიშანზე ნებისმიერი ხერხით შეჰყავს იგი თამაშში.

**სადაო ბურთი გათამაშდება:** ა). თუ ბურთი მოექცა შეჯგუფებული მხედრების ცხენების ფეხქვეშ და მოსალოდნელია რაიმე ტრავმა; ბ) უფროსი მსაჯის მიერ თამაშის გაჩერების შემთხვევაში.

სადაო ბურთი გათამაშდება ორ მოთამაშეს შორის იმ ადგილიდან, სადაც ბურთი მსაჯის სასტვენის მომენტში იმყოფებოდა.

სადაო ბურთის გათამაშების დროს ყველა სხვა მოთამაშე სადაო ბურთის გათამაშების ადგილიდან არანაკლებ 10 მეტრის დაშორებით უნდა იდგეს.

**საჯარიმო დარტყმა.** საჯარიმო დარტყმა დაინიშნება თამაშის წესების დარღვევის შემთხვევაში.

თუ მხედარმა თამაშის წესი დაარღვია თავისი საჯარიმო მოედნის ფარგლებში, ბურთს დებენ საჯარიმო ხაზზე და დაზარალებული გუნდი ერთი დარტყმით ასრულებს საჯარიმო დარტყმას მოწინააღმდეგე გუნდის მაყისაკენ. ამ შემთხვევაში სხვა მხედრები იმყოფებიან საჯარიმო მოედნის გარეთ. საჯარიმო დარტყმის შესრულება მხოლოდ მოედნის მსაჯის ნიშნით შეიძლება.

საჯარიმო მოედნის გარეთ თამაშის წესების დარღვევისათვის საჯარიმო დარტყმის უფლება ეძლევა მოწინააღმდეგე გუნდს იმ ადგილიდან, სადაც დაინიშნა საჯარიმო. სხვა მხედრები იმყოფებიან 10 მეტრის დაშორებით იმ მოთამაშისაგან, რომელიც ასრულებს საჯარიმო დარტყმას.

**წესების დარღვევა.** ცხენბურთელს ეკრძალება:

ა) თამაში დაიწყოს მსაჯის მიერ ნიშნის მიცემამდე;

ბ) ბურთის თამაში ხელით, ფეხით, თავით, სხეულის ზედა ნაწილით;

გ) მოჰკიდოს ხელი მოწინააღმდეგის ცხენს, ცხენის აღკაზმულობას, ჩოგანს და სხვ;

დ) ცხენის განგებ დაჯახება მოწინააღმდეგისათვის;

ე) ორივე მხრიდან გზის გადაჭრა და გზის გადაღობვა;

ვ) ხმაური, ყიჟინა, ჩოგნის ქნევა მოწინააღმდეგის ცხენის დაშინების მიზნით;

ზ) ჩოგნის ბურთიანად შეგდება მაყაში.

შედეგები: ბურთი გატანილად ჩაითვლება, თუ ის შევა მაყაში და მთლიანად გადაკვეთს მაყას ხაზს მაყას სვეტებს შუა.

ბურთის მაყაში გატანის შემდეგ თამაში იწყება ცენტრიდან. გამარჯვებულია გუნდი, რომელმაც უფრო მეტი ბურთი გაიტანა.





„შეხე ამ მხედრების სიმარჯვეს, რა კარგად დააგელვებენ ცხენებს! საუცხოო სანახაობაა ასე მოთამაშე ცხენები, მათ იშვიათი სიმარჯვით იციან თავის თავის მართვა, სიმკვირცხლეს იჩენენ გარკვეული მიზანდასახულობით, ისე, რომ თუ მეტი ან ნაკლები ინტერესი გამოიჩინეს, მაშინ იტყვიან, კარგად ვერ თამაშობსო".

დონ კრისტოფორო დე კასტელი მინაწერი ცხენბურთელთა თამაშის ჩანახატზე (მე-17 საუკუნე).

## ნეტავ...

კვირა თენდებოდა. მამა საქმეზე იყო წასული, დედა სამზარეულოში საქმიანობდა. მე ჯერ კიდევ ვიწექი. უცებ ზარის ხმა მომესმა. კარი დედამ გაალო და გავიგონე მეზობლის ხმა:

— უკაცრავად, შეგაწუხეთ, ნატალია, ერთი კვირით თუ შეინახავთ...

— კი, ბატონო, სიამოვნებით, აბა მომეცით, — და დედამ რაღაც გაშოართვა მოსაუბრეს. კარი დაიხურა.

დედა ოთახში შემოვიდა, ხელში გალია ეჭირა. შიგ ორი თუთიყუში იჯდა, ეტყობოდა, ბარტყები იყვნენ, ერთი მწვანე იყო, მეორე კი თეთრი. დედამ გალია საკიდზე დაჰკიდა. მე წამოვვარდი, გალიასთან მივედი. თუთიყუშებს თითქოს შეეშინდათ, დაფრთხნენ და მეორე ქანდარაზე გადასკუპდნენ. იმ დღეს საჭმელი მე დავუყარე, წყალიც მე დავუსხი და პირველად ჩემს ცხოვრებაში შევიტყვე, რომ თუთიყუშები კი არ ყლაპავენ პურის მარცვალს, არამედ არჩევენ მას ნისკარტით და მხოლოდ გულს ჭამენ. თუთიყუშები არ ლაპარაკობდნენ, ისინი მხოლოდ „კაწი"-ს იძახდნენ და ყოველ დილით ჭიკჭიკებდნენ. თუთიყუშები ჩემი მაღვიძარები იყვნენ.

სახლში მარტო რომ დავრჩებოდი, გალიასთან ახლოს დავჯდებოდი და ვფიქრობდი, რომ თუთიყუშებს ფრთები აქვთ, მაგრამ არ შეუძლიათ ფრენა, იმიტომ, რომ გალია პატარაა და ისინი მხოლოდ ერთი ქანდარიდან მეორეზე გადასკუპდებიან. და ასე განმეორდება ყოველდღე, და, ალბათ, მთელი მათი სიცოცხლის განმავლობაში.

ერთ დილით ოცნებამ გამიტაცა: ვითომ გალიის კარი გავაღე, თუთიყუშები გაფრინდნენ და ჰაერში გაინავარდეს. მალე უკან დაბრუნდნენ, ჩემი ოთახის ფანჯარას მოაწყდნენ, გავაღე ფანჯარა, თუთიყუშები ოთახში შემოფრინდნენ და ჩათქენ გაშვერილ ხელზე ჩამომისხდნენ...

დედა შემოვიდა და ოცნება გამეფანტა. გალიას შევხედე, თუთიყუშები ისევ შიგ ისხდნენ. მე გული დამწყდა, ცრემლი მომადგა და ტირილი დავიწყე. დედა მაწყნარებდა.

თუთიყუშები რომ ჩემი ყოფილიყვნენ, აუცილებლად, აუცილებლად გავუშვებდი, იმ წყეულ გალიას კი დავამტვრევდი, გავანადგურებდი.

ნეტავ სულ არ არსებობდეს ქვეყანაზე რკინის გალია — პატარა არსებების დასატყვევებელი...

მეგი ქუმსიშვილი,
ქარელი, ბრეთის საშუალო
სკოლა, X კლასი.

### დამშვიდობება

ნახვამდის, ჩემო სოფელო,
მივდივარ... ისევ გშორდები,
თვალს მიეფარნენ ოდები,
ამწვანებული კორდები.
მიმაცილებენ მერცხლები,
მტრედის ღუღუნა გუნდები...
მივდივარ, მაგრამ იცოდე,
სულ მალე დაგიბრუნდები.

### გულს მიხარებს

გულს მიხარებს მწვანე სურო,
ლურჯი ყვავილეთი
და ბალახზე შერჩენილი
მარგალიტის წვეთი.
მათრობს იის სურნელება.
ენძელების ფეთქვა...
სულ ესაა, გაზაფხულზე
რაც მინდოდა მეთქვა.

იამზე ჩხაიძე,
ლანჩხუთი, აცანის საშუალო
სკოლა, VII კლასი.

### გაზაფხული

გაზაფხული, გაზაფხული
კაბაჭრელა, მზეწვია
ზაფხულების მონატრებით
ეს რამდენჯერ გვეწვია,
აგვიყვავა მთა-გორები,
დაიმშვენა ტევრები,
სიმწვანით მოაქათიბა
ჩემი ქვეყნის ველები.

ნათია ჯალანდაძე,
თბილისი, 184-ე საშუალო
სკოლა, IV კლასი.

### რაც ლამაზია

დღესაც ესა ვარ,
ადრეც ეს ვიყავ, —
შენზე მლოცველი,
მშობელო
მიწავ!..
შენი სითბო და
შენი ალერსი
მდელოდ მიგია,
ცად მახურია;
სულ შენით არის
ჩემში ყოველი,
რაც კი კარგია,
რაც ქართულია.

ეკა კვიციანი,
მესტია, ბეჩოს საშუალო
სკოლა, IX კლასი.



„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"

ნუკრი გაფრინდაშვილი,
საჩხერე,
სოფ. სავანე,
II კლასი

# ცოტა რამ პოეტის ცხოვრებიდან

(გიორგი ლეონიძის დაბადების 90 წლისთავის გამო)

გიორგი ლეონიძე თავის ავტობიოგრაფიას ასე იწყებდა:

„დავიბადე 1899 წლის 27 დეკემბერს (ახალი სტილით). მამა მასწავლებელი იყო, წერდა მოთხრობებს (მაგალითად, „პეპელა“ და სხვ.). გარდაიცვალა 39 წლის ასაკში.

ვაჟებიდან ყველაზე უმცროსი (მესამე) მე ვარ.

ხუთი წლისამ უკვე ვიცოდი წერა-კითხვა, გლეხებს ვუკითხავდი გაზეთ „ცნობის ფურცელს“; ვაცნობდი იაპონიის ამბებს... ჩემს გათვითცნობიერებას ხელს უწყობდა მამის ბიბლიოთეკა“.

პოეტის ავტობიოგრაფიაში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი მისი შინაარსიანი ცხოვრების გზა.

პატარა გოგლა დედას სასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიუყვანია და, როგორც მამით ობოლი, პანსიონშიაც მიუღიათ.

გოგლას თავიდანვე აღელვებდა თავისი საყვარელი მშობლიური ენის აბუჩად აგდება, აკრძალვა. თურმე ერთ დღეს მორიგე ზედამხედველს გაუჩხრეკია მოსწავლეთა კარადები, გიორგის კარადაში აღმოუჩენია ორი ქართული წიგნი და გაბრაზებულს მისი პატრონისათვის ორი სილა გაუწნია.

1912 წელს, როცა გ. ლეონიძე სასწავლებლის მესამე კურსზე იყო, მან თურმე ქართული ლიტერატურის წრე შეადგინა. წრეში გაერთიანებული ახალგაზრდები გატაცებით მსჯელობდნენ არა მარტო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ლიტერატურის ცალკეულ საკითხებზე, არამედ სამშობლოს მომავალზეც.

გ. ლეონიძის თაოსნობითა და წრის წევრთა მხარდაჭერით გამოვიდა ხელნაწერი ჟურნალი „ფანდური“, რომელსაც თვითონ გოგლა რედაქტორობდა. მასთან თანამშრომლობდნენ მოწინავე მოსწავლეები: ვანო ჩოხელი, კოტე ჭრელაშვილი, გიორგი ღვთისავრიშვილი და სხვები.

ერთ დღეს კ. ჭრელაშვილმა გოგ-



ლას ახარა, ვაჟა ფშაველა თბილისში ჩამოსულა და მწერალ მელანიას სტუმრებიაო.

— მერე, მერეო? — უკითხავს გოგლას.

— როგორც მელანიას ოჯახის წევრებისგან გავიგე, ვაჟას მასპინძელთან გულახდილად უსაუბრია ახალგაზრდა პოეტების, სანდრო შანშიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის ლექსებზე და ავტორები ქებით უხსენებიაო.

სწორედ იმხანად გ. ლეონიძე ადგენდა ჟურნალ „ფანდურის“ მორიგ ნომერს და გადაწყვიტა, ჟურნალის მეორე გვერდზე მოეთავსებინა ვაჟასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი: „მთის არწივ ვაჟა-ფშაველას“. ახალბედა პოეტმა თავისი განზრახვა მაშინვე სისრულეში მოიყვანა და მეორე დღეს გაზეთში სათუთად შეხვეული ჟურნალი კოტეს ხელით ვაჟას გაუგზავნა.

ვაჟამ მოსწავლეთა ჟურნალი თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით წაიკითხა. მოიწონა და გოგლას ლექსის გასწვრივ, მეორე ცარიელ გვერდზე, დაწერა ლექსი „გიორგი ლეონიძეს“.

> სიჭაბუკის დროს პირველად
> როს ვახილებდი თვალებსა
> და ვუცქეროდი მტირალი
> სამშობლოს განაწვალებსა, —
> ვეძებდი აქეთ-იქითა
> ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
> არავინ უჩნდა დარაჯად
> ამ ჩვენს დაჩაგრულ მხარესა.
> ვტიროდი უფრო ძალიან,
> ცრემლებს ვაფრქვევდი
> მწარესა...
> დღეს, ვხედავ, გაჭმრავლებიან
> მშობელ ქვეყანას შვილები;
> მტერს არ მისცემენ სათელად
> თავის სამშობლოს გმირები,
> მირჩება წყლული გულისა,
> ვყუჩდები ანატირები.

ჟურნალ „ფანდურში“ ჩაწერილმა გამოჩენილი პოეტის ლექსმა აღაფრთოვანა გოგლა; დიდი სიხარული გამოიწვია ლიტერატურული წრის წევრებშიც. ეს ლექსი პირველად 1915 წელს დაისტამბა ჟურნალ „განათლებაში“.

როგორც გ. ლეონიძის ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, მამამისთან ვაჟას მეგობრობა მან შეიტყო ცნობილი საბავშვო პოეტის, შიო მღვიმელისაგან. საუბარში შიომ მრავალი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა წარსულიდან, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ნიკო ლეონიძისა და ვაჟას გულითად მეგობრობას. ისინი თურმე ხშირად ერთად მეცადინეობდნენ, დროდადრო სათევზაოდ და სანადიროდ მიდიოდნენ.

გ. ლეონიძეს ლექსების წერა 1909 წლიდან დაუწყია, მისი ერთ-ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ლექსი ილია ჭავჭავაძის მკვლელობას ეხებოდა. ყმაწვილი პოეტი ლექსებს აქვეყნებდა გ. ივერისპირელისა და პატარძეულელი გოგიას ფსევდონიმებით.

1913 წელს გოგლა ლეონიძეს პირველი ლიტერატურული ჰონორარი საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორ ნინო ნაკაშიძის ხელიდან მიუღია. იმ ფულით სამახსოვროდ წიგნები შეუძენია.

გოგლას ბავშვობიდანვე იზიდავდა ისტორიული წიგნები, განსაკუთრებით უყვარდა ი. გოგებაშვილის „თავდადებული ქართველნი“, აკაკის „სოლომონ დიდი“ და სხვ.

1912 წელს გ. ლეონიძემ „სახალხო გაზეთში“ გამოაქვეყნა წერილები ისტორიული ძეგლების შესახებ: „სამების მონასტერი გარე კახეთში“, „სოფელი ნინოწმინდა და მისი ტაძარი“, „ამბროსი ნეკრესელი“ და სხვ. თითოეულ წერილს ნათლად ეტყობოდა ნიჭიერი მკვლევრის მადლიანი ხელი, ძეგლებისადმი სიყვარული და გულისხმიერი დამოკიდებულება.

უფროსი თაობის მწიგნობრებიდან გოგლა დიდად აფასებდა ღვაწლმოსილ მამულიშვილებს: ზაქარია ჭიჭინაძეს, ივანე როსტომაშვილს, იოსებ იმედაშვილსა და სხვებს, ამბობდა: მათი საგულიგულოდ შედგენილი შრომები ჩვენი საიმედო მეგზურებიაო.

გ. ლეონიძემ 1916 წელს საკუთარი სახსრებით გამოსცა კრებული „საფირონი“, რომელმაც მაშინვე ყურადღება მიიქცია.

თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გიორგი ლეონიძე შევიდა ცოდნის ამ ტაძარში და მთელი მონდომებით შეუდგა მეცადინეობას. უნივერსიტეტის დამფუძნებელი ივანე ჯავახიშვილი გოგლას ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა და, მართლაც, ცხოვრებამ გაამართლა მისი მოლოდინი.

**შალვა მარკოზაშვილი,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



# ორი ტყვე

გიზელა ტორცზოი

მხატვარი ირინა რაზმაძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი გოგონა. ბოროტმა ჯადოქარმა გოგონა ტყვედ ჩაიგდო და თავისი ციხე-კოშკის ერთ განმარტოებულ ოთახში გამოამწყვდია. ცხარე ცრემლს ღვრიდა საწყალი გოგო, მაგრამ რა უშველიდა!

ერთხელ პატარა მერცხალი მიფრინდა იმ ოთახის ფანჯარასთან, სადაც გოგონა იყო ჩამწყვდეული, ფანჯრის ცხაურზე შემოჯდა და აჭიკჭიკდა. ერთ ხანს იჭიკჭიკა, მერე კი ადამიანის ხმით მიმართა ცხარე ცრემლით მტირალ გოგონას: — ჭიკჭიკ, ჭიკ-ჭიკ! ყურადღებით მისმინე, გოგონა! რაღაც უნდა გითხრა!

— მითხარი, მერცხალო, მითხარი!

— ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, — აჟღურტულდა მერცხალი. — გუშინ თეთრწვერა ბრძენ ბარნაბასთან ვიყავი.

— ბრძენ ბარნაბასთან? ვინ არის? მე რომ ასეთ ვინმეს არ ვიცნობ?! — ჰკითხა გოგონამ.

— მე ვიცნობ. მოხუც ბრძენ ბარნაბას შორს, ძალიან შორს, მთებში აქვს ბინა, ცხოვრობს ერთ გამოქვაბულში განმარტოებით, არაფერს ჭამს, მხოლოდ ნამს სვამს და ასე გადის იოლად. შენზეც ვუამბე ბრძენს.

— ჩემზე, საყვარელო მერცხალო? — ჰკთხა გოგონამ.

— სწორედ შენზე, საბრალო, მწუხარე გოგონა! ვთხოვე, შევეხვეწე, დაგეხმარებოდა.

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო ჩიტუნა! აბა, ჩქარა, მითხარი, რა გითხრა ბრძენმა ბარნაბამ? — ჰკითხა გოგონამ.

მერცხალი დაწვრილებით შეუდგა თხრობას: — შენი ამბავი რომ მოისმინა, ბრძენმა ჯერ ზურმუხტისფერი სათვალე გაიკეთა, მერე ბატიფეხურად ნაწერი წიგნი აიღო და დიდხანს ფურცლავდა. უეცრად წიგნის ფურცვლა შეწყვიტა, ერთ ფურცელს ჩააშტერდა და რაღაცის კითხვა დაიწყო. ცოტა ხნის მერე წამოიყვირა: — ამოვიკითხე! სწორედ აქ წერია ის, რაც გოგონას თავისუფლებას მიანიჭებს.

— მაინც რა ეწერა წიგნში? — შეეკითხა გოგონა.

— წიგნში ეწერა, რომ საბრალო გოგონას მხოლოდ ის დაიხსნის ტყვეობიდან, ვინც თავად ტყვეობაშია.

— კი მაგრამ, როგორ შეძლებს ჩემს დახსნას ტყვეობიდან ის, ვინც თავად ტყვეობაშია? — გაუკვირდა გოგონას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, ეგ კი აღარ ვიცი, ჩემო კარგო. ბრძენს ჩემთვის მეტი არაფერი უთქვამს.

— მაშინ გადაეცი კეთილ, ბრძენ ბარნაბას, რომ მე აქ უხსოვარი დროიდან ვიტანჯები და ის, ვინც თავად ტყვეა, ვერ შეძლებს ჩემს დახსნას, — უთხრა გოგონამ მერცხალს და ატირდა. მერცხალს შეეცოდა გოგონა, ველარ გაუძლო მის ყურებას და ისევ უკან გაფრინდა თეთრწვერა ბრძენ ბარნაბასთან.

— ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, კვლავ მოვფრინდი. ტირის ტყვე გოგონა, ბრძენო ბარნაბა! დაეხმარე მას! თუ არ დაეხმარები, დაიღუპება საწყალი. ბრძენთაბრძენო, ძვირფასო ბარნაბა, გთხოვ, მითხრა, თუ სად იმყოფება ის რაინდი, ვინც თავად ტყვეობაშია?

ბრძენმა ბარნაბამ კვლავ გაიკეთა ზურმუხტისფერი სათვალე, კვლავ ჩაიხედა ბატიფეხურად ნაწერ წიგნში და მერცხალს ხმამაღლა უპასუხა: — ცხრა მთას იქით, ვერცხლისფრად მოლივლივე ოკეანის გაღმა იტანჯება ტყვეობაში ერთი რაინდი. გაფრინდი და უთხარი იმ რაინდს, რომ მას მოუთმენლად ელის ბოროტი ჯადოქრის ციხე-კოშკში დამწყვდეული გოგონა.

მართლაც, გაფრინდა მერცხალი. შვიდი დღე და შვიდი ღამე მიფრინავდა და, როგორც იქნა, მიაღწია ადგილს, სადაც გოლიათი რაინდი იყო მიჯაჭვული. რაინდი მწუხარებისგან დაბეჩავებულიყო, მოძრაობა უჭირდა, დაღონებული გასცქეროდა ოკეანის უსაზღვრო სივრცეს. იქვე, შორიახლოს კი ლამაზი ბედაური ძოვდა ბალახს.

მერცხალი რაინდთან მიფრინდა, უამბო, როგორ იტანჯებოდა ბოროტი ჯადოქრის ციხე-კოშკში დატყვევებული გოგონა და სთხოვა, დახმარებოდა საწყალ გოგონას.

— სიამოვნებით დავეხმარებოდი, პატარა მერცხალო, მაგრამ ვაი, რომ ხელ-ფეხი შებორკილი მაქვს, — მიუგო რაინდმა.

დანაღვლიანებული გამოფრინდა უკან პატარა მერცხალი. შვიდი დღე და შვიდი ღამე მოფრინავდა უკან ბრძენ ბარნაბასთან.

— ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, ვიყავი რაინდთან, ბრძენო ბარნაბა, მაგრამ რაინდს ხელ-ფეხი შებორკილი აქვს და ძალიან იტანჯება. ბრძენთაბრძენო, ძვირფასო ბარნაბა, გთხოვ, მოიფიქრო, როგორ მოვიქცე...

— ჯერ რაინდი უნდა გავათავისუფლოთ, ამით საწყალ გოგონასაც დავიხსნით. ჩემო მერცხალო, შენ შენი პატარა ნისკარტით დატყვევებული გოგონას ცრემლის ერთი წვეთი ბორკილებზე უნდა დააწვეთო რაინდს. ტყვე გოგონას ცრემლი ის ჯადოსნური საშუალებაა, ორთავეს რომ დაიხსნის, — დაასრულა თავისი სიტყვა კეთილმა ბრძენმა მოხუცმა.

— გმადლობთ, ბრძენთაბრძენო! ახლავე გავფრინდები, — უთხრა ბრძენს მერცხალმა.

მართლაც, მიფრინდა მერცხალი გოგონასთან, მას კი ლაპალუპით ჩამოსდიოდა სახეზე ცრემლები. კეთილმა ჩიტუნამ ნისკარტით აიტაცა ცრემლის ერთი მბრწყინავი წვეთი და რაინდთან გაფრინდა. მიფრენისთანავე დააწვეთა ცრემლი რაინდს ბორკილებზე და, ჰოი, საოცრებავ, მართლაც მოხდა სასწაული: გოლიათი რაინდი ბორკილებისაგან გათავისუფლდა. მერცხალს მადლობა გადაუხადა, ოქროს კომბალს ხელი დაავლო, რაშს მოახტა და მერცხალს გაჰყვა საბრალო გოგონას დასახსნელად. შვიდი დღე და ღამე შეუჩერებლივ მიფრინავდნენ. როგორც იქნა, მიაღწიეს ბოროტი ჯადოქრის ციხე-კოშკს.

რაინდმა ხმამაღლა დაიყვირა: — გარეთ გამოდი, ბოროტო ჯადოქარო!

ერთი რაღაც უმსგავსო ჯოჯო გამოვიდა გარეთ და რაინდს შეება. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ რაინდმა სძლია და მოკლა. მერე გოგონა გაათავისუფლა და ცოლობა სთხოვა, გოგონამაც თანხმობა გამოუცხადა.

მას მერე ცხოვრობენ ერთად, ტკბილად და ბედნიერად. ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებული მერცხალი კი უმშვენიერეს სიმღერებს უგალობდა ცოლ-ქმარს.

უნგრულიდან თარგმნა
ვანო იმერლიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩიტებით სავსე ყუთი

ჯემალ კასრაძე



კამერა-ობსკურა



პირველი ფოტოაპარატი

## ფოტოგრაფია 150

— ყურადღება — ჩიტი გამოფრინდება! — ამ სიტყვების მაგიური ძალა ბევრს განუცდია. იქნებ არც გვჯეროდა ჩიტის გამოფრენისა, მაგრამ როდესაც ფოტოგრაფი ფოკუსის გასასწორებლად თავზე შავ ქსოვილს გადაიფარებდა და ობიექტივის მომნუსხველი თვალით მოგვაჩერდებოდა, ძალაუნებურად ეჭვი გვიპყრობდა — ერთიც ვნახოთ და, მართლა გამოფრინდესო.

.წელს ფოტოგრაფიას 150 წელი შეუსრულდა.

ბევრ დიდ თუ მცირე აღმოჩენას შემთხვევითობაც უწყობს ხოლმე ხელს. ამბობენ, ნიუტონს ვაშლი რომ არ დასცემოდა თავზე, დედამიწის მიზიდულობის კანონი კარგა ხანს ვერ იხილავდა დღის სინათლესო. არქიმედემ აბაზანაში წოლისას აღმოაჩინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი — წყლის ამომგდები ძალა ტოლია სხეულის მიერ გამოდევნილი წყლის წონისა.

ფოტოგრაფიის აღმოჩენასაც ბუნებამ შეუწყო ხელი. ალბათ, ბევრ თქვენგანს შეუმჩნევია, ჩაბნელებულ ოთახში ფანჯრის ღრიჭოდან შემოჭრილი სინათლე როგორ ხატავს კედელზე თუ ჭერზე ფანჯრის წინ განლაგებულ ხეებსა თუ სხვა ობიექტებს. პირველად ეს მოვლენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 350 წელს აღწერა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ.

და აი, 1839 წლის 7 იანვარს აკადემიკოსმა ფრანსუა არაგომ საფრანგეთის აკადემიის სხდომას გააცნო ლუი ჟაკ მანდე დაგერის კამერა-ობსკურით იოდის ორთქლით დამუშავებული ვერცხლის ფირფიტაზე გადაღებული გამოსახულება.



ლუი დაგერი



ნისეფორ ნიეპსი



ფოქს ტალბოტი



ჭუალ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძმები ლუმიერები



ცხრაობიექტივიანი აპარატი

არისტოტელედან დაგერამდე 21 საუკუნეზე მეტმა განვლო. ფოტოგრაფიის შექმნაში მრავალმა მეცნიერმა შეიტანა თავისი წვლილი. ყველაზე დიდი ბიძგი კი ის იყო, რომ XVIII საუკუნეში სწრაფად განვითარდა ქიმია. გამომგონებლებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გერმანელი სწავლული იოჰან ჰ. შოლცე, რომელმაც XVIII საუკუნის 80-იან წლებში მზის შუქით ვერცხლის მარილზე წარწერა აღბეჭდა, მაგრამ დაფიქსირება კი ვერ მოახერხა. და მაინც, პირველი ფოტოსურათი, უფრო სწორად ჰელიოგრაფია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ფრანგ ოფიცერს ჟოზეფ ნისეფორ ნიეპსს ეკუთვნის. მან კამერა-ობსკურაზე დაამაგრა ასფალტის თხელი ფენით დაფარული ფირფიტა, სახელოსნოს ფანჯრიდან ობიექტივი დაუმიზნა მეზობელი სახლების სახურავებს, რვასაათიანი ექსპოზიციის შემდეგ ფირფიტა ზეთში გარეცხა და მიიღო დაფიქსირებული გამოსახულება.

13 წლის შემდეგ ნიეპსის კომპანიონმა, მხატვარმა ლუი დაგერმა რამდენიმე წუთის ექსპოზიციით მიიღო ფოტოსურათი, რომელიც ჩვეულებრივი სუფრის მარილით დააფიქსირა (ნიეპსი ამ დროს გარდაცვლილი იყო). დაგეროტიპიას ერთი სერიოზული ნაკლი ჰქონდა — გამოსახულების გამრავლება შეუძლებელი იყო.

იმავე წელს ინგლისელმა უილიამ ჰენრი ფოქს ტალბოტმა გამოაქვეყნა საინტერესო ცნობა. აღმოჩნდა, რომ თურმე ტალბოტმა ოთხი წლით ადრე არა მარტო საინტერესო გამოსახულება მიიღო, არამედ შექმნა ნეგატივი, რომლითაც პოზიტივებს ბეჭდავდა. სხვათა შორის, ფოტოგრაფიის ნათლიაც სწორედ ეს ინგლისელი მეცნიერია, ხატოვანი გამოთქმა — „სინათლით წერა" — სწორედ მას ეკუთვნის.

აქვე ერთ კურიოზზეც გიამბობთ: როდესაც მეცნიერები თავს იმტვრევდნენ, როგორ დაეფიქსირებინათ ფოტოსურათი, 1818 წელს ინგლისელ ასტრონომს ჯონ ჰერშელს უკვე აღმოჩენილი ჰქონდა ჰიპოსულფიდი, რომლითაც გამოსახულებას გაშავებისგან იცავდა. მისი გონების ნაყოფია, აგრეთვე, ტერმინები „ნეგატივი" და „პოზიტივი".



ფრანგი ბელეტრისტი ნადარი, პირველი საჰაერო გადაღების ავტორი

შემდეგი ნაბიჯი ფოტოგრაფიის განვითარების გზაზე იყო მშრალი ფირფიტის დამზადება. მისი ავტორია ინგლისელი ექიმი რიჩარდ მედუკი.

და მაინც, ვინ შექმნა პირველი ფოტოაპარატის მოდელი? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, სულ მცირე, ათი საუკუნით უკან უნდა დავიხიოთ.

არაბმა ფიზიკოსმა, მათემატიკოსმა, ექიმმა და ფილოსოფოსმა იბნ ალ ხაისამამ (965-1039 წწ.) გამოაქვეყნა ტრაქტატი ოპტიკის შესახებ. ანტიკური სამყაროდან დაწყებული, მან თითქმის ყველა გამოკვლევა გააანალიზა და შექმნა ფოტოაპარატის მოდელი, თუმცა მაშინ ფოტოგრაფიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. არაბმა



ნიეპსის მიერ ასფალტური წესით გადაღებული პორტრეტი (1826 წ.)



ფერადი ფოტოგრაფიის მამამთავარი ჯეიმს მაქსველი



თანამედროვე ფოტოაპარატი

სწავლულმა ერთ მხარეს გახვრეტილი ყუთის წინ რამდენიმე სანთელი აანთო და მათი შებრუნებული გამოსახულება ყუთის მოპირდაპირე კედელზე ალიბეჭდა. ამრიგად, ხაისამმ შექმნა ფოტოაპარატის წინაპარი, რომელსაც 800 წლის შემდეგ კამერა-ობსკური ეწოდა.

მოგვიანებით იტალიელმა ჯან ბატისტ დელა პორტემ კამერა-ობსკურს ახალი სული შთაბერა — ლინზა დაუყენა და გამოსახულება შეუდარებლად მკვეთრი და ნათელი გახდა.

## ფერადი ფოტოგრაფია

ფერად ფოტოგრაფიაზე ფიქრი შავ-თეთრი ფოტოგრაფიის პარალელურად იშვა. 1830 წელს ნიეპსმა და დაგერმა მიიღეს ფერადი გამოსახულება, რომელიც ვერ დააფიქსირეს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ



სურათებს ღარიბი ფერები ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, სწორედ მან მისცა ბიძგი ფერად ფოტოგრაფიას.

მოგვიანებით, 1861 წელს, ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯეიმს კლარკ მაქსველმა სცადა ფერადი ფირების შექმნა და მიიღო სამფერიანი გამოსახულება, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

ფერადი ფოტოგრაფიის განვითარებაში არსებითი გარდატეხა მოხდა ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან. გერმანიასა და აშშ-ში დაამზადეს „აგ ფაკოლორის" და „კოდაკრომის" ფირები, რამაც ფოტოსურათის ხარისხი განუზომლად გაზარდა. მას შემდეგ ფირების ქიმიურ შემადგენლობაში რაიმე არსებითი ცვლილება აღარ მომხდარა.

დღეს თითქმის ყველა ოჯახშია ფოტოაპარატი. ბევრ თქვენგანს მხარზე აპარატგადაკიდებულსაც გივლიათ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ფოტოგრაფიის ისტორიას ისეთი ფოტოაპარატებიც ახსოვს, მხარზე გადაკიდებას ვინ ჩივის, ადგილიდან ათი კაცი ვერ დასძრავდა. ერთ-ერთი ასეთი კამერა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ჩიკაგოში დაამზადეს. იგი 600 კილოგრამს იწონიდა და 15 სპეციალისტი ემსახურებოდა.

დიდი მხატვარი სალვადორ დალი ამბობდა:

— ფოტოაპარატი კრისტალური ობიექტურობა, მიუკერძოებელი თვალის ბროლი, ჭეშმარიტი პოეზიის მუზაა.

ზოია ვაშაკიძე

## ახალგაზრდული

მამულო ჩემო, მომხვიე ხელი,
შენი ქარიშხლის პატარა ფრთა ვარ,
ამ ნანგრევების, ტაძრების, მთების
მეპატრონედ და გუშაგად ვდგავარ.
ვწამლობ გუმბათებს, გაბზარულ ფრესკას,
ზედ გულზე მადევს საწუთროს მაჯა,
ჩემად ვთვლი ყველა სატკივარს შენსას
და მათ სალბუნად სიცოცხლეს ვხარჯავ.
შენი მდინარის მღელვარე ტალღას
მსურს გადავწმინდო ჭუჭყი და ქაფი,
სილბოს, სინედლეს ვუსინჯავ ნახნავს,
მივდევ მინდვრებში ქარების ძახილს.
მზის მოლოდინში აგიკრებ ნისლებს,
რომ ვერ მობედონ შენთან ავდრებმა,
ვიცოცხლებ ისე, მოვკვდები ისე,
შენს ღირსეულ შვილს ვით ეკადრება.

## ცის ქვეშ

თაყვანი მინდვრებს,
ჩვენს გასახარად,
ყაყაჩოები რომ გამოჰფინეს,
მგონია ზოგჯერ, ამ ქვეყანაზე
ამ ყვავილისთვის უნდა მოხვიდე.
თაყვანი ამ მთებს, რომ შეგვიძლია
მშვენიერების ხილვებით ტკბობა,
თაყვანი მიწას, რომ მისგან გაცლა
სიკვდილის მერეც აღარ გვეთმობა.
თაყვანი ზეცას, ჩუმი ალერსით
რომ გადმოღვარა ცისკრის ფერები,
რომ ულამაზეს სიცოცხლის კართან
აშალა ლექსი და სიმღერები;
რომ ამოვარდნას ცდილობს მკერდიდან
გული, ჩიტივით ფრენის მწყურვალი,
რომ ვგრძნობთ, ბუნება არის სიმდიდრე
და ნაღვლიანი სულის მკურნალი.

## ნანგრევთან

მე ვდგავარ ქარში, ყაყაჩოს ბორცვთან
და ვუსმენ კვნესას ჩაშლილ ნანგრევის,
მთრთოლვარე ბაგით ვჩურჩულებ ლოცვას,
სხივს ვეფერები, გულზე დაღერილს...
ხან მეჩვენება: ცოცხლდება ფრესკა,
დგება და აფრქვევს ფოსფორულ ნათელს,
ყაყაჩოებში ცრემლის ცვარს ვთესავ
და თბილ ნანგრევთან თეთრ ღამეს ვათევ...



## მარილი და

### Გ. ᲠᲝᲪᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲓᲘᲚᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ...

● ცხიმი ნაკლებ იშხეფება, თუ გახურებულ ტაფას მწიკვ მარილს მოაპნევთ, გაზაროულნაპუპიანი კვერცხიდან ცილა არ გამოჟონავს, თუ მას მარილიან წყალში მოხარშავთ. ჰაერლუმელში ნამცხვარი რომ არ მიიწვას, ლითონის ყალიბის ქვეშ მარილი უნდა მოაპნიოთ.

● მიმწვარ რძეს ცოტაოდენი მარილი დაუმატეთ და გააცივეთ — რძის გემო საგრძნობლად გაუმჯობესდება. თუ რძე ადუღებისას გადმოგივიდათ, ქურის ზედაპირს მარილი მოაყარეთ და დამწვრის სუნი გაქრება. თუ რძეში მწიკვ მარილს ჩაყრით, იგი გაცილებით უფრო გვიან ამჟავდება.

● ცომში გუნდები რომ არ გაჩნდეს, ფქვილი მარილიან წყალში უნდა გახსნათ.

● თევზის ან ხახვის გასუფთავება-გაფცქვნის შემდეგ ხელებზე დიდხანს რჩება უსიამოვნო სუნი. თუ ხელებს მარილწყლით დაიბანთ, სუნი მყისვე გაქრება. ვიდრე ხახვის ჭრას შეუდგებოდეთ, დანა მარილით გახეხეთ და უსიამოვნო სუნი აღარ შეგაწუხებთ. თევზის დაჭრის შემდეგ დანა გარეცხვამდე მარილით გახეხეთ. თევზის გასუფთავებისას თითები დროდადრო მარილში ჩაყავით — თევზი ხელიდან აღარ გაგისხლტებათ.

● თუ საჭმლის მომზადებისას სამზარეულოში ცუდი სუნი დადგა, ცხელ ქურაზე ცოტაოდენი მარილი დაყარეთ.

● ამღვრეული მცენარეული ზეთის დაწმენდა ასე შეიძლება: 1 ლიტრ ზეთს დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი მარილი და რამდენიმე დღეს ასე გააჩერეთ, შემდეგ კი ფრთხილად გადაიღეთ სხვა სუფთა ჭურჭელში.

● მჭიდროდ თავდაცულ საპურეში ცოტაოდენი მარილს თუ ჩაყრით, პური დიდხანს არ დაობდება. ტომატის პასტას, თუ იგი ნაკლულ ქილაშია, წმინდა მარილი მოაყარეთ და ობს აღარ მოიკიდებს.

● თუ გსურთ ცილა ადვილად აითქვიფოს, გააგრილეთ იგი და ერთი მწიკვი წმინდა მარილი დაუმატეთ.

● ყველი რომ არ გამოშრეს და არ გახმეს, იგი მარილიან წყალში დასველებულ სუფთა ტილოში შეახვიეთ.

### Ვ. ᲠᲝᲪᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲡ ᲠᲔᲪᲮᲐᲕᲡ...

● მაგარი ჩაისაგან ფინჯანსა და ჭიქაზე გაჩენილი ლაქა ადვილად ირეცხება მარილიანი წყლით. მინის ჭურჭელი უკეთ იპრიალებს, თუ გარეცხვის შემდეგ ჯერ მარილიან წყალში გაავლებთ, მერე კი — მტკნარში.

● მინანქრიანი ჭურჭელი დიდხანს რომ გემსახუროთ, ხმარებამდე მასში მარილიანი წყალი ადუღეთ. ამავე მიზნით, ახალი ტაფა ჯერ ცხიმთან ერთად გაახურეთ, მერე კი მსხვილი მარილით გახეხეთ — ტაფა ნაკლებად მიიკრავს საჭმელს. სხვათა შორის, თუ ქვაბმა მიიწვა, შიგ ნაჯერი მარილხსნარი ჩაასხით, მეორე დილით აადუღეთ და ფსკერი ადვილად გაიწმინდება. მინანქრიანი ქვაბი შეიძლება სველ ჩვარზე დაყრილი მარილით გასუფთავდეს. ტაფა ჯერ ქაღალდით უნდა გაწმინდოთ, მერე მსხვილი მარილით გახეხოთ და წყალი გადაავლოთ. თუ საფერფლე სხვანაირად არ იწმინდება, იგი ჯერ მარილიანი ჩვრით გაასუფთავეთ, მერე კი წყალი გადაავლეთ — ჯერ ცივი, მერე — ცხელი.

● ღია ფერის ჩალის ან ნამჯის ნაკეთობა (ვთქვათ, კალათი) დროთა განმავლობაში ყვითლდება. გარეცხეთ იგი მარილიან წყალში და თქვენს თვალწინ თანდათან გაახლდება.

## საინტერესო სიახლენი

### ᲛᲐᲜᲐᲗᲝᲑᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ

ინგლისელმა გამომგონებლებმა დააპატენტეს სპეციალური მანათობელი ხელთათმანი.



ხელთათმანის ჩვეულებრივ ქსოვილში ჩაწნულია შუქგამტარი ბოჭკოები, რომლებიც თითის წვეროებში ბოლოვდება. ამ ბოჭკოების თავში მინიატურული ნათურა ან შუქდიოდია, საიდანაც სინათლე მოდის. ასეთი ხელთათმანი გამოადგებათ ავტომანქანის მძღოლებს — საგზაო რუკების წასაკითხავად, ქირურგებს — შინაგან ორგანოებზე ოპერაციისას, ოპერატორებს — სიბნელეში ჩელსაწყოებით სარგებლობისას.

### ᲑᲘᲝᲡᲐᲗᲑᲝᲑᲘ

ავსტრიის პატარა ქალაქ აშახში დასასრულს უახლოვდება ბიოდიზელური საწვავის მისაღები პირველი დანადგარის მშენებლობა. ესაა რაფსის ზეთისაგან გამოხდილი მეთილის ეთერი, რომელიც წარმატებით ცვლის ნავთობისაგან მიღებულ ჩვეულებრივ საწვავს. რაფსის გასაშენებლად ათი ათასი ჰექტარია გამოყოფილი. ამ გზით წელიწადში ათი ათასი ტონა მაღალხარისხოვანი საწვავის მიღებას ვარაუდობენ.

### ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

საბჭოთა კავშირში ქარენერგეტიკის სამუშაოები 80-იან წლებში დაიწყო, მაგრამ მალე შეწყდა და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ განახლდა. ადრე ქარძრავების სიმძლავრე 4 კილოვატს არ აღემატებოდა. ახლახან კი მოსკოვის ინსტიტუტმა „მიდროპროექტმა" დაამუშავა 250, 500 და 1000 კილოვატიანი ქარძრავები. 1991 წლისათვის დაგეგმილია რამდენიმე ნიმუშის დამზადება და დამონტაჟება კომპლექსური გამოცდის მიზნით. 2000 წლიდან ასეთი ქარძრავები სერიულად გამოვა. ერთ-ერთი უდიდესი ქარელექტროსადგური აიგება 1995 წელს ყირიმში, ბოლშაია იალტას რაიონში.



● ყველაზე ძვირფას „სპილოს ძვალს" ბეჰემოთის ეშვებისაგან ღებულობენ.

● ავსტრალიაში მუშაობს ცემენტის ქარხანა, რომელიც ნელდლეულად ზღვის ფსკერზე მოპოვებულ მარჯანს იყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რისგან იქმნება წარმატება?

ეს ბარათი გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხიდან მოსწავლეთა სასკოლო შტაბის თავმჯდომარე თამრიკო სესიაშვილისაგან მივიღეთ. თამრიკო რაზმეულში დანერგილი სიახლეების შესახებ გვწერს. რაზმეული ორად, უმცროსი და უფროსი ასაკის საკრებულოებად დაუყვიათ, თითოეულ მათგანს თავისი საბჭო აურჩევია, ორთავე საკრებულოს კი მოსწავლეთა სასკოლო შტაბი ხელმძღვანელობს, რომლის უფროსიც თავად თამრიკოა. მისი ბარათიდან ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე გარდაქმნებმა ასახვა ჰპოვა პიონერთა ორგანიზაციაშიც. ბავშვებმა ამ პოზიციიდან შეხედეს თავისი ორგანიზაციის მუშაობას და ის, რაც წლების მანძილზე თავად არ მოსწონდათ, — მათ ირგვლივ გამეფებული ფორმალიზმი, ყალბი პათოსი, ტრაფარეტული ღონისძიებების გაუთავებელი ტალღა — „მხრებიდან ჩამოიბერტყეს". ბევრმა საკუთარი სურვილის მიხედვითააწყო მუშაობა, ეროვნული ინტერესების შესაბამისი საქმის კეთებას მოკიდა ხელი. ამ პროცესმა თავისთავად ბავშვთა ინტერესებიც გაყო... გაჩნდა სხვადასხვა ჯგუფები. როგორც თამრიკო გვწერს, მოზარდები ინტერესების, სურვილის მიხედვით გაერთიანდნენ.

სიახლის დანერგვას შეცდომებიც მოსდევს ხოლმე, მაგრამ ამას არ უნდა შევუშინდეთ, მთავარია კეთილი, საჭირო საქმის კეთება, დღენიადაგ ფიქრი იმაზე, თუ როგორ, რა გზებითა და საშუალებებით მოუტანო შენს ერს სარგებლობა, წარმატება.

მერედა, რისგან იქმნება ეს ყველასთვის ხანუკვარი წარმატება? გაგაცნობთ რამდენიმე მაგალითს, გვჯერა, რომ გაეცნობით მათ და თქვენთვის სასარგებლო დასკვნებსაც გამოიტანთ. მაშ ასე, წარმატება შედგება —

## მეგობრობისაგან

მეხუთეკლასელები ჯაბა და ნოდარი პარალელურ კლასებში სწავლობენ. ყველასათვის ცნობილია მათი მეგობრობა. ორივენი თბილისში, წერეთლის პროსპექტზე ცხოვრობენ. დამთავრდება თუ არა გაკვეთილები, ნოდარი ჯაბასკენ გარბის ან ჯაბა — ნოდარისაკენ. მორჩებიან თუ არა საშინაო დავალებების მომზადებას, კვლავ ერთმანეთისკენ გარბიან.

— მოდი, ჩემს ეზოში კალათბურთის ფარი ჩამოვკიდოთ, — ამბობს ჯაბა.

— დაგეხმარები, — ეთანხმება ნოდარი და ორივე ჯაბას ეზოში მაშინვე საქმეს ჰკიდებს ხელს.

— ჯაბა, შენი სამზარეულოს კარებს ანჯამები მორყეული აქვს, — ამბობს ნოდარი.

— გავამაგროთ, — უპასუხებს ჯაბა და მათი ხელოსნობაც იწყება.

სოფლიდან ჩამოტანილი ვაშლით სავსე ახალი ყუთები, ნოდარის სახლის აივანზე რომ აწყვია, ორივემ დაამზადა. სარემონტო სამუშაოების გამო უბანში წყალი რომ შეწყდა, ბიჭებმა ხუთი ქუჩა მოიარეს და სამუშაოდან დაბრუნებულ მშობლებს შინ წყლით სავსე ვედროები დაახვედრეს.

...ბიჭებმა ისიც მოახერხეს, რომ ნოდარის ცუგო ისე გაწვრთნეს, ძაღლს თავისუფლად შეუძლია ყელზე გამობმული ბარათი ჯაბაანთ სახლიდან ნოდარს მოურბენინოს ან, პირიქით, ნოდარის წერილი ჯაბას მიუტანოს.

— თითქოს მთელი დღე ერთად არ იყვნენ, — ეღიმება ნოდარის დედას, — ურთმანეთოდ ვერ ძლებენ.

ჰოდა, გრძელდება ასე ამ ორი მეხუთეკლასელი ბიჭუნას მეგობრობა.

## ყურადღებიანობისაგან

ყველაფრის მიზეზი თენგოსა და ბესოს ჩხუბი გახლდათ. გაკვეთილების შემდეგ მეექვსეკლასელები ეზოდან კი გაიკრიფნენ, მაგრამ იქვე, გორაკს გაღაღმა, ტოტებგაშლილი მუხის ქვეშ ჩამოსხდნენ. საუბარი ერთმანეთისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას ეხებოდა.

კატეგორიულად ითქვა, ნუ წამოგვცდება ხოლმე თანაკლასელის გულსატკენი სიტყვებიო. განა ეს არ გახდა ბესოსა და თენგოს გაბუტვის მიზეზი?

— ეს ხომ ადამიანს ეხება და არა დანჯღრეულ მანქანას, — თითქოს სხვათა შორის ჩაილაპარაკა მაიკომ, — ზოგს ცხოვრებაში რაღაც ვერ უხერხდება და შველა სჭირდება, ზოგს კი ყველაფერში ბედი სწყალობს...

თანაკლასელები დაეთანხმნენ მაიკოს და ბესოს მიუბრუნდნენ.

— ყველას პირზე აკერია, ბესო ნამდვილი აქტივისტიაო, ხუთოსანიც ხარ, ყველა შენ გეფერება... და თუ შენ მართლა ჩვენი რაზმის წინამძღოლი ხარ, რატომ ვერ შეამჩნიე, რომ, რა ხანია, თენგო გულჩახვეული, თითქმის ცრემლმორეული დადის?! არც კი გიკითხავს მიზეზი, სხვა ჩვენი თანაკლასელებიც თვალს არიდებენ მას, — გაცხარდა ირაკლი. — არადა, ყველამ იცის, რომ თენგოს დედა მოუკვდა, შენ კიდევ რა სიტყვებით არ შეამკე... გრცხვენოდეს! — თქვა ეს, თენგოს ხელი გადახვია და იქაურობას გაეცალა.

ორივენი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ. ყველაზე უკეთ ირაკლიმ იცის თენგოს გასაჭირი. იმ ღამეს, როცა თენგოს დედა გარდაეცვალა, გვერდიდან არ მოსცილებია.

...მეორე დღეს ირაკლიმ თანაკლასელებს გამოუცხადა, ვინც თენგოს გულს ატკენს, საქმე ჩემთან ექნებაო, მერე დააყოლა:

— ვქმნი ცურვის წრეს, ვინ ჩაეწერება ჩემთან? (ყველამ იცოდა, რომ ირაკლიმ სწორედ იმ დღეებში საქალაქო შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ცურვაში ქალაქის ჩემპიონი გახდა).

მსურველები გამოჩნდნენ. თენგო პირველი ეწერა სიაში.

შემდეგ გოგონებმა ერთმანეთისათვის საოჯახო საქმის ცოდნის გაზიარება მოიფიქრეს. თანაკლასელებს სათითაოდ იწვევდნენ შინ და საკუთარი კულინარული ნახელავით უმასპინძლდებოდნენ. ბიჭებს თენგოც თან დაჰყავდათ ყველგან, ხან ერთთან იყვნენ მიწვეულნი და ხან მეორესთან...

თანატოლთა ყურადღებამ ბიჭს დარდი შეუმსუბუქა.

## პასუხისმგებლობისაგან

გიო, ლევანი და ჯონდო ერთად წავიდნენ პიონერთა სახლში. დარბაზი სავსე დახვდათ მაყურებლებით; ის-ის იყო, მოცეკვავეებმა ჩოხები მოირგეს, მიიხედ-მოიხედეს და შეამჩნიეს, რომ აჩიკო არსად ჩანდა.

— იქნებ რა დაემართა, შინ მივაკითხოთ, — თქვეს და მაშინვე გაიხადეს ჩოხები, აჩიკოს სახლისკენ გაიქცნენ.

პირველ სართულზე, ფანჯარაზე დააკაკუნეს.

— სცენაზე გასვლამდე ნახევარი საათი დარჩა, ჩქარა, რას უცდი? — იყვირა ლევანმა.

აჩიკომ წარბები შეყარა.

— არ წამოვალ, არ მინდა, მომბეზრდა...

ბიჭებმა გაკვირვებით შეხედეს.

— რა ენა ჩაგივარდათ, არ შეიძლება, რომ არ მინდოდეს?

— არ გინდა და ნუ გინდა... — უპასუხა ლევანმა. გაწბილებული მეგობრები უკან გაბრუნდნენ.

იმ დღეს ოთხის ნაცვლად სამი ბიჭი გავი-




და საცეკვაოდ სცენაზე. ვერ გამოუვიდათ ცეკვა. აშკარად აკლდათ მეოთხე, აჩიკო.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ დაინიშნა კონცერტი.

გიო, ლევანი და ჯონდო მზად იყვნენ... მეოთხე კი, აჩიკო, კვლავ არსად ჩანდა.

## თვითმოქმედებისაგან

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლიდან წამოსულ ვახტანგ ქავჟარაძეს შინისკენ არ გაუხვევია, ღედის სამსახურისკენ გასწია. ხაზლის გასაღები უნდა გამოერთმია. გზად მესამეკლასელები შემოხვდნენ. პატარებს ერთმანეთისათვის ხელი ჩაეკიდათ და მთელი ხმით გაყვიროდნენ...

— მე მუდმივი ძრავა ვარ! პი-პი-პი! — გაჰკიოდა ერთი მთელი ხმით.

—არა, მე ვარ... პი-პი-პი... დამავიწყდა იმას რა ჰქვია... — მიუტრიალდა ერთი ვახოს.

ვახტანგმა არ დააყოვნა, მაშინვე უპასუხა:

— პერპეტუუმ მობილე.

პატარებმა თვალი ჰყიტეს, ეტყობოდათ, ვერაფერი გაიგეს.

— რაო?

ვახტანგმა ეს რომ შენიშნა, მაშინვე შესთავაზა, აქვეა ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, წამოდით, იქ გაჩვენებთ პერპეტუუმ მობილეს, იქ ხომალდიც შეგვიძლია ავაგოთო.

— მართლა? — გაოცდნენ პატარები. იმ დღიდან თითქმის ყოველდღე დაჰყვებოდნენ მესამეკლასელები მას ტექნიკოსთა სადგურში.

ვახტანგმა მათ თვალწინ დაამზადა გემის მოდელი. ისინიც უქმად როდი მდგარან, შველოდნენ.

— ეს რა არის? — ჰკითხეს ერთხელაც ვახტანგს პატარებმა სამკერდე ნიშანზე.

— სპორტულია. ძალიან მიყვარს სპორტი, ალბათ იმიტომ, რომ „მუდმივი ძრავა" ვარ, — იხუმრა ვახომ. — თქვენც იმოძრავეთ, ირბინეთ, იხტუნეთ... და ყველაზე ყოჩაღებს ამისთანა სამკერდე ნიშნებს დაგირიგებთ. ვინ მეტყვის, რა არის მასზე გამოსახული?

— მობურთალი! — ერთხმად დაასკვნეს მესამეკლასელებმა.

— ხვალ, ჩემს სახლთან ახლოს სპორტული სკოლა რომ არის, იქ წაგიყვანთ, ფეხბურთში ვივარჯიშოთ.

ვახომ პატარებს დანაპირები შეუსრულა. მესამეკლასელები კიდევ უფრო დიდი აქტივისცემით განეწყვნენ მისადმი. მერე კი თავის ხელმძღვანელადაც აირჩიეს.

## მიზნისაკენ სწრაფვისაგან

სკოლიდან წავიდა მოლაშქრეთა სული და გული, ისტორიის მასწავლებელი ოთარ გუბელაძე. თვითონაც მთებისკენ მიიწევდა და თავის მოსწავლეებსაც სულ იქით ეწეოდა. მისი დახმარებით გაჩნდა სასკოლო მუზეუმში ლაშქრობის დროს მოპოვებული საინტერესო ექსპონატები. მაგრამ წავიდა ოთარ მასწავლებელი, მის ნაცვლად კი მოვიდა ახალი მასწავლებელი, რომელსაც არ შეეძლო მასავით ბავშვებთან ერთად ტყე-ღრესა და მთებში, სოფელ-სოფელ ხეტიალი...

ბიჭებმა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარეს და ოთარ მასწავლებლის ახავალ-დახავალი დაადგინეს.

ახალგაზრდა მასწავლებელი თავის მშობლიურ სკოლას დაბრუნებოდა. იქაც აეყოლიებინა ბავშვები და უკვე ორჯერ წაეყვანა სალაშქროდ.

— ჩვენს საძიებო მუშაობას რა ეშველება?! ოთარ მასწავლებელი დაგვპირდა, არქეოლოგებს გასტუმრებთ, მთამსვლელებსაცო და... ვაითუ ისინი იმ სკოლაში მიიყვანეს და ჩვენ ხახამშრალი დავრჩით?

„მოლაშქრენი" (ასე ეძახდნენ მათ სკოლაში) იმ სკოლის დირექტორის კაბინეტს მიადგნენ, სადაც მათი მასწავლებელი გადავიდა სამუშაოდ.

—. რა გნებავთ, მეზობლებო, რა გაგჭირვებიათ? — ღიმილი შეაგება მასპინძელმა. მერე ოთარ მასწავლებელსაც დაუძახეს და ახალ „მოლაშქრეთა" ჯგუფსაც.

საუბარი თავიდანვე ააწყეს. ოთარ მასწავლებელს ეღიმებოდა.

— რატომ გამინაწყენდით? მშობლებთან დავბრუნდი, მოხუცდნენ, მარტოებს ხომ არ მივატოვებდი...

— ჩვენ რომ ისე დავრჩით? ახალი მასწავლებელი კი მოგვივიდა, მაგრამ... ფიზიკურად ვერ შეძლებს ჩვენთან ერთად მთებსა და სოფელ-სოფელ სიარულს, — გაგულული ხმით ჩაილაპარაკა ერთმა.

ოთარ მასწავლებელს კვლავ გაეღიმა.

— რა მოხდა მერე, ჩვენი სოფლები არც ისე შორსაა ერთმანეთისაგან, გავერთიანდეთ.

— თანახმა ვართ! — გაუხარდათ სიხარულით მოხუცთ...

ნათელა ფაილოძე



● მარტო საბჭოთა კავშირში მილიონზე მეტი დიდ-პატარა მდინარეა. ყოველწლიურად მათ ზღვებსა და ოკეანეებში 4350 მილიარდი კუბური მეტრი წყალი ჩააქვთ. ეს მსოფლიოს ყველა მდინარის ხარჯის 12 პროცენტია.

● წყლის პაწია წვეთები, რომლებიც ღრუბლებს წარმოქმნიან, ცელსიუსის მინუს 40 გრადუსზეც კი არ იყინება. არადა, იქ თითქმის მუდამ ასეთი ტემპერატურაა.

● წყლით დაფარულია დედამიწის ზედაპირის სამი მეოთხედი. მიუხედავად ამისა, ადამიანის მიერ წყალში მოპოვებული საკვები მთელი რაციონის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს.

● არსებობის 5 მილიარდი წლის განმავლობაში დედამიწა ათ მილიონჯერ შემობრუნდა საკუთარი ღერძის გარშემო.

● სამი წუთის განმავლობაში მზე იძლევა იმდენ ენერგიას, რამდენსაც კაცობრიობა ერთ წელიწადში ხარჯავს.

● ამჟამად ცნობილია 50 ათასზე მეტი არაორგანული შენაერთი, ცნობილი ორგანული შენაერთების რიცხვი კი სამ მილიონს აღწევს.

● მზე ჩვენი გალაქტიკის (ირმის ნახტომის) ცენტრის გარშემო წამში 210 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს და სრულ ბრუნს 230 მილიონ წელს ანდომებს. ასე რომ, ქვანახშირის პერიოდიდან დღემდე მზემ მხოლოდ ერთხელ შემოუარა გალაქტიკის ცენტრს.

● მარტო ერთ წელიწადში დედამიწის მცენარეულობა ორას მილიარდ ტონაზე მეტ ორგანულ ნივთიერებას წარმოქმნის.

● 3000 წლის განმავლობაში დედამიწის „მწვანე ფაბრიკა" გამოჰყოფს იმდენ ჟანგბადს, რამდენსაც შეიცავს მთელი ჩვენი ატმოსფერო.

● სამხრეთ ამერიკის უდაბნოებში ცხოვრობს საოცარი ყვავილოვანი მცენარე — ველვეცია მირაბილისი. მისი წყვილი ტყავისებური ფოთოლი, რომელთა სიგრძეც ერთი მეტრია, ხოლო სიგანე — ნახევარი მეტრი, 100 წელიწადზე მეტს ცოცხლობს.

● ტყის მცენარეები ზოგჯერ ერთმანეთში ხლართავენ თავიანთ ფესვებს. ამით ისინი იცავენ თავიანთ სამფლობელოს სხვა ჯიშის ხეებისაგან. დადგენილია, რომ ჯანმრთელი ხეები წვენს „უსხამენ" (სისხლის გადასხმის მსგავსად) ავადმყოფ თანამოძმეებს.



# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
შოთა ინწკირველი

## ქართული ჭადრაკის წარსულიდან

### ვახტანგ ერისთავი

მე მივაგენი თბილისის 1925 და 1926 წლების ჩემპიონატების რამდენიმე პარტიას (ჩვენთან საჭადრაკო არქივი არ არსებობს). დღეისათვის ეს ყველაზე ადრინდელი პარტიებია, გათამაშებული საქართველოში XX საუკუნეში და უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის, მათ შორის — მოჭადრაკეთათვისაც. ამ პარტიებს, ისტორიულობის გარდა, შემეცნებითი ღირებულებაც აქვთ.

გთავაზობთ კარლინსკი-ერისთავის პარტიას თბილისის 1925 წლის ჩემპიონატიდან. ვახტანგ ერისთავი იყო ინგლისური ენის სპეციალისტი, შექსპიროლოგი. კარლინსკი — ერისთავი. 1. მf3 მc6 2. b3 d5 3. g3 კg4 4. კg2 ლd7 5. კb2 (ჯობდა 5. h3 რათა არ დაეშვა 5... კh3) 5... კh3 6. 0-0? (ეს ნაადრევი როქი საბედისწერო აღმოჩნდა თეთრებისათვის. საჭირო იყო 6. კ:h3) 6... კ:g2 7. მფ:g2 მf6 8. d3 h5! (ერისთავი მყისვე იწყებს კომბინაციურ შეტევას თეთრ მეფეზე, რომლის სამყოფელი რამდენადმე დასუსტებულია: 1. თეთრი უჯრები; 2. g3 — შეტევის ობიექტი) 9. მbd2 (ჯობდა 9. h4) 9... h4! 10. მ:h4 g5 11. მf3 ლh3 12. მფg1 g4 (საფრთხეებია c7-ს და მg4) 13. მ:h4 0-0-0 14. კ:f6 ef 15. f3 (საშველი არ იყო. იმუქრებოდა კd6 და ე:h4) 15... ე:h4! 16. gh g3 17. hg ლ:g3 18. მფh1 კd6 19. ეf2 (არ შველოდა არც 19. f4) 19... ლ:f2 20. ლg1 ლ:h4. კარლინსკი დანებდა.

შემდეგი დაბოლოება გათამაშდა ერთდროული თამაშის სეანსში თბილისში, 1948 წლის დეკემბერში, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ფიოდორ დუზ-ხოტიმირსკისა და 1-ლი საშუალო სკოლის მეცხრეკლასელ მეორეთანრიგოსან თედო მელაძეს შორის (ამჟამად — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქზღვაოსნაოსნობის დამცავის სამმართველოს უფროსი). მაშინ დუზ-ხოტიმირსკი 68 წლისა იყო, ოსტატის წოდება მოიპოვა 1907 წელს, კარლსბადის საერთაშორისო ტურნირში.

ოსტატმა გაითამაშა მეფის გამბიტი, რომლის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. რთული და მწვავე ბრძოლის (რომელშიც, შეიძლება ითქვას, ოსტატი დაჩაგრის) შემდეგ შეიქმნა ასეთი პოზიცია.

მელაძე



დუზ-ხოტიმირსკი

ახლა მეორეთანრიგოსანი ჭაბუკი აცხადებს ქიშს, რომლის ტაქტიკური შინაარსი წინასწარ გათვლისას ოსტატმა დუზ-ხოტიმირსკიმ ვერ განჭვრიტა. არადა, ეს თითქოს უწყინარი ქიში წარმოქმნის ტაქტიკურ მოტივს — თეთრი მეფის გადატვირთვას.

34... ლd1! 35. ლf1 ეh1!! გათრევის იდეა. შეუპოვარი, მაგრამ უაზრო, უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ ოსტატი დუზ-ხოტიმირსკი დანებდა პოზიციაში, რომელიც შეიქმნა 50... d3 სვლის შემდეგ, სადაც ნებისმიერი სვლა მყისვე აგებს. (თეთრები: მფd1, ეd2, კ-b2; შავები: მფc7, ლc3, პ-b7, d3).

## თბილისის პირველი ჩემპიონატი

### 1. მიკლოშ იოჰანი

თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატების დასაწყისად ითვლებოდა 1925 წელი, ხოლო თბილისის პირველ ჩემპიონად — ვართან ალამალიანი. ძირითადად თბილისის ჩემპიონატების დასაწყისად მიიჩნევდნენ 1926 წელს, როდესაც საჭადრაკო საათებით პირველად ჩატარდა თბილისის ჩემპიონატი და ჩემპიონობა მოიპოვა ოსტატმა ანდრეი სმოროდსკიმ.

საქართველოს მოჭადრაკეთა ძველი თაობის (20-30-40-იანი წლების) შემოქმედების მოძებვისას გამოირკვა, რომ თბილისის ჩემპიონატი ჩატარებულა ჯერ კიდევ 1922 წელს: „თბილისში ამჟამად ცხოვრობს მაესტრო ა. ა. სმოროდსკი. 1922 წლის ჩემპიონატში პირველ ადგილზე აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი მოყვარული იოჰანი, მან გაუსწრო სმოროდსკის და მოსკოველ აროდანსკის (ჟურნალი «Шахматный листок», 1923). ვისაც ოსტატის წოდება არ ჰქონდა, ძველად მოყვარულად იწოდებოდა.

ბუნებრივია, ამ ფაქტმა დამაინტერესა. ამგვარი რამ (და თვით გვარიც) საჭადრაკო კულუარებშიც კი არ გაგვიგონია. გამოირკვა, რომ იოჰანი ეროვნებით უნგრელი ყოფილა. მიკლოშ იოჰანი (1895-1944)) პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრია-უნგრეთის ჯარში მსახურობდა. 1914 წელს ტყვედ ჩავარდა. 1918 წელს კომუნისტურ პარტიაში მიიღეს და სასწავლად ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს. თბილისში 1921 წელს მე-11 არმიას შემოჰყვა.

შემდეგ კიდევ მივაგენი ერთ დამადასტურებელ საბუთს.

### 2. დავით ვირსალაძე

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ მიხეილ ვირსალაძესთან საუბარში გამოირკვა, რომ 1922 წლის თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატში მონაწილეობდა მამამისი დავით ვირსალაძე. შემორჩა იმდროინდელი გაზეთების რამდენიმე ამონაჭერი.

დავით სპირიდონის ძე ვირსალაძე დაიბადა 1908 წლის 6 აპრილს. 1922 წელს ის 14 წლის ყმაწვილი იყო. იმ დროისთვის ასეთ ასაკში ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობა უნიკალურია. დავით ვირსალაძემ დაამთავრა თბილისის გერმანული გიმნაზია, სწავლობდა ჰალეს, ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. მიუნხენში დაიცვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი (თემა — „გერმანელი რომანტიკოსი პოეტები"). თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, იყო დოცენტი. ჯერ კიდევ გიმნაზიაში თარგმნა ალექსანდრე ჭავჭავაძე, ესენინი და სხვა პოეტები, ხოლო უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის" თარგმანზე, რომელიც თითქმის დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ 1938 წლის 4 იანვარს დააპატიმრეს და სხვა ნაშრომებთან ერთად ეს თარგმანიც წაიღეს, დახვრიტეს იმავე წლის მარტში. დავითის მამა, პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე, თერაპიის ფუძემდებელია საქართველოში, იგი იყო საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის მეგობარი. დედა, ანასტასია ვირსალაძე (აბდუშელიშვილი), პიანისტია. პროფესორი. ძმა, პროფესორი კოტე ვირსალაძე (პიანისტ ელისო ვირსალაძის მამა) 1974-1985 წლებში იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი.

აღსანიშნავია, რომ თბილისის 1922 წლის ვაჟთა ჩემპიონატის 27 მონაწილიდან მხოლოდ ხუთია ქართველი: ვირსალაძე, ბუგუშვილი, არჯევანიძე, კავკასიძე და ყაზბეგი.

## გამოჩენილი ადამიანების ღიმილი

### ვიოლინოს ახირებულობა

ერთმა პეტერბურგელმა მდიდარმა მეცხრამეტე საუკუნის დიდი პოლონელი მევიოლინე და კომპოზიტორი ჰენრიკ ვენიავსკი ჩაიზე მიიპატიჟა და თითქოსდა სხვათაშორის უთხრა, ბარემ ვიოლინოც წამოიყოლეთო.

— ჩემი ვიოლინოს სახელით მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ის ჩაის არ სვამს, — მიუგო მუსიკოსმა.

### ხელოვნების ძალა

ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა ადელინა პატიმ, ვიდრე არტისტულ ასპარეზზე აღიარებას მოიპოვებდა, ბევრი ფინანსური სიძნელე გადაიტანა. იგი ისე გაჭირვებით ცხოვრობდა, რომ ყასაბის ვალიც კი ჰქონდა.

მის პირველ გამოსვლას ხსენებული ყასაბიც ესწრებოდა. როცა დაინახა, რა ოვაციებითაც შეხვდა საზოგადოება მომღერალ ქალს და უამრავი ყვავილიც უძღვნეს, თვითონაც მოისურვა არტისტისათვის რაღაცით ეცა პატივი და ხმამაღლა დაიძახა:

— პატი, პატი, ხორცზე ბარიბარში ვართ!

### სირთულე

ერთხელ გამოჩენილ ფრანგ მწერალ ანატოლ ფრანსთან ახალგაზრდა ქალი მივიდა და შესთავაზა, თქვენთან სტენოგრაფისტად ვიმუშავებო.

— მუსიე, — უთხრა მან მწერალს, — წუთში 150 სიტყვის სტენოგრაფირება შემიძლია.

— კეთილი. მაგრამ ამდენი სიტყვა საიდან მოგიძებნოთ? — მიუგო ფრანსმა.

### ფუჭი სიამაყე

ერთ დღეს კაიზერი მაქსიმილიანი თავისი ამალით ნიურნბერგის წმინდა ლავრენტის ეკლესიაში შევიდა, სადაც მეთექვსმეტე საუკუნის დიდი გერმანელი ფერმწერი და გრავიორი ალბრეხტ დიურერი კედლების მოხატვაზე მუშაობდა. იგი მაღალ კიბეზე იდგა. კაიზერმა შეამჩნია, რომ კიბემ ქანაობა დაიწყო.

— კიბე დაიჭირე! — შესძახა ერთ-ერთ რაინდს. მაგრამ რადგან რაინდი შეყოყმანდა, კიბე თვითონ კაიზერმა დაიჭირა.

— აგრე ნუ ამაყობ შენი მოდგმით! — უთხრა რაინდს. — ათი მდაბიოსაგან შემიძლია ათი რაინდი შევქმნა, მაგრამ ათი რაინდისაგან ერთი მხატვრის შექმნა გამიჭირდებაო.

### კოლეგები

გერმანელ მხატვარ მორიც შვინდს, რომელიც განსაკუთრებით არის ცნობილი ზღაპრებისა და თქმულებების მიხედვით შექმნილი საინტერესო სურათების სერიით, სეირნობის დროს ერთი უმნიშვნელო, მაგრამ დიდად პატივმოყვარე მხატვარი შემოხვდა.

— გამარჯობათ, ბატონო კოლეგა! — მიესალმა იგი.

— კოლეგაო?! — მიუგო შვინდმა. — განა თქვენც ურჩივით გულის ძმარვას?

### ხელმომჭირნეობა

უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი ემანუილ კანტი ხელმომჭირნეობითაც იყო ცნობილი. ერთხელ მან ნაცნობი დაპატიჟა ჭიქა ღვინოზე. როდესაც ემანუილმა ცოტა ხნით მაგიდა დატოვა, სტუმარმა მიმტანს მოწონებით უთხრა:

— რა არაჩვეულებრივად კარგი ღვინოა!

— ეს რა არის, თქვენ ის ღვინო უნდა ნახოთ, ბატონი პროფესორი მაშინ რომ უკვეთავს ხოლმე, როდესაც მარტოა. — ღიმილით მიუგო მან.

თარგმნა ზ. ამირანაშვილმა

## როგორ გაჩნდა სიგნალი SOS

ჩვენი საუკუნის დასაწყისში იმ ფირმებს შორის, რომლებიც რადიოტექნიკას უშვებდნენ, შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა სავაჭრო ფლოტში დამკვიდრებისათვის.

ინგლის-იტალიის ფირმა „მარკონიმ" ორივე ქვეყნის მთავრობას თავს მოახვია მის მიერ გამოშვებული მიმღებ-გადამცემი აპარატურა. ამასთან, ფირმამ სასტიკად აუკრძალა თავის რადისტებს, კონტაქტი დაემყარებინათ გემებთან, რომლებზედაც სხვა ფირმების აპარატურა იყო დადგმული, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს გემები შველას ითხოვდნენ.

1903 წელს ბერლინში გამართულ პირველ საერთაშორისო რადიოტელეგრაფისტთა კონფერენციაზე დაისვა უბედურების ერთიანი სარადიოტელეგრაფო სიგნალის შემოღების საკითხი. მიუხედავად ამისა, ფირმა „მარკონიმ" თავისი აპარატურით აღჭურვილი გემებისათვის შემოიღო სამი ასოსაგან შემდგარი სიგნალი — CQD.

მეორე სარადიოტელეგრაფო კონფერენცია ოთხი წლის შემდეგ ისევ ბერლინში გაიმართა. „მარკონიმ" წინადადება წამოაყენა, ეს უბედურების სიგნალი საერთაშორისო სიგნალად ეღიარებინათ. მაგრამ მას უარი უთხრეს — პირველი ორი ასო რკინიგზაზე შემოღებული საერთო სარადიოტელეგრაფო გამოძახების სიგნალს ემთხვეოდა. მაშინ გერმანულმა ფირმა „არკომ" კონფერენციას შესთავაზა სიგნალი SOE. მაგრამ მონაწილეებს არც ეს მოეწონათ: ბოლო ასო მორზეს ანბანით გადმოიცემა ერთი წერტილით, რომლის გამორჩევაც ატმოსფერული ხრიალისაგან ძალზე ძნელი იქნებოდა. და აი, ამ დროს ვიღაცას აზრად მოუვიდა, ასო E შეეცვალათ S ასოთი. ამან საყოველთაო მხარდაჭერა დაიმსახურა. ასე დამკვიდრდა ზღვაზე უბედურების სიგნალად SOS, რომელიც მორზეს ანბანით შემდეგნაირად გადმოიცემა: სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი. იგი რიტმულია და მისი აღრევა სხვა სიგნალებში პრაქტიკულად გამორიცხულია.



მაგრამ ფირმა „მარკონი" მაინც თავისაზე იდგა. განხეთქილება ექვსი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, და საჭირო გახდა გრანდიოზული კატასტროფა — გემ „ტიტანიკის" დაღუპვა, რომ „მარკონის" სიჯიუტე გამტყდარიყო. 1912 წლის 15 აპრილს ჩასაძირავად განწირული ლაინერის რადიოტელეგრაფისტი ჯეკ ფილიპსი განუწყვეტლივ გადასცემდა CQD სიგნალს, ვიდრე მისმა თანაშემწემ ჰ. ბრაიტმა არ ურჩია, გადაეცა ეთერში SOS სიგნალი. ბრაიტის რჩევა წინასწარმეტყველური გამოდგა — ფილიპსი კატასტროფას შეეწირა, მაგრამ SOS სიგნალს, რომელიც მან 00.45 საათზე გადასცა, უკვე რამდენიმე ახლომყოფი ხომალდი გამოეხმაურა.

„ტიტანიკის" დაღუპვამ არა მარტო აიძულა ყველა ქვეყანა, თავიანთ ფლოტებში შემოეღო SOS, არამედ ფართოდ პოპულარულიც გახადა ეს სიგნალი. ზოგიერთმა ზღვაოსანმა, ბუნებით რომანტიკოსმა, სცადა ამ აბრევიატურისათვის ცხადი აზრი მიეცა და ასე გაჩნდა სიგნალის განმარტების რამდენიმე ინგლისური ვარიანტი: „სეივ აურ სოულზ" („იხსენით ჩვენი სულები"), „სეივ აურ შიფ" („იხსენით ჩვენი გემი"), „სუიმ ორ სინქ" („გამოეშურეთ, თორემ ჩავიძირებით") და ა. შ. მაგრამ ყველა ეს ლეგენდაა, SOS სულაც არ არის რთული დასახელების რაიმე შემოკლება.



● როცა ძალიან ცხელა, მაცივრის ეფექტიანობა ეცემა. ამიტომ მაცივრის უკან მომცრო ვენტილატორი უნდა დადგა.



● ხელით ქსოვისას ტრიკოტაჟის სხვადასხვა ფერის ძაფები არ გადაიხლართება, თუ მათ წვრილი მავთულისაგან გაკეთებული მარტივი მოწყობილობის ნახვრეტებში გაატარებ.



● თუ სამხრე-საკიდს დამატებით ხარიხას გაუკეთებ, ამით საგრძნობლად გაზრდი ტანსაცმლის კარადის „ტევადობას".

● ჩვეულებრივი ნასვრეტებიანი პლასტმასის ბუზსაკლავი კედელსა და ავეჯზე სველ კვალს ტოვებს ხოლმე. უმჯობესია, მის ნაცვლად თხელი პოროლონის (8 მმ. სისქის) თვითნაკეთი ბუზსაკლავი გააკეთო.




● ბურთულიანი ავტოკალმის საწერი კვანძი ზოგჯერ ისეთი კარგი გამოდგება, რომ გადაგდება დაგენანება. თუ შენც ასე დაგემართა, გამოაძრე იგი დაცლილი ღეროდან და ახალს გაუკეთე. შერჩეული კვანძი კიდევ დიდხანს მოგემსახურება.

● ნივრის წებო ურიგოდ როდი აწებებს მინასა და პლასტმასას. მისი მეშვეობით შეგიძლია საიმედოდ მიამაგრო მინა მაჯის საათის კორპუსს. შეწებების ადგილი გამჭვირვალე რჩება.



● თუ ველოსიპედი გაქვს, სეირნობისას ჯიბეში გედოს ხამედიცინო პლასტირის ნაჭერი — იგი გახვრეტილი კამერის სახელდახელოდ დასაწებებლად უებარი საშუალებაა.




● თუ გინდა, ზამთარში ყინულზე ფეხი არ გაგიცურდეს, ფეხსაცმლის ქუსლსა და ლანჩას ქეჩის თხელი ნაჭრები დააკარი.



# საძიებელი


ნ. ხარაზიშვილი — ლელთ ღუნიას გორისანი (ნარკვევი) გარეკ. 2
ი. აფციაური — ლექსები . . . . . 3
პ. ასლამაზიშვილი — თეთრი უდაბნო მთებში (მოთხრობა) 4
ზ. სარჯველაძე — რა განძი გვქონია (წერილი) . . 11
მაღალი ზნეობის გაკვეთილი . . . . . 12
დ. ვადაჭკორია — ფურისულას სურნელი მთვარიან ღამეს (მოთხრობა) . . . . . . 14
ბ. ბარჯაძე — ცხენბურთი (წერილი) . . . . 18
აისი . . . . . . 20
შ. მარკოზაშვილი — ცოტა რამ პოეტის ცხოვრებიდან (წერილი) . . . . . . 22
ჯ. კასრაძე — ჩიტებით სავსე ყუთი (წერილი) . . . 24
ზ. ვაშაკიძე — ლექსები . . . . . 26
საინტერესო სიახლენი . . . . 27
კოცონი . . . . . . . 28
თურმე . . . . . . . 29
მხედრიონი . . . . . . . 30
გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან . . . 31
როგორ გაჩნდა სიგნალი SOS . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . 31
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. . 3


გარეკანის 1-ელ გვერდზე დ. იაკობაშვილის სლაიდი


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ ხასხოჩნაძე, ზაირა ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, ზინონ ჭანტურიანი, ლიანა [illegible], ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-21-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-08, 93-58-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27.10.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.89 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 2888, ტირაჟი 147.800, ეგზ., უე 09536.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხს წერილობით არ ვცემთ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,85.
Тираж 147-800 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1989 წ.

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

თარაზულად: 5. ფოლადის მავთულის წნული; 7. მხატვრული ნაწარმოები; 8. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 9. შინაური ფრინველი; 10. ერთგვარი ვიწრო შარვალი; 13. საგრილებელი; 15. ლითონის საფხეკი ნაკდევებიანი ფოლადის ძელაკი; 17. დას. საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება; 18. ძვირფასი ქვა; 19. დროშა; 21. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 23. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა; 25. პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა; 27. ბიზეს ოპერა; 28. ამა თუ იმ დამწერლობაში გამოყენებული ასოების ერთობლიობა; 29. სასარგებლო ნამარხის, მადნეულის ადგილ-სამყოფელი.

შვეულად: 1. რძის ნაწარმი; 2. პლატინის, ოქროს ან ვერცხლის საგნებზე დადებული ნიშანი; 3. სპორტის სახეობა; 4. აფრიკის სახელმწიფო; 6. შექსპირის ნაწარმოების გმირი; 11. ამერიკის ჩანჩქერი; 12. ამერიკის შტატი; 13. თხელი გამჭვირვალე ქსოვილი; 14. ამერიკელი მომღერალი და საზოგადო მოღვაწე; 15. ქვის წვრილი ნამსხვრევები; 16. აზიის სახელმწიფო; 20. რკინის პატარა ნიჩაბი; 22. ფრანგი სკულპტორი; 24. თამაში-გამოცანა; 25. იაპონიის დედაქალაქი; 26. ერთგვარი კანფეტი.



შეადგინა ც. ქურდოვანიძემ

## თავსატეხი

ჩაწერეთ თარაზულ უჯრებში „ვეფხისტყაოსანში" ნახსენები ძვირფასი ქვების სახელები ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ პოემაში მოხსენიებული ქალაქ-სახელმწიფოს სახელწოდება.

შეადგინა შ. ხოდაშნელმა




## გამოცანები

●

წყლისპირეთის ფრინველი ვარ,
წყლის სიღრმეში ვეძებ
საზრდოს,
წყალი მზრდის და წყალი
მკვებავს,
მის გაჩენას გაუმარჯოს!

●

არა აქვს ფეხები,
არა აქვს თვალები,
მაინც დღედაღამ დადის.
პატარა — ბუტბუტებს,
იზრდება — ჩურჩულებს,
წვიმაში გამართავს ნადიმს.

●

მივქრი, ფრინველი არა ვარ,
მიმერეკება ალი.
ვიდრე ადგილზე არ მივალ
ვერ დამინახავს თვალი.

ალ. ნამორაძე

●

გადაიარა მთა-ბარი,
დახოცა ნადირ-ფრინველი,
როჭო, კაკაბი, სავათი,
მელა, კურდღელი, ირემი,
მერე სუყველა სხვას მისცა,
თვითონ კი დარჩა მშიერი.



●

ამის მეტ ნიშანს ნურც ელი —
წინ — ზურგი, უკან — მუცელი.

●

ამ ანკესს, გადაბრუნებულს,
მგონია, იცნობთ ყველანი,
მისი ბინაა რვეული,
ხოლო მშობელი — მელანი.

ნ. მარიხია

●

ძროხას ვგავარ, ძროხა არ ვარ,
მეც ვიცოხნი თივას, ბალახს,
ცხელ ზაფხულში ლაფს და
ტალახს
ვხმარობ, როგორც აბაზანას.
ვინც გასინჯავს, შეიყვარებს
ჩემი რძისგან მაწონს, კარაქს.
რქები მაქვს და არვის ვერჩი,
გამიცანით: ვარ . . . . .

ლია ასათიანი

### პასუხები № 11-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

შვეულად: 1. ზამბია; 2. აბრა; 3. ძრავა; 4. განედი; 5. მარაბდა; 7. ამონალი; 9. ტურა; 12. ბატკანი; 13. ატლანტა; 15. ასაკი; 17. ფლავი; 20. მაზანდა; 21. ბიზნესი; 24. ავტო; 26. ქათამი; 27. ბოლოკი; 30. ბონი; 31. იერი.

თარაზულად: 5. მიტარბი; 6. კატარღა; 8. ასტრა; 10. კასპი; 11. დაშნა; 14. იდეა; 16. ჯაკარტა; 17. ფილა; 18. არაკი; 19. ხალთა; 22. ზარი; 23. ანტანტა; 25. ილია; 28. ქანდა; 29. ოზონი; 30. ბროლი; 32. ატამანი; 33. გრაკალი.

### გამოცანები

ნაყინი, თერმოსი, ხავსი, ლამურა, ხიდი;

### შარადები

სველი, სევილია; („სევილიელი დალაქი")
ჵინი, პანჵა, ჩიჵა






ეროვნული ბიბლიოთეკა